ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე, ნინო ჯაში

ქართული ენა და ლიტერატურა

6

მასწავლებლის წიგნი

sakonkurso egzemplari

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2011

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები

VI კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე, ნინო ჯაში

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN

უაკ

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 39-15-22
E-mail: davideku1@mail.ru, info@meridianpub.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011
© ნ. მაღლაკელიძე

N. Maglakelidze
„Georgian language and literature“, the book of the teacher 6, in Georgian
„Meridiani“ Publishing, Tbilisi - 2011

რეცენზია

მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის

მეთოდური მითითებანი მასწავლებლებისათვის

„ქართული ენისა და ლიტერატურის“ სასწავლო კომპლექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

I. მოსწავლის წიგნი
II. აქტივობის რვეული
III. მასწავლებლის წიგნი

I. „მოსწავლის წიგნი“ შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შევეცადეთ მთლიანად დაგვეცვა ის მოთხოვნები, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი უყენებს მოსწავლეს ამ ეტაპზე. საკითხავ მასალად შერჩეულია როგორც ქართული კლასიკური მწერლობის საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშები (რომელთა დიდი ნაწილი აპრობირებულია სასწავლო პროცესში), ისე ქართველი მწერლების ის ნაწარმოებები, რომლებიც ადრე არასდროს ყოფილა შეტანილი სასკოლო ქრესტომათიებში. გარკვეული ადგილი დავუთმეთ საზღვარგარეთულ მწერლობასაც. ვეცადეთ, შეგვერჩია ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებები (ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, თქმულება, პუბლიცისტური სტატიები...), რომლებიც დავალაგეთ თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით. წარმოდგენილია შვიდი ასეთი ბუდე:

1) „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“...
2) ხმა წარსულიდან
3) ხალხური სიბრძნე
4) ლიტერატურული ზღაპარი
5) ადამიანი და ბუნება
6) გაიცანით — თქვენი თანატოლია
7) საზღვარგარეთული მწერლობა

საკითხავი ტექსტების დამუშავება ხდება სწავლების **ინტერაქტიური მეთოდების** გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და კითხვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მეთოდიკური აპარატი წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკების სახით:

ა) გავიგოთ, გავიაზროთ, შევაფასოთ — აქ მოცემულია ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული კითხვები, რომლებიც დალაგებულია გარკვეული თანმიმდებრობით (ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება);

ბ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება — ეს რუბრიკა მიზნად ისახავს ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე დაკვირვებას. აქ ყურადღება ძირითადად მახვილდება მწერლის მიერ გამოყენებულ მხატვრულ სახეებზე, ენობრივ თავისებურებებზე.

გ) მშობლიური ენის სამყაროში — აქ გარკვეული სისტემატიკით არის დალაგებული ქართული ენის ***გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, პრაქტიკული სტილისტიკის*** საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დონის ამაღლებისათვის. ძირითადი აქცენტი კეთდება ფუნქციონალური გრამატიკის საკითხებზე. ამ რუბრიკის მიზანია არა მხოლოდ ცალკეული ენობრივი კატეგორიების გაცნობა, არამედ მათი პრაქტიკულად გამოყენება წერასა თუ ზეპირ მეტყველებაში. ვცდილობთ, ენობრივი მასალის დამუშავება მოხდეს საკითხავ ტექსტთან მჭიდრო კავშირიში, რაც უზრუნველყოფს ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაციას.

II. „აქტივობის რვეულიში“ მოცემულია ის ძირთადი სავარჯიშოები და აქტივობები, რომლებიც უნდა შესრულდეს ამა თუ იმ მასალის დამუშავებისას. თითოეულ ტექსტთან დაახლოებით 4-5 სავარჯიშოა მოცემული. ძირითადი აქცენტი კეთდება ტექსტის აგებაზე, პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დახვეწაზე... სავარჯიშოთა ნაწილი ზეპირად სრულდება, ნაწილი – წერილობით, ზოგი მათგანი განკუთვნილია წყვილებში, ზოგი კი — ჯგუფური მუშაობისათვის, რაც სათანადო სიმბოლოებით არის აღნიშნული. ინდივიდუალური წერითი სავარჯიშოებიდან რომელი უნდა შესრულდეს კლასში და რომელი — შინ, ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია. ვიმედოვნებთ, რომ პედაგოგს დამატებით აღარ მოუწევს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებისთვის სავარჯიშოების მოძიება და ამ მიზნით ცალკე რვეულების გამოყოფა (თუმცა მას, რა თქმა უნდა, აქვს ამის უფლება).

III. „მასწავლებლის წიგნი“ გზამკვლევია პედაგოგისათვის. მისი მიზანია გაუადვილოს მასწავლებელს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის დაგეგმვა სწავლების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. აქ მოცემულია აგრეთვე **დამატებითი ინფორმაციები** იმ საკითხის შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ ტექსტის დამუშავებისას იჩენს თავს. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **ეს ინფორმაციები მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი და მისი ამ სახით მიწოდება მოსწავლეებისათვის მიზანშეუწონელია.**

სანიმუშო გაკვეთილების სცენარებში ვეცადეთ კონკრეტული მასალის საფუძველზე გვეჩვენებინა სწავლების უახლესი მეთოდების ეფექტურობა. აქ შეხვდებით ***„ხუთსტრიქონიან ლექსს“, „ვარაუდების სქემას“, „მზესა და მთვარეს“, „მართულ კითხვას“, „გმირის რუკას“, „რა დამამახსოვრდა აუდიტორიის დატოვების შემდეგ“, „სტრატეგია 1,2,3“, „როლი, აუდიტორია, ფორმატი — RAFT-ი“***... აქვე მოცემულია ამ მეთოდების აღწერაც. რა თქმა უნდა, მასწავლებლის გადასაწყვეტია, საჭიროდ ჩათვლის თუ არა მათ გამოყენებას ამა თუ იმ მასალის სწავლებისას. გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ **„მასწავლებლის წიგნი“ მხოლოდ და მხოლოდ საორიენტაციოა და არა სავალდებულო.** პედაგოგს შეუძლია მისი გამრავალფეროვნება, ცვლილებების შეტანა საგაკვეთილო პროცესში. ჩვენ კი ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთლით, თუ ეს **გზამკვლევი** ოდნავ მაინც დაეხმარება მას იმ მიზნების მიღწევაში, რომელთაც ეროვნული სასწავლო გეგმა უსახავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

ავტორები: **ნათელა მაღლაკელიძე** (ჯგუფის ხელმძღვანელი)
ნანა ღონღაძე
ნინო ჯაში

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები

I თემა: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“

გაკვეთილის მასალა[1]:

ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიურები“, მშობლიური ენის, ლიტერატურული ენისა და სახელმწიფო ენის რაობა (2 სთ)

მიზნები:

- არამხატვრული ტექსტის წაკითხვა-გაანალიზება
- სხვადასხვა სახის ტექსტში მოცემული მსგავსი ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირება და შეფასება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- საკომუნიკაციო ტექსტის მიზნისა და ადრესატის ამოცნობა
- „ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო“ სქემაზე მუშაობა
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიღება: ა) საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ისტორიული ძეგლების შესახებ, ბ) ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება/პროვოცირება (10-12 წთ):
აქ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ჩვენ გთავაზობთ რამდენიმეს: **ა)** მოსწავლეებს ვუჩვენოთ დოკუმენტური ფილმი პალესტინის სიძველეების შესახებ, **ბ)** პროექტორით ვუჩვენოთ პალესტინის სიძველეების ამსახველი ფოტომასალა, **გ)** გამოვიყენოთ **გონებრივი იერიშის რუკა:** რა ვიცით საზღვარგარეთ არსებული ქართული სიძველეების შესახებ.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (7-8 წთ): ტექსტის გაცნობამდე მოსწავლეებს განვუმარტავთ, რომ ამჯერად ვკითხულობთ „პალესტინის დღიურების“ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს, დანარჩენი ფრაგმენტების შესახებ შეუძლიათ თავად გამოთქვან ვარაუდი (ერთად ვაკეთებთ „ვარაუდების სქემას“) და თუ სურვილი გაუჩნდებათ, წაიკითხონ კიდეც. უმჯობესია, ტექსტი მოსწავლეებს წავაკითხოთ პაუზებით, ყოველი მომდევნო ნაწილის წაკითხვამდე დავსვათ კითხვა: თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები შემდეგ ნაწილში? ტექსტის კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის — *ა) ჯვრის მონასტერი, ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ, პალესტინაში, ახლანდელ ისრაელში, საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით დააარსა ქართველმა მოღვაწემ, გიორგი პროხორელ-შავშელმა, XI საუკუნის 30-50-იან წლებში. გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან გააკეთეს ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს. 1071 წ. იერუსალიმის აღებისას მონასტერი დაარბიეს თურქ-სელჯუკებმა. XII საუკუნეში დავით*

[1] ახალი სასწავლო წლის პირველი გაკვეთილის **(გ. ლეონიძის „ვუმღერ სამშობლოს“)** დაგეგმვას მთალიანად მასწავლებელს ვანდობთ.

აღამშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს და განაახლეს. თამარის მეფობის ხანაში არაერთხელ გაუწიეს დახმარება, ხოლო 1192 წელს კი საგანგებო ელჩობა მიავლინეს იქ მისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1273 წ. მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა. 1305 წ. მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი კვლავ დაუბრუნდა ქართველებს. XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება ამ მონასტრისადმი კვლავ გაიზარდა. აქ აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ***ნ. ჩოლოყაშვილმა (ირბახმა).*** *მან სამეგრელოს მთავრის —* ***ლევან II-ის*** *— დახმარებით შეაკეთებინა მთავარი ტაძარი, მოახატვინა კედლები და გუმბათი. ამავე საუკუნის დასასრულს იგი სხვა ქართულ მონასტრებთან ერთად გადაეცა იერუსალიმის საპატრიარქოს, ბერძნული სამღვდელოება ყოველმხრივ ჩქმალავდა ამ მონასტრის ქართულ წარმომავლობას, ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს, XX საუკუნის 50-იან წლებში აქ ისრაელის სამხედრო ნაწილები იდგა. სწორედ ეს პერიოდია აღწერილი ამ „დღიურში“ (ქ ს ე, I ტ, გვ. 562).*

ბ) ნ. ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი *— პირველი ქართული წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი, 8 წლისა გააგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძნულ სკოლაში მიაბარეს. იქვე აღიკვეცა ბერად. 1609 წ. დაბრუნდა საქართველოში და კახეთის მეფის—თეიმურაზ I-ის — კარის მოძღვარი გახდა. 1614 წ. შაჰ-აბას I-ის საქართველოში ლაშქრობის დროს იერუსალიმში წავიდა. 1625 წ. ანტისპარსული ბრძოლის პერიოდში* ***თეიმურაზ I-ის*** *დავალებით დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ევროპაში. რომში ყოფნის პერიოდში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული წიგნის გამოცემაში. 1629 წ. მისი დახმარებით ჩამოისხა ქართული ანბანი, შემუშავდა და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი — პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, შემდეგ კი — „ლოცვანი“. 1629 წ. დაბრუნდა საქართველოში. 1632 წ. როდესაც თეიმურაზ I იძულებული გახდა იმერეთის სამეფოსათვის შეეფარებინა თავი, ნ. ჩოლოყაშვილი ლევან II დადიანის უახლოესი თანამშრომელი და პოლიტიკური თანმზრახველი გახდა. 1643-1649 წლებში კვლავ იერუსალიმშია ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად. 1650 წ. იგი კვლავსაქართველოში დაბრუნდა და ლევან II დადიანის ხელისშეწყობით დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ახალმა მთავარმა ვამეყ III-მ სხვა თავის მოწინააღმდეგეთა შორის ისიც შეიპყრო და საპყრობილეში მოათავსა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1658 წ.*

გ) საქართველოში შემონახული უძველესი ქართული წარწერებიდან ყველაზე ძველია ***ბოლნისის სიონის*** *წარწერა (492-493 წწ.), ხოლო 1950 წელს პალესტინაში ლ. კორბოს მიერ აღმოჩენილი ქართული წარწერები 50 წლით მაინც უნდა უსწრებდეს ბოლნისის წარწერებს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, კი ყველაზე ძველად (ჩვ. წ. IV ს.) უნდა მივიჩნიოთ* ***ნეკრესის*** *წარწერა, რომელიც ყვარლის რაიონშია აღმოჩენილი. ეს წარწერები ყველა ასომთავრულით არის შესრულებული (ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I ნაწ. თბ.1981 წ. გვ. 81; ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, X კლსის სახელმძღვ, 2001 წ. გვ. 38).*

აქტივობა 4. წაკითხულის გაგება-გააზრება (5-6 წთ):

დაისმის კითხვები:

— თქვენ გაეცანით რამდენიმე ნაწყვეტს „პალესტინის დღიურიდან“. რის შესახებ არის საუბარი ამ ტექსტში? *(პალესტინაში, იერუსალიმში, ქართული დელეგაციის მიერ ქართულ მონასტერში რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის შესახებ).*

— როდის ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება? *(XX ს, 1960 წ.)*

— რის აღმოსაჩენად არიან ჩასულები პალესტინაში ქართველი მეცნიერები? *(ქართული სიძველეების).*

— რამ გაუცრუათ მათ იმედი? *(ყველაფერი განადგურებული და წაშლილი დახვდათ).*

— რა მოიძიეს მათ? *(რუსთაველის ფრესკა).*

— რა მიგვანიშნებს მონასტრის სიძველეზე? *(უძველესი ქართული წარწერის ნაშთი, გადაშლილი საუკუნეთა ნაქუსლარით).*

— მწერალს დიდ მღელვარებას ჰგვრის ჯვრის მონასტრის მონახულება. სად, ტექსტის რომელ სტრიქონებში, იგრძნობა ეს? *(„აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი პირდაპირ დამშეულებივით მიეჭრნენ კედლებს, ფრესკებს, წარწერებს“... „თვალმოუშორებლად ვაკვირდებით*

სვეტის ამ ადგილს და ჩვენი მეცნიერები ხმადაბლა, დაფარული მღელვარებით კითხულობენ“... „ვღელავთ, ვფუსფუსებთ. სიხარულისაგან ვკრთით“... „ერთმანეთს ვაფრთხილებთ, ალერსივით მსუბუქად ვწმენდთ“...).

— რუსთაველის პორტრეტი გამოსახულია ორ ცნობილ წმინდანს შორის. როგორ ფიქრობთ, რისი თქმა სურდა ამით მხატვარს? *(იგი თავად რუსთაველსაც წმინდანად/წმინდანთა სწორად მიიჩნევს).*

— „დავაგვიანეთ, ასი წლით მაინც დავაგვიანეთ! — მწუხარებით ამბობს აკაკი შანიძე“, — წერია ტექსტში. რაზე მიგვანიშნებს ამ სიტყვებით მწერალი? *(ქართველი მეცნიერის სინანულზე, რომ ასი წლის წინ არ მიეცათ ქართველებს ამ ძეგლის მონახულებისა და შესწავლის საშუალება).*

— რა შთაბეჭდილება აღძრა თქვენში ამ ტექსტის წაკითხვამ? რამ გამოიწვია იგი?

— საქართველოს გარეთ არსებულ რომელ ისტორიულ ძეგლებზე გსმენიათ კიდევ?

— თქვენი აზრით, რაზე მეტყველებენ ისინი?..

აქტივობა 6. შეჯამება (5 წთ) ეცადეთ, შეაჯამოთ თქვენი ცოდნა:

რა ვიცოდი რუსთაველის შესახებ	რა გავიგე	რის გაგება მაინტერესებს

აქტივობა 7. რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ (5 წთ): მასწავლებელი ზარის დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს და სთხოვს დაწერონ, რა დაამახსოვრდებათ კლასის დატოვების შემდეგ.

აქტივობა 8. შეფასება (2-3 წთ): განმსაზღვრელი შეფასება ამჯერად მოხდება მხოლოდ ორი კომპონენტის — **საშინაო დავალებისა და კლასში შესრულებული აქტივობების** — მიხედვით.

აქტივობა 9. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიურები“, ბ) დავალება №4 (აქტ. რვეული) ტექსტში წარმოდგენილია რამდენიმე ნაწყვეტი მწერლის დღიურიდან. თქვენი აზრით, რომელია მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი? ეცადეთ, გადმოსცეთ მისი შინაარსი III პირში. სათაური თავად შეურჩიეთ.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება (10-12 წთ):

— მწერალი დღიურის ფორმით გადმოგვცემს ნანახსა და განცდილს. როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს იგი ამ ხერხს? სხვაგვარად თუ შეეძლო მას გადმოეცა იგივე ამბავი? *(დღიურს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ახლობლებს აკითხებენ. მწერალი ამ ხერხს იმიტომ იყენებს, უფრო მეტი სიახლოვე რომ აგრძნობინოს მკითხველს, თავად მკითხველიც ამ ამბის მონაწილე რომ გახადოს, უფრო უშუალოდ რომ მიიტანოს მკითხველამდე თავისი სათქმელი.. იგივე ამბავი მას შეეძლო გადმოეცა III პირის ფორმით და როგორც მხოლოდ მწერალს — და არა ამ ამბის ერთ-ერთ მონაწილეს — ისე აღეწერა იგი).*

— „შევდგით ფეხი და თვალებით პირდაპირ ვეძგერეთ (შეიძლება ცოტა უხეში კია, მაგრამ სხვა გამოთქმა ვერ მიპოვია) კედლის მოხატულობას, ფრესკებს, წარწერებს“, — წერია ტექსტში. თქვენი აზრით, რატომ იყენებს აქ ამ გამოთქმას — **ვეძგერეთ** — მწერალი? შეიძლება თუ არა მისი შეცვლა სინონიმით? სცადეთ. *(ამ სიტყვით მწერალი გამოხატავს მოუთმენლობას, მღელვარებას... ჩვეულებრივ, ამ სიტყვას სხვა კონტექსტში იყენებენ, მაგრამ აქ მწერალმა მისი გამოყენება დასაშვებად ჩათვალა გმირის ემოციის უკეთ ჩვენებისათვის. შეიძლება მოვუძებნოთ სინონიმური ფორმა — **ვეცით**).*

— რისი გამოხატვა სურს მას ამ სიტყვით? იგივე განცდა ტექსტის სხვა ადგილას რომელი სიტყვებით არის გამოხატული? *(მოუთმენლობის, მღელვარების; „სულგანაბული მივადექით“, დამშეულებივით მიეჭრნენ).*

— ტექსტში უხვად გვხვდება ძახილის წინადადებები. რა ემოციებს გამოხატავენ ისინი? რომელი წინადადება გამოხატავს მწუხარებას? (*„დავაგვიანეთ, ასი წლით მაინც დავაგვიანეთ!“...)* სინანულს? *(„აღარაფერი! თითქმის აღარაფერი, გარდა რამდენიმე ფრესკისა და კედლის ორიოდე წარწერისა! ხელოვნების ეს ბრწყინვალე ნიმუში დღეს უპატრონოდ არის მიგდებული! აქ წირვა-ლოცვა აღარ არის!“...).* აღტაცებას? *(მივაგენით, ნამდვილად მივაგენით! აქ არის რუსთაველის პორტრეტი!“...).* ეცადეთ, წაიკითხოთ ეს წინადადებები სწორი ინტონაციით.

— ტექსტში ნახსენებია ქართული ანბანის განვითარების ადრეული საფეხური. რა საფეხურია ეს? *(ასომთავრული, იგივე მრგვლოვანი, რომელიც გავრცელებული იყო V-IX ს-ში) გაიხსენეთ ქართული ანბანის განვითარების დანარჩენი ორი საფეხურიც (ნუსხა-ხუცური — X-XI ს., მხედრული — ჩაისახა XI ს-ში). რა გახსოვთ ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ?* (მოსწავლეები იხსენებენ ინფორმაციას, რომელიც მათ მე-5 კლასში მიიღეს ქართული ანბანის შესახებ).

გაირკვევა, რომ **დედაენა** არის ის ენა, რომელსაც ბავშვი პირველად სწავლობს მშობლებისა და ახლობლებისაგან; ეს არის ენა მშობელი ხალხისა, იმ ერისა, რომლის შვილობაც ადამიანს ბედმა არგუნა. აქვე ვაწვდით მოსწავლეებს სახელმწიფო ენისა და ლიტერატურული ენის განმარტებებსაც:

სახელმწიფო ენა — ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალურად აღიარებული ძირითადი ენა.

სალიტერატურო ენა — სამწერლობო ენა, რომელიც მოიცავს ყველა იმ სფეროს, სადაც კი ოფიციალურად შეიძლება ფუნქციონირებდეს სახელმწიფო ენა *(ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ. 1964 წ. გვ.).*

აქტივობა 3. ჯგუფური დისკუსია (10-12 წთ): ქართულ ენას, როგორც ვიცით, დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი სახელმწიფო ენაა. ბევრი თქვენგანისათვის იგი დედაენაც არის. ჯგუფთან ერთად მოემზადეთ დისკუსიისათვის ამ საკითხების ირგვლივ:

ა) ქართული სახელმწიფო ენაა
ბ) ქართული ჩემი დედაენა
გ) ქართული სალიტერატურო ენაა

კლასი იყოფა სამ ჯგუფად. მასწავლებელი კლასს წინასწარ აფრთხილებს, რომ უნდა დაიცვან რეგლამენტი, ეტიკეტი, რიგითობა, პატივი სცენ გამოთქმულ მოსაზრებას. თითოეული ჯგუფი სადისკუსიოდ ირჩევს ერთ-ერთ თემას, მოსაფიქრებლად ეძლევათ 5-6 წუთი. ჯგუფის ლიდერი ახდენს პრეზენტაციას. ისმენს მოსწავლეებისა და მასწავლებლის მოსაზრებებს, ზოგიერთს ეთანხმება, ზოგიერთს — არა, მაგრამ აუცილებლად ასაბუთებს ჯგუფის აზრს აღნიშნული საკითხის შესახებ.

აქტივობა 4. წყვილებში მუშაობა (4-5 წთ): დავალება №3. (აქტ. რვეული): გაესაუბრეთ ქართველ მეცნიერს აკაკი შანიძეს.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ): განმსაზღვრელი შეფასება ამჯერად მხოლოდ ორი კომპონენტის — საშინაო დავალებისა და საკლასო მუშაობის — მიხედვით მოხდება. შეფასდება ტექს-

ტის გააზრება-გაანალიზების, თხრობის, მსჯელობის, პრეზენტირების, გამომეტყველებითი კითხვის, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის, აქტიურობის... უნარ-ჩვევები.

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) როგორც უკვე იცით, მწერალი თავის აზრს დღიურის ფორმით გადმოსცემს. სცადეთ, დღიურის სახით თქვენც გადმოსცეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი. სათაური თავად მოიფიქრეთ (აქტ. რვეული №5).

(ამ დღიურს მხოლოდ თქვენი მასწავლებელი წაიკითხავს).

ბ) მოემზადეთ დისკუსიისათვის — პალესტინის ჯვრის მონასტერი. (ჯგუფურად) მოიძიეთ დამატებითი მასალა ჯვრის მონასტრის შესახებ *(შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ მიზნით ენციკლოპედია, ინტერნეტი, ჰკითხეთ უფროსებსაც)* და ეცადეთ, თქვენს მეგობრებს გააცნოთ თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ.

შედეგები:

VI.1.მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევა;

VI.4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვაოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით;

VI.5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

V.7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება;

VI.10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაგეჭდილების გადმოცემის უნარი;

VI.11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ-გამომსახველობით თავისებურებებზე დაკვირვება

VI.12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება, ამჟღავნებს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყის უნარ-ჩვევებს;

VI.15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.

გაკვეთილის თემა: ივერიის მონასტერი (ი. გოგებაშვილის მიხედვით), ერთიანი სალიტერატურო ენა, ლიტერატურული ენის რაობა (3 სთ)

მიზნები:

- საინფორმაციო ტექსტის კითხვა და გააზრება
- ინფორმაციის მოძიება საკითხის ირგვლივ
- მიღებული ინფორმაციის გაზიარება
- მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა
- დისკუსიისას ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების გამოყენება
- ფონური ცოდნის დადგენა და საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაზე დაკვირვება (სქემა: **ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე**)
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- მედიატექსტების გაანალიზების საწყისი უნარ-ჩვევების დაუფლება
- ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება
- მეტყველების კულტურის საფუძვლების დაუფლება, ერთიანი სალიტ. ენის ნორმების გაცნობა (ზოგადად)

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ):

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, წარმოადგენენ მოძიებულ მასალას საკითხის ირგვლივ: **პალესტინის ჯვრის მონასტერი.** პრეზენტაციისას იყენებენ არა მხოლოდ ტექსტუალურ, არამედ ფოტო- და ელექტრონულ მასალას.

მოსწავლეები ისმენენ და აფასებენ ერთმანეთის პასუხებს სათანადო კომენტარით.

საშინაო წერითი დავალება მოწმდება ფრონტალურად.

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება (5-7 წთ):

მასწავლებელი კლასს აწვდის ინფორმაციას საზღვარგარეთ არსებული კიდევ ერთ ქართულ სიძველეზე — ათონის მონასტერზე.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

*ა) ათონის (იგივე „აიონ-ოროსის“ — „წმიდა მთის“) ივერთა მონასტერი — მდებარეობს ათონის ნახევარკუნძულზე აღმ. საბერძნეთში. VII-VIII ს-ში აქ იწყება ქრისტიანი განდეგილების, შემდეგ კი მონაზვნების დამკვიდრება და სამონასტრო მშენებლობა. ბოლოს ქართველ მონაზვნებს VIII ს-ის ბოლოს აქ მცირე სავანე „ათო“ დაუფუძნებიათ. არაბთა შემოსევების შედეგად მე-10 ს-მდე იგი რამდენჯერმე გაუკაცრიელებულა. 963 წ. აქ დიდი ლავრა ააგო ათანასე ათონელმა. მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა აქ ივერთა მონასტერი, ქართული კულტურისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი კერა საზღვარგარეთ. მისი წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული იოანე მთაწმიდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან. ამ უკანასკნელმა ივერთა მონასტერს მოახმარა ბარდა სკლიაროსის წინაღმდეგ ომში (979 წ.) მოპოვებული ნადავლი. აქ ჩამოყალიბდა ლიტ.-მთარგმნ. სკოლა, რომლის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი შეიტანეს **ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა**. აქ დაიწერა ორიგინალური ქართული თზულებანი, ითარგმნა მნიშვნელოვანი ბერძნული ძეგლები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მონასტერში ითარგმნა ქართულიდან ბერძნულად „სიბრძნე ბალავარისი“. XIII ს-დან ბერძნებმა ნელ-ნელა ხელთ იგდეს სავანე, ხოლო XIX სკ-ში მთლიანად დაეპატრონენ მას, თუმცა ქართველი ბერები აქ გვიანობამდე შემორჩნენ. 1900 წ. აქ 51 ქართველი ბერი იყო (ქ ს ე, ტ. I, გვ 229, 235).*

*ბ) **ათანასე დიდი** (ათონელი), ერისკაცობაში **აბრამი** (დაახლ. 920-1000 წ.), ბერმონაზონი ათონის მთაზე, „ათანასეს ლავრის“ აღმშენებელი 963 წ. გადმოცემის მიხედვით, დაიღუპა მონასტერში ახლად აშენებული თაღის ჩამონგრევისას (ქ ს ე, ტ. 1, გვ. 222).*

*გ) **თორნიკე ერისთავი** (985 წ.), ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის ძე, ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწე, დავით III-ის მთავარსარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა **იოანე.** ბიზანტიის კეისარმა მას სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე) წოდება უბოძა. თორნიკე ერისთავის შეკვეთით არის გადაწერილი **ოშკის ბიბლია** 978 წ. (ქ ს ე, ტ. IV, გვ. 685). ტექსტში სიზუსტით არის აღწერილი მისი ღვაწლი სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. ასევე ისტ. სინამდვილეს შეეფერება ამ ბრძოლაში მოპოვებული ნადავლით ივერიის მონასტრის განახლება და გაძლიერება.*

*დ) **იოანე მთაწმიდელი** (დაახლ. 920-1005 წ.), ერისკაცობაში **ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი**, თორნიკე ერისთავის ძმა, ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, ბერად შედგა ოთხთა ეკლესიიის ლავრაში, შემდეგ ბიზანტიაში ოლიმპოს მთაზე მოღვაწეობდა, სადაც მიიყვანა თავისი მცირეწლოვანი შვილი, შემდეგში **ექვთიმე მთაწმიდელად** წოდებული. 965 წ. ექვთიმესა და რამდენიმე ბერთან ერთად გადასახლდა ათონის მთაზე, სადაც დამკვიდრდნენ ივერიის მონასტერში. იყო მისი პირველი წინამძღვარი. მისი ბიოგრაფის — **გიორგი მთაწმიდელის** — გადმოცემით, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი ძის — ექვთიმეს — განსწავლაში: „ქართლის ქვეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომ ღმერთსა მოუმადლებიან შენდა, აწ იღუაწე და, რაითა განიმრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ (ქ ს ე, ტ.V, გვ. 190).*

*ე) **ექვთიმე მთაწმიდელი** (ათონელი), (955-1028 წწ.), ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტ. სკოლის მამამთავარი, ლიტ. მოღვაწეობა 975-77 წლებში დაიწყო. ბავშვობიდანვე ფლობდა ბერძნულს, მან ქართული მწერლობა გაამდიდრა ბიზანტიური თარგმანებით, არ დარჩენილა არც ერთი დარგი სასულიერო მწერლობისა, რომელშიც მას დამსახურება არ მიუძღვოდეს.*

*ვ) **გიორგი მთაწმიდელი** (1009-1065 წწ.), ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. მისი ბიოგრაფის — **გიორგი მცირის** — გადმოცემით, დაიბადა თრიალეთში, სწავლობდა ტაძრისის, შემდეგ კი ხახულის მონასტერში. ცოდნის გასაღრმავებლად 1022 წ ბიძამ კონსტანტინეპოლში წაიყვანა, აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. 1034 წ. სამშობლოში დაბრუნდა და აღიკვეცა ბერად ხახულის მონასტერში. 1039 წ. შავ მთაზე დაემოწაფა გიორგი შეყენებულს. 1044 წ. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მან კიდევ უფრო გააძლიერა ეს კერა. მეფე ბაგრატ I-ის თხოვნით მან ხუთი წელი გაატარა სამშობლოში და მოაგვარა საეკლესიო საქმეები. 1057 წ. ანტიოქიის პატრიარქთან კამათში ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ნაყოფიერად იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი. სხვა წიგნები კი გაჩალხა და ბერძნულ დედანს შეადარა. გარდა მთარგმნელობითი საქმიანობისა, დიდია მისი ღვაწლი სასულიერო მწერლობის განვითარების საქმეში. მას ეკუთვნის **„ცხორება იოანესი და ეფთვიმესი“,** რომელიც ათონის ივერთა მონასტრის თავისებური მატიანეა. მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის აღმავლობას მომდევნო საუკუნეებშიც (ქ ს ე, ტ. III, გვ. 164).*

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა და გააზრება (12-15 წთ):

უმჯობესია, თუ ტექსტს თავად მოსწავლეებს წავაკითხებთ ნაწილ-ნაწილ და კითხვის პროცესშივე აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გზადაგზა შედგება გეგმაც, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1) ათონის მონასტრის დაფუძნება
2) ქართველი ბერების საქმიანობა ათონის მთაზე
3) მონასტრის გაძლიერება
4) თორნიკე ერისთავის ვინაობა
5) საერო ცხოვრებაში დაბრუნება
6) იმპერატორის წერილი
7) დავით კუროპალატის დახმარება
8) სკლიაროსის დამარცხება

9) თორნიკეს დაბრუნება მონასტერში
10) ქართული მწიგნობრობის სავანე
11) წმინდა მამების ღვაწლი... (გეგმა საორიენტაციოა)

მასწავლებელთან ერთად გაანალიზდება წაკითხული ტექსტი. მოსწავლეები ახლად მიღებულ **ინფორმაციას აკავშირებენ არსებულ ცოდნასთან** *(ქართული კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ, პალესტინის ჯვრის მონასტერი),* **ამოიცნობენ ტექსტში არსებულ ინფორმაციას** — *ფაქტებს (სად მდებარეობდა ივერიის მონასტერი, როდის დააფუძნეს იგი, რა იყო მიზეზი ამ ადგილას ქართული მონასტრის დაფუძნებისა, განსაკუთრებით როდის გაძლიერდა ეს მონასტერი, ვისი დამსახურება იყო ეს, რომელი წმინდა მამები არიან ტექსტში ნახსენები, მათ მთავარ ღირსებად რას თვლის ავტორი, რა ინფორმაციაა ტექსტში მოცემული თორნიკე ერისთავის შესახებ, რატომ სთხოვა ბერძნების იმპერატორმა დახმარება ქართველ კუროპალატს...);* **ამოიცნობენ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირს** *(ტექსტში საუბარია ბერძნებისათვის ქართველების მიერ აღმოჩენილ სამხედრო დახმარებაზე. რა იყო ამ დახმარების მიზანი?..)* განმარტავენ პერსონაჟთა ქცევის მოტივს *(თორნიკე ერისთავი, რომელიც ბერად იყო უკვე აღკვეცილი, კვლავ დაუბრუნდა საერო ცხოვრებას, უფრო მეტიც — იგი ომში წინამძღოლობდა ქართველთა ჯარს. რამდენად ამართლებთ სასულიერო პირის ამგვარ მოქმედებას?..)* **გაივლება პარალელები შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებს შორის,** საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებენ ტექსტებს...*); ყურადღება მახვილდება ტექსტის გამოსახველობით მხარეზე* (ტექსტი თხრობითია, საინფორმაციო ხასიათის, მწერალი ერიდება საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას მომხდარი ფაქტის მიმართ, არ შეიცავს დიალოგს...), სწორად „ამოიკითხავენ“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტებს *(რადგანაც ტექსტი აღწერითი ხასიათისაა, ტემპი შეირჩევა ნელი, თხრობისას არ ხდება ლოგიკურ-ინტონაციური მახვილებით ცალკეული ადგილების გამოყოფა, ინტონაცია რამდენადმე ერთგვარია...).*

აქტივობა 4. ტექსტის შინაარსის გადმოცემა (5-6 წთ):
მოსწავლეები გამოკვეთენ მთავარ ინფორმაციას *(ქართველთა მონასტერი ათონის მთაზე, თორნიკე ერისთავის ღვაწლი ამ მონასტრის გაძლიერების საქმეში, ბერძნებისათვის აღმოჩენილი სამხედრო დახმარება, თორნიკეს დაბრუნება მონასტერში...)* და ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებზე პასუხებით თავიანთი სიტყვებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

აქტივობა 5. შეჯამება — (ჯგუფურად)(5 წთ):
დავალება №1. (აქტ. რვეული) შეაჯამეთ:

რა ვიცოდი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ისტორიული ძეგლების შესახებ	რა გავიგე	რისი გაგება მაინტერესებს

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ):
ამჯერად შეფასება დაიწერება ორი კომპონენტის მიხედვით: **ა) საშინაო დავალება, ბ) საკლასო სამუშაო.**

აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ):
ა) ი. გოგებაშვილის „ივერიის მონასტერი“, ბ) დავალება №2 (აქტ. რვეული). ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად შეადგინეთ გეგმა, შემდეგ შეარჩიეთ ამ გეგმის ერთ-ერთი საკითხი და წერილობით გადმოეცით მისი შინაარსი.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (12-15 წთ).

აქტივობა 2. წაკითხულის გააზრება — კითხვა სტრიქონებს შორის (10-12):

ტექსტში არ არის საუბარი უშუალოდ ჩვენს ქვეყანაზე, მოქმედებაც საქართველოდან შორს ხდება, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა მდგომარეობა იყო X ს.-ის საქართველოში. ეცადეთ, დაასაბუთოთ თქვენი აზრი ტექსტის მიხედვით (*1. „ეს შორეული ადგილი იმიტომ აირჩიეს სამონასტროდ ქართველებმა, რომ იგი იყო ურწმუნოთაგან მიუვალს მთაზე და ეკუთვნოდა ქრისტიანულ სახელწიფოს – საბერძნეთს“,* — **საქართველოს ძველი დროიდანვე მრავალი მტერი ჰყავდა, ამიტომაც აშენებდნენ ქართულ მონასტრებს მტრისათვის მიუდგომელ ადგილას;** *2. „საბერძნეთის იმპერატორი ასეც მოიქცა — თორნიკეს სთხოვა დაეტოვებინა მონასტერი და ეკისრა ქართველ მეფესთან შუაკაცობა“,*— **ჩვენი ქვეყანა X სკ-ში საკმაოდ ძლიერი იყო, იმდროინდელ მსოფლიოში მას საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რადგანაც მას დახმარებისათვის უცხო ქვეყნებიც სთხოვდნენ ;** *3. „ქართველთა ჯარი გაეშურა სამხრეთისაკენ, გადაიარა კლარჯეთი, შეიერთა ბერძნთა დამარცხებული ჯარის ნარჩენი და მდინარე ჰალისის პირად შეებრძოლა მტრის ჯარსა... გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ აურაცხელი დავლა, რომლის ორი წილი ერგოთ ქართველებს და ერთი წილი – ბერძნებს“,* — **ქართული ჯარი იმ დროს საკმაოდ კარგად იყო გაწვრთნილი და შეიარაღებული**; 4. *„ბერებად ამ შორეულს მონასტერში მოდიოდნენ არა უბირნი ქართველნი, არამედ განათლებულნი და წარჩინებულნი პირნი“; „აქ მყოფმა სასიქადულო ქართველმა ბერებმა, ქართულის გარდა, მშვენივრად იცოდნენ ბერძნული, ებრაული და არაბული ენები“...* — **იმდროინდელ საქართველოში განათლებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, უკვე არსებობდა ნასწავლი, განათლებული ხალხი;** 5. *„ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარები მათ წმინდა უნაკლულო ქართულს, მათს სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას“... „მრავალი საეკლესიო წიგნი, რომელნიც ათონის მთიდან ვრცელდებოდა საქართველოში, უნათლებდნენ ქართველს ერს გონებასა.... აქვე მშვენიერი ქართული ენით გადაითარგმნა „დაბადება“, „სახარება...* —; **განვითარებული იყო სალიტერატურო ქართული ენა, მაღალ დონეზე იყო მწერლობა, არსებობდა ქართულ ენაზე დაწერილი წიგნები, თარგმნიდნენ უცხო ენებიდანაც;** 6. *„ეს სავანე იყო არა მხოლოდ ადგილი, სადაც დღე და ღამე უფლისადმი ვედრება გაისმოდა, არამედ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელიც, სადაც იზრდებოდნენ ნიჭიერი ქართველები“.. .*— **ქართული ეკლესია-მონასტრები საგანმანათლებლო კერებიც იყო)...**

აქტივობა 3. ლიტერატურული პერსონაჟის მარტივად დახასიათება (5-7 წთ):

მოსწავლეები ტექსტის მიხედვით ახასიათებენ თორნიკე ერისთავს, გამოყოფენ მის ძირითად ნიშნებს და ასაბუთებენ შესაბამისი ტექსტუალური მასალით; მაგ., თორნიკეს ვინაობა *(„თორნიკე დაიბადა და აღიზარდა... იქ უბრალო ბერად აღიკვეცა წინამძღვრის — მამა იოანეს — მიერ“)*, მისი გავლენა სამეფო კარზე *(„ამ დროს მას მოახსენეს... „ეს ბერი დაიბარეთ და მისი შუამავლობით სთხოვეთ სკლიაროსის წინაალმდეგ დავით კუროპალატს დახმარებაო“, — ურჩიეს მეფეს“)*, საერო ცხოვრებაში დაბრუნების მიზეზი *(ბერად შემდგარი თორნიკესათვის მეტად საძნელო იყო მონასტრის მყუდრო ცხოვრების შეწყვეტა, მაგრამ უარი ვერა ჰკადრა მეფეს, მით უმეტეს, რომ ბარდა სკლიაროსი თავადაც მიუტევებელ დამნაშავედ მიაჩნდა);* მხედართმთავრული ნიჭი (ჯარი მისი იბრძოდა თავგანწირული მამაცობით... მაგრამ იძულებული გახდა გაქცეულიყო შორეულ არაბეთში); ქვეყნის გულშემატკივარი *(გათავდა თუ არა ლაშქრობა... ააშენა ტაძარიც იოანე ნათლისმცემლის სახელზე, ასევე – შეიძინა ძვირფასი ხელნაწერებიც).*

აქტივობა 4. ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება (5-6 წთ):

— „ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარები მათ წმინდა უნაკლულო ქართულს“, — წერია ტექსტში. როგორ გესმით ხაზგასმული ფრაზის მნიშვნელობა? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება დავეუფლოთ ამგვარ მეტყველებას?

ამას უკავშირდება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: *დღემდე შემონახული უძველესი წერილობითი ძეგლები დაცულია წარწერებსა და პალიმფსესტებში, ქაღალდზე შესრულებული წერილობითი ძეგლები კი X სკ-დან მოგვეპოვება. (476-483 წ.წ დაწერილი „შუშანიკის წამების“ ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი მხოლოდ მე-10 ს.-ით თარიღდება). ვარაუდობენ, რომ მე-5 ს.-ში სასაუბრო ენის გვერდით ჩამოყალიბებული სახით სალიტერატურო ენაც არსებობდა. მის განვითარებაში შემდგომში დიდი წვლილი შეუტანიათ სწორედ ამ (ათონის) მონასტერში მოღვაწე ბერებს: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს. ჩვეულებრივ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში გამოყოფენ სამ პერიოდს: ძველი — V-XI ს., გარდამავალი — XII-XVIII ს. და ახალი — XIX ს.-დან დღემდე (თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მხოლოდ ორი პერიოდია: ძველი და ახალი). ძველი ქართული მწერლობა ძირითადად სასულიერო ხასიათისა იყო, ამიტომაც იმდროინდელი სალიტ. ენაც მდიდარია სასულიერო წოდების საქმიანობის ამსახველი ლექსიკით. სალიტ. ენის სასაუბროსთან დაახლოების პროცესი მკვეთრად დაიწყო XII ს.-დან, როდესაც 1122 წ. დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა თურქთაგან და იგი ერთიანი საქართველოს დედაქალაქად აქცია. გამდიდრდა სალიტ. ენის ლექსიკური შედგენილობა საერო ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი სიტყვებით. ენა გამარტივდა და უფრო მოქნილი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსნის“ როლი. ეს პროცესი წარმატებით გაგრძელდა XVIII ს.-ის სამოციან წლებამდე. ანტონ I-ის „სამი სტილის თეორიას“ მეცნიერთა ერთი ნაწილი სწორედ იმ დაბრკოლებად თვლის, რომელიც სალიტ. ენის განვითარების ბუნებრივ პროცესს გადაეღობა. ეს პროცესი ბუნებრივი გზით გაგრძელდა XIX ს.-ის სამოციანი წლებიდან, რაც ილიასა და „სამოციანელთა“სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას უკავშირდება.* ***სალიტერატურო ენა ერთიანი, უნიფიცერებული, ნორმირებული ენაა*** *(ლ. კვაჭაძე, გვ. 11-16).*

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ):

ამჯერად შეფასება დაიწერება ორი კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალება, ბ) საკლასო სამუშაო.

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ):

ი. გოგებაშვილი „ივერიის მონასტერი“, დავალება №4 (აქტ. რვეული)

III გაკვეთილი

აქტივობა 1. პრეზენტაცია (8-10 წთ)

აქტივობა 2. სტრატეგია 3.2.1. (4-5 წთ):

3 რამ, რაც ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამამახსოვრდა, **2** რამ, რამაც დამაფიქრა, **1** რამ, რის შესახებაც უფრო მეტის გაგებას ვისურვებდი (ეს დავალება სრულდება ინდივიდუალურად — დავალება №5).

აქტივობა 3. ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოსაცემად მოკლე გეგმის შედგენა (5 წთ):

გეგმის შედგენა ხდება კლასის საერთო მონაწილეობით. იგი დაფაზე იწერება (დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს):

1. ათონში ქართული მონასტრის დაფუძნება
2. მისი თანდათანობითი გაძლიერება
3. თორნიკე ერისთავის ღვაწლი ამ საქმეში
4. მონასტერში მოღვაწე სხვა ქართველი ბერები
5. მონასტერი — ქართული მწიგნობრობისა და განათლების კერა

მოსწავლეები გაიაზრებენ გეგმის თითოეულ საკითხს და აკეთებენ მოკლე კომენტარს მის შესახებ.

აქტივობა 5. შემაჯამებელი წერა (20 წთ):

ააგონ წერილობით ტექსტი „ივერიის მონასტერი“ (მოკლე შინაარსი წინასწარ კლასში შედგენილი გეგმის მიხედვით). მასწავლებელი წერის დაწყებამდე ერთხელ კიდევ შეახსენებს კლასს დავალების შესრულების პირობებს: ა) იგი შემაჯამებელია, ბ) უნდა ჩაეტიონ მითითებულ დროში, გ) წერისას ეცადონ, ისაუბრონ მხოლოდ ძირითადსა და არსებითზე, გადმოსცენ ტექსტის შინაარსი შეკუმშულად; დ) წერის დამთავრების შემდეგ ნაწერი ერთხელ კიდევ წაიკითხონ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარონ მასწავლებელს.

შემაჯამებელი სქემის ნიმუში წერაში:

	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე და მოცულობა	ტქსტის ორგანიზება და ლოგიკურად აგება	ფაქტობრივი სიზუსტე	ლექსიკა და სტილი	მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია
ქულები	2	1	2	2	3

(ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 10)

შემაჯამებელი დავალების სტანდარტთან შესაბამისობა:

VI.15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის შექმნა;

VI.16. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვათფორმების აგება

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ), ა) „ივერიის მონასტერი“, ბ) მოიძიონ დამატებითი მასალა თორნიკე ერისთავის შესახებ, გ) №3 (აქტ. რვეული) შესწავლილი ტექსტის მიხედვით მოკლედ დაახასიათონ ორნიკე ერისთავი.

საბოლოო შედეგები:

VI.1. — მოსწავლე საუბრობს ნათლად და გარკვევით და პრეზენტაციისას გააზრებულად იყენებს არავერბალურ საშუალებებს;

VI..2. — მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი;

VI.3. — მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად;

VI.5. — მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

VI.7. — მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაანალიზება;

VI. 8. — მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა ტიპისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები;

VI. 9 — მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნშვნელოვანი პრობლემების შესახებ;

VI. 14. — მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში;

VI. 15. — მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა;

VI.16. — მოსწავლე სწორად იყენებს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესებს.

მომდევნო მასალის: **ა. წერეთლის „ბრძოლის შემდეგ“ (ნაწყვეტი პოემიდან „თორნიკე ერისთავი“) სალიტერატურო ქართული ენა და დიალექტები** — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

გაკვეთილის მასალა:
უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილი) „მამელუკი“, ქართველური ენები (3 სთ)

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის გააზრება და არსებითი დეტალების შეფასება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად
- დისკუსიაში მონაწილეობა და ჯგუფური (ინდივიდუალური) სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება
- პერსონაჟთა მარტივი დახასიათება, მათი ხედვის კუთხის განსაზღვრა
- წაკითხულისა და ნაწარმოების ეკრანიზებული ვერსიების შედარება
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება: ა) კომენტარი წაკითხული ტექსტის ცალკეულ ნაწილებზე, ბ) კონტექსტის მიხედვით გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა, გ) ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება
- წერის სტრატეგიების დაუფლება: ა) ცალკეული ეპიზოდის შინაარსის წერილობით გადმოცემა; ბ) ნაწერის ჩასწორება და კორექტირება

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება — გამოწვევა (5-6 წთ):

ამ აქტივობის დაგეგმვა რამდენიმე სახით შეიძლება, ჩვენ მასწავლებელს ჩვენეულ ხედვას ვთავაზობთ: **ა)** ტექსტის წაკითხვას წინ უსწრებდეს ამავე ნაწარმოების ეკრანიზებული ვარიანტის კოლექტიური ჩვენება და შემდეგ კლასში მისი განხილვა, **ბ)** შედგეს „ვარაუდების სქემა“ (რას მოელიან ამ სათაურის მქონე ტექსტიდან); **გ)** მასწავლებელი კლასს ტექსტიდან სთავზობს რამდენიმე საყრდენ სიტყვას *(მაგ. მამლუქი, ეგვიპტე, ბასრი ხმალი, ალაჰი, სამშობლოდან მოცილებული...)* და ავალებს მათი გამოყენებით შეადგინონ ზეპირი თხზულება, რომლის პრეზენტაცია და მოსწავლეთა მიერ შეფასებაც იქვე მოხდება.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ა) მამლუქი//მამელუკი *(არაბ. — თეთრი მონა), არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მეომარი მონები. მათი სოც. კატეგორია გაძლიერდა XI ს-ის მეორე ნახევრიდან ეგვიპტეში, XVIII ს-ის დასწყისიდან კი ერაყში. ეგვიპტეში მამლუქთა ისტორია სულთან სალაჰ ალ-დინ იბნ აიუბის სახელთანაა დაკავშირებული (1169-1193). პირველად მან დაიწყო თეთრკანიანი მონების (ძირითადად თურქებისა და კავკასიელების) შეძენა და შეიარაღებულ ნაწილებში ჩარიცხვა. მონობისაგან თავდახსნილნი მსხვილი მიწის ნაკვეთსაც იღებდნენ. ასე გაჩნდა მამლუქთა სამხედრო-ფეოდალური კასტა, რომელმაც 1250 წ. ხელთ იგდო ძალაუფლება. მამლუქებმა წარმატებით მოიგერიეს თათარ-მონღოლთა შემოსევები, განდევნეს ჯვაროსნები სირია-პალესტინიდან. XVI ს.-დან, როდესაც ეგვიპტე ოსმალებმა დაიპყრეს, მამლუქთა ბატონობა რამდენადმე შეიზღუდა, მაგრამ ისინი მაინც ქვეყნის ფაქტობრივ გამგებლებად რჩებოდნენ. ისინი ატარებდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. დიდია მამლუქთა წვლილი ფრანგთა ბატონობისაგან ეგვიპტის განთავისუფლებაში (1798-1801). ნაწარმოებშიც დაახლოებით ეს პერიოდია აღწერილი. ნაპოლეონმა ვერ შეძლო მათი დამორჩილება და ეგვიპტეში ფეხის მოკიდება (ქ ს ე, ტ. VI, გვ. 397).*

ბ) ***უიარაღო (კონდრატე თათარაშვილი)*** *1872-1929წწ. — სწავლობდა ჯერ თბილისის, შემდეგ კი კიევის სასულიერო სემინარიაში. პირველი მოთხრობა „მშვიდობით“ გამოქვეყნდა ჟურ-*

ნალ „მოამბეში“ 1895წ. 1896წ. მღვდლად ეკურთხა. ეწეოდა აქტიურ სამწერლო და პუბლიცისტურ საქმიანობას. მისი პუბლიკაციური წერილები მიმართული იყო რუსული რეჟიმის წინააღმდეგ. 1912 წ. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი იძულებული გახდა წასულიყო საქართველოდან და თავი შეეფარებინა ევროპისათვის. აქ 1912-1916 წლებში სწავლობდა ბრიუსელის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1921 წლიდან მუშაობდა თ ს უ გეოლოგიის კათედრაზე.

„მამელუკი“ მისი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა. გამოქვეყნდა 1912 წ. კრებულ „გრდემლში“. 1958 წ. ამ ნაწარმოების მიხედვით გადაიღეს ფილმი (ქ ს ე, ტ. X, გვ. 116).

მწერლის ცხოვრებაზე არსებობს საინტერესო ინფორმაცია: 1906 წ. სემინარიის ძველ შენობაში შეიყარნენ სამღვდელოების წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და ეგზარქატის გაუქმებას, ასევე ითხოვდნენ სიკვდილით დასჯის მოსპობას. ამ უკანასკნელი მოთხოვნის მიზეზი გახდა შემდეგი ფაქტი: „მინგრელსკი“ პოლკის 27 ჯარისკაცი გადავიდა აჯანყებულების მხარეზე. ამის გამო ისინი დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. სამღვდელონი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან სწორედ ამ აჯანყებული ჯარისკაცების შეწყალებას ითხოვდნენ. ამ თხოვნის პეტიციას მხოლოდ 19-მა სასულიერო პირმა მოაწერა ხელი. კ. თათარშვილმა თავად წაიღო ეს წერილი ვორონცოვ-დაშკოვის კანცელარაიში. მეფისნაცვლის კანცელარიამ ეს ამბავი ეგზარქოსს აცნობა, რომელმაც უკანონოდ გამოაცხადა სასულიერო პირების შეკრება — მე ამის ნება მათთვის არ მიმიციაო. მანვე მოითხოვა კრების მონაწილეებისათვის სასჯელის დადება. გამოიძახა ის 19 კაცი, ვინც ამ პეტიციაზე მოაწერა ხელი და მოსთხოვა მათ, უკან წაეღოთ თავიანთი თხოვნა და მოენანიებინათ დანაშაული. 18-მა სამღვდელო პირმა მუხლებზე დაჩოქილმა მოინანია თავისი „დანაშაული“, მხოლოდ კ. თათარაშვილმა არ უარყო თავისი მოთხოვნა. ისიც ცნობილია, რომ ერთ-ერთი მისი წინაპარი — იასე თათარაშვილი — თურქებს გაუტაციათ და სტამბოლის ბაზარზე გაუყიდიათ. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად მის „მამლუკს“ ***(გაზ. „კვირის პალიტრა“, 4-10 ოქტ. 2010 წ).***

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15-20 წთ):

ტექსტის კითხვისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია: 1) **კომენტირებული კითხვა** — მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას და მას მოსწავლეები აგრძელებენ, ტექსტის კითხვისას აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები; მასწავლებელი გზადაგზა აკეთებს სათანადო კომენტარს წაკითხულის გააზრებისა და უკეთ აღქმისათვის; 2) **მასწავლებელი იყენებს** ე. წ. „აქტიური კითხვის“ მეთოდს — ა) თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად გადახედავს ტექსტს და საკუთარ თავს დაუსვამს კითხვას: **რა ვიცი მე მოცემული საკითხის შესახებ?** გააკეთებს თავისი ინფორმაციისა და ვარაუდების სახელდახელო ჩამონათვალს; ბ) წერილობით, ძალიან მოკლედ, თავისთვის აკეთებს ჩანაწერს — რატომ ვკითხულობ მე ამ ტექსტს? რა მიზანი მაქვს? რისი სწავლის და გაგების იმედი მაქვს ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ? გ) ტექსტის წაკითხვის შემდეგ დასვამს შემდეგ კითხვებს: **რა?** *(მამლუქების ბრძოლა ნაპოლეონის წინააღმდეგ),* **სად?** *(ეგვიპტეში),* **როდის?** *(XVIII ს.-ის მიწურულში),* **ვინ?** *(ტყვედგაყიდული ქართველი მამლუქი მახმუტ-ბეი, იგივე ხვიჩა),* **რას შვრება?** *(ორთაბრძოლაში კლავს ვენეციელს, რომელმაც სიკვდილის წინ ქართულად დაიკვნესა),* **რა მოსდის?** *(თავისივე მოძმე მამლუქები კლავენ); დ)* მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის შენიშვნებს და პირველად შენიშვნებს, რომლებიც სქემაში კითხვების სახით აქვს ჩამოწერილი, დაურთავს მეორეულ, ამჯერად ემოციურ კომენტარებს და ავსებს სქემის მეორე ნაწილს (რა მოეწონა, რა შეფასებას აძლევს გმირის საქციელს...).

პირველადი კომენტარი (ფაქტობრივი)	მეორეული კომენტარი (ემოციური და კრიტიკული)
რა? მამლუქების ბრძოლა ნაპოლეონის წინააღმდეგ	
სად? ეგვიპტეში	
როდის? XVII საუკუნის ბოლოს	

ვინ? მახმუტ-ბიი	
რას შვრება? კლავს ვენეციელ ასისთავს	
რატომ? თავისი მტერი ჰგონია	
რა მოსდის? კვდება ყოფილი თანამებრძოლის ხელით	

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

— რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?

— რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგეთ?

— რა კავშირშია ერთმანეთთან ის, რაც იცოდით და რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგეთ?

ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მოჰყვება მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

წარმოდგენილი სქემა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: **I გრაფა** — პირველადი კომენტარისათვის შეივსება კითხვის პროცესში, **მეორე გრაფა** — კრიტიკული კომენტარისათვის — შეივსება კითხვის დამთავრების შემდეგ კოლექტიურად.

აქტივობა 3. გეგმის შედგენა: (7-8 წთ):

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ გადმოცემენ ტექსტის შინაარსს, ადგენენ შინაარსის გადმოსაცემად გეგმას (ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში და ჯგუფურად), რომელიც საორიენტაციოდ ასეთ სახეს მიიღებს:

1. მოკლული ვენეციელი / მოულოდნელი შეხვედრა ბრძოლის ველზე
2. წარსულის გახსენება
3. შინაგანი ხმის ძახილი
4. საშინელი სიმართლე
5. ხელმეორედ დაბადება/ მოულოდნელი ცვლილება/სინდისის ქენჯნა
6. ყოფილი თანამოძმეები
7. საშინელი აღსასრული/მოძმეთა ხელით სიკვდილი

აქტივობა 4. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) „მამელუკი“, ბ) დავალება №2 (აქტ. რვეული) — შეადგინეთ ტექსტის გეგმა. გადმოეცით ამ გეგმის ერთ-ერთი საკითხი წერილობით. გ) მოსწავლეებმა მოიძიონ დამატებითი მასალა ქართველი მამლუქების შესახებ და შემდეგ მოახდინონ მოძიებული მასალის პრეზენტაცია კლასში.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2: წაკითხულის გააზრება — წვდომა (12-15 წთ):

ტექსტის ანალიზი იწყება I-II დონის (გაგება, ცოდნა) კითხვების საშუალებით, ძირითადად ეს არის ტექსტში ექსპლიციტური მასალის მოძიება, ამიტომ ამ დროს მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ტექსტს და კითხულობენ სათანდო ადგილებს:

— სად და როდის ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება? რომელი ისტორიული ფაქტია მასში ასახული?

— ვინ არის ნაწარმოების მთავარი გმირი? არამთავარი გმირები?

— ვინ არის მახმუტ-ბიი? რა მიგვანიშნებს მის ქართველობაზე? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი.

— როგორ არის აღწერილი ტექსტში მისი განვლილი ცხოვრება? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი.

— ეგვიპტეში მყოფმა მახმუტმა ადვილად დაივიწყა თავისი ქართველობა. რა იყო ამის მიზეზი?

— რატომ მიიჩნია მან მოკლული ვენეციელი ქართველად?..

ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ დაისმის უფრო მაღალი დონის კითხვები, რომლებიც ემსახურება მიღებული **ცოდნის გამოყენებას, ანალიზს, სინთეზსა** და **შეფასებას:**

— რა საერთო აქვს მახმუტ-ბიის ვენეციელ ასისთავთან? რით ჰგავს მათი ცხოვრება ერთმანეთს? *(„არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი. ორივენი **ბედკრული** საქართველოს შვილები იყვნენ!..“, ორივეს ცხოვრება ერთგვარად წარიმართა— ბავშვობაში გაიტაცეს; გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ უცხო ქვეყანაში, ორივე ამ ქვეყნებისთვის ბრძოლაში ღვრიდა სისხლს, ორივეს დაავიწყდა ქართველობა, ორივეს უცხო ქვეყნის სამოსი აცვია ...) (აქ შეიძლება გამოვიყენოთ „ვენის დიაგრამაც)*“.

— „...მაგრამ თავისი თავი კი ვეღარ იცნო: ორმოცი წლის დანალექი მისი გულიდან თითქოს ერთ წამში გადაირეცხა, გასუფთავდა...“ — რამ გამოიწვია მახმუტ-ბიიში ასეთი ცვლილება? *(საკუთარი ხელით თანამოძმის მოკვლამ უცხოთა ომში; იმის გაცნობიერებამ, რომ ის დიდი ხანია თავის ქვეყანასა და ხალხს აღარ ეკუთვნოდა; რომ ის სხვა ქვეყნისათვის ღვრიდა სისხლს...);* რას გულსხმობს მწერალი სიტყვა „დანალექში“? *(ეგვიპტეში გატარებულ ორმოც წელიწადს; იმ ცხოვრებას, რომელმაც დაფარა, დაჩრდილა მისი ბავშვობის მოგონებები).*

— თქვენი აზრით, რამდენად დამაჯერებლად შეძლო ავტორმა მახმუტ-ბიის სახეცვლის აღწერა? *(აქ მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან თავისი აზრი და დაასაბუთონ ტექსტიდან სათანადო ადგილების მოტანით).*

— „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი. ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ!“ — ამ სიტყვებით ასრულებს ავტორი თხრობას. თქვენი აზრით, რა განწყობის აღძვრა სურს ამ წინადადებით მწერალს მკითხველში? აღწევს თუ არა იგი თავის მიზანს?

— რის თქმა სურს მწერალს ამ ნაწარმოებით?

— გაგიჩნდათ თუ არა სურვილი „მამელუკის“ სრული ვერსიის წაკითხვისა? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— ეცადეთ, შეურჩიოთ სათაური შესწავლილ მონაკვეთს.

აქტივობა 3. დისკუსია (7-8 წთ):

— მახმუტ-ბიიში უზარმაზარი ცვლილება ხდება. ეგვიპტის სულთნისათვის თავდადებული მამელუკიდან იგი თავისივე ეგვიპტელი თანამოძმის მკვლელად იქცევა. დამაჯერებლად გეჩვენებათ მისი ამგვარი გარდასახვა? *(ეს აქტივობა სრულდება ჯგუფურად და მას შეიძლება მიეცეს ერთგვარი დისკუსიის ხასიათი, მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი საყურადღებოა.** მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრის დასაბუთება. ისინი იხსენებენ წაკითხულს, მოსმენილს, ნანახს, ავლებენ პარალელებს და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ სათანადო დასკვნებს).*

აქტივობა 4. ლიტ. და კინოვერსიების შედარება (10 წთ):

(ამ აქტივობის შესრულებისას კარგია, თუ მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა და ერთხელ კიდევ აჩვენებს ბავშვებს ქართველი მამელუქის აღსასრულის ეპიზოდს):

— თუ გაქვთ ნანახი კინოფილმი „მამლუქი“, ეცადეთ, შეადაროთ იგი ამ ნაწარმოებს. იმსჯელეთ, რა საერთოსა და განსხვავებას ხედავთ მათ შორის. რა ცვლილებები შეიტანა რეჟისორმა ფილმში? ამართლებს თუ არა მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი თქვენს წარმოდგენას

ქართველი მამელუკის შესახებ? რა ცვლილებას შესთავაზებდით მსახიობს? რეჟისორს?

— ვინ უკეთ შეძლო სათქმელის მიტანა მკითხველთან/კინომაყურებელთან — მწერალმა თუ რეჟისორმა? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 5. სტრატეგია 3.2.1 (5 წთ):

3 რამ, რამაც დამაინტერესა; **2** რამ, რის შესახებაც უფრო მეტი მინდა გავიგო; **1** რამ, რასაც არ ვეთანხმები.

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 7. (2-3 წთ) საშინაო დავალება:

„მამელუკი" (თხრობით); ერთხელ კიდევ ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და მოინიშნონ ის ადგილები, სადაც მთავარი გმირის თვისებები ჩანს.

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. მთავარი პერსონაჟის დახასიათება ტექსტუალური მასალის საფუძველზე. (7-8 წთ).

აქტივობა 3. ენობრივ მხარეზე ვარჯიში: (7-8 წთ)

ა)ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება:

მახმუტ-ბიის სახეცვლილებას მწერალი სულ რამდენიმე სიტყვით აღწერს. მოძებნეთ ეს სიტყვები („ის უკვე მამელუკი აღარ იყო").

— „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ,"— რომელ ზედსართავ სახელს იყენებს მწერალი იმდროინდელი საქართველოს დახასიათებისათვის? როგორ ფიქრობთ, რას გამოხატავს მწერალი ამ სიტყვით „ბედკრული"? (თავის დამოკიდებულებას საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის მიმართ).

— ეს ნაწარმოები — „მამელუკი" — დაიბეჭდა 1912 წელს. თქვენი აზრით, შეეძლო თუ არა მწერალს ამ სიტყვის გამოყენება იმდროინდელ (XX ს.-ის დასაწყისი) მიმართებაშიც? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

ამ მაგალითზე დაკვირვებით ეძლევათ **ეპითეტის** განსაზღვრება. ვარჯიშობენ შესწავლილ ტექსტებში ეპითეტების მოძებნაზე.

შეიძლება დავაკვირვოთ მოსწავლეები ტექსტში გამოყენებული რთული სიტყვების: **თქარათქური, ტკაცატკუცი, ჩახაჩუხი** — მართლწერაზეც (დავალება №5); ვავარჯიშოთ პუნქტუაციასა და ინტონაციაზე: მაგ., მოძებნეთ ის წინადადებები, რომლებიც ორი სასვენი ნიშნით (?!) ბოლოვდება. რა ემოციას გამოხატავს აქ თითოეული სასვენი ნიშანი? წაიკითხეთ ეს წინადადებები სათანადო ინტონაციით, დაასახელეთ და წაიკითხეთ მსგავსი მაგალითები წინა გაკვეთილებზე შესწავლილი ლიტ. მასალიდან... ამგვარი მუშაობით მოსწავლეებისათვის თანდათან უნდა გახდეს ნათელი, რომ ყველა ეს კომპონენტი: **სიტყვა, პუნქტუაცია, ინტონაცია, მართლწერა** — ემსახურება ტექსტის უკეთ აღქმასა და გააზრებას.

ბ) ქართველური ენები:

— მოკლული ასისთავის უკანასკნელი ამოკვნესა „ვაი, ნანა" იყო, საქართველოს რომელ კუთხეში მოიხსენებენ დედას ამ სიტყვით?

აქვე ვაცნობთ ამ სიტყვის სხვა ქართველურ ვარიანტებსაც (ნენა, ნენე, დიდა, დი, დედე). მოსწავლეებს წინა კლასიდან უკვე აქვთ გარკვეული ინფორმაცია ქართველური ენების შესახებ, ამ ეტაპზე მათთვის ახალი მხოლოდ ტერმინი „ფუძე ენა" იქნება.

აქტივობა 4. მხატვრულ ხერხებზე დაკვირვება (8 წთ):
მოცემული ეპითეტების დაკავშირება შინაარსით შესაფერ სიტყვებთან (დავალება №4).

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ):
„მამელუკი", დავალება №3 (აქტ. რვეული): „ქართველი მამელუკის სევდიანი მოგონებები"

შედეგები:

VI.1. — მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უნარ-ჩვევა;
VI.2 — მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი დეტალების შეფასების უნარი;
VI. 3. მოსწავლეს შეუძლია წარმართოს საკუთარი მეტყველება მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად;
VI. 5. — მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ინდ. და ჯგუფური სტრატეგიების გამოყენება;
VI.8 — მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები;
VI.9 — მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ;
VI. 12 — მოსწავლეს შეუძლია წაკითხული ნაწარმოებისა და მისი ეკრანიზებული ვარიანტის ერთმანეთთან შედარება
VI.13 — მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება (აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკულ ნაწილებს, გამოთქვამს ვარაუდებს და ა. შ.);
VI.14 — მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმ. გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში, აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი;
VI.15 — მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის აგება;
VI.1 მოსწავლეს შეუძლია ორთ. და პუნქტ. აუცილებელი წესების გამოყენება...

მომდევნო მასალის: **ფრიდონ ხალვაშის „მითხარ, როგორაა მემლექეთი!“** და **საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებული ქართული ენის დიალექტები** — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას პოეტის შესახებ, აგრეთვე შემაჯამებელ აქტივობას, რომელიც ამ გაკვეთილზე თემის დამთავრების შემდეგ უნდა ჩატარდეს.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის

ფრიდონ ხალვაში *— თანამედროვე ქართველი პოეტი, დაიბადა 1925 წ აჭარაში, ქედის რაიონში, დაამთავრა ბათუმის პედ. ინსტიტუტი (1950 წ.) და მ. გორკის სახ. უმაღლესი ლიტ. კურსები (1957 წ.), პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1944 წ. არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე ენაზე, გარდაიცვალა 2010 წელს.*

შემაჯამებელი აქტივობა:

მოსწავლეებს ინდივიდუალური მუშაობისათვის ვთავაზობთ თემას: **„სამშობლოდან გადახვეწილნი“,** ვავალებთ, შეაჯამონ ყველაფერი, რაც ამ საკითხის შესახებ წაიკითხეს, მოისმინეს, ნახეს... მოემზადონ ზეპირი პრეზენტაციისათვის შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაიცვან დროის ლიმიტი (მოსაფიქრებლად 10 წთ, პასუხისათვის — 5 წთ),
ბ) წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით,
გ) იმსჯელონ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე,
დ) დაასაბუთონ მოსაზრება ფაქტებზე (ტექსტებზე, კინოფილმებზე) **დაყრდნობით,**
ე) იმეტყველონ გასაგებად, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით,
ვ) დაიცვან ეტიკეტი.

ზეპირმეტყველებაში შეფასების სქემა:

პირობასთან შესაბამისობა	**ქულები**
იცავს დროის ლიმიტს, ეტიკეტს	0-1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 – 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას	0 – 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1- 2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 – 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
მეტყველებს გასაგებად, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, სათანადოდ იყენებს ჟესტ-მიმიკას	0-1
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს	0-1

შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები.	0-1

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
(ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)

ზეპირმეტყველებაში შემაჯამებელი შეფასების შედეგები:

VI.1 — მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

VI. 3 — მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად

VI.5- — მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ინდივდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

გაკვეთილის თემა:
ნოდარ დუმბაძის „გული“, ქართული ენის ლექსიკონები (2 სთ)

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება
- თხრობისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- მიზნობრივი ტექსტის აგება
- ლექსიკონებზე მუშაობის (განმარტებითი, თარგმნითი, უცხო სიტყვათა...) საწყისი უნარ-ჩვევების ფორმირება

I-II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია.

აქტივობა 2. გამოწვევა — კითხვისათვის მზადება:
აქ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენეულ ვარიანტს: **ა)** შესავალი საუბარი ნოდარ დუმბაძის შესახებ, მისი ბიოგრაფიიდან იმ მომენტის წინა პლანზე წამოწევა, რომ მან თავისი ბავშვობის გარკვეული ნაწილი აფხაზეთში, სოხუმში, გაატარა; **ბ)** „გონებრივი იერიშის რუკა“ („ასოც. რუკა“) — იდეების გენერაცია — დაფაზე იწერება სიტყვა „აფხაზეთი“. მოსწავლეები ჩამოწერენ იმ ფრაზებს, რის ასოციაციასაც ეს სიტყვა აღძრავს: დაკარგული (ოკუპირებული) ტერიტორია, აფხაზეთი ჩვენი ტკივილია, ქართველთა და აფხაზთა ომი, ლტოლვილები...

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა:
აქ შეიძლება გამოვიყენოთ **„მართული კითხვის“** სტრატეგია: წყვილებს ვავალებთ ნაწილ-ნაწილ წაიკითხონ ნოდარ დუმბაძის აღნიშნული მოთხრობა **ჩუმად** და გზადაგზა, ტექსტის კითხვის პროცესში, არშიაზე ფანქრით გააკეთონ **აღნიშვნები:**

V-ით აღინიშნება ის, „რაც უკვე ვიცოდი“,
— -ით ის, „რაზეც განსხვავებული ინფორმაცია მქონდა“,
+ -ით ის, „რაზეც ახალი ინფორმაცია მივიღე“,
? –ით ის, „რაც ვერ გავიგე“.

მუშაობის დამთავრების შემდეგ წყვილები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ნააზრევს. სავარაუდოდ, კლასის ერთი ნაწილისათვის უცხო იქნება ის ინფორმაცია, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ, მათ ერთმანეთის ენებიც კარგად იცოდნენ, „არძმობის“ ამბავი მათთვის ძნელი გასახსენებელი იყო... კლასისა და მასწავლებლის დახმრებით გაანალიზდება ის ადგილები, რომლებიც მოსწავლეებმა კითხვის (?) ნიშნით აღნიშნეს.

ამის შემდეგ ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი ან კითხვაში გაწაფული რომელიმე მოსწავლე. თხრობა ძირითადად მონოლოგურია, საკმაოდ ემოციური, დიდი ყურადღება ექცევა ინტონაციასა და ფსიქოლოგიურ მახვილებს.

აქტივობა 4 წაკითხულის გააზრება:

— რა გახდა ამ ნაწარმოების დაწერის მიზეზი? *(შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“).*

— რა გრძნობა დაეუფლა მწერალს „აფხაზური კანტატის“ წაკითხვის შემდეგ? *(„ლექსმა ჯერ სიხარულით ამავსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს — შური. დიახ, კეთილი შურით ვწერ ამ წერილს“).*

— რამ გაუჩინა მას ეს გრძნობა? *(იმ მოგონებებმა, რაც მას აფხაზეთთან აკავშირებდა).*

— რა სიტყვებით გამოხატავს იგი თავის დამოკიდებულებას ამ ლექსის მიმართ? *(„ეს ხომ ჩემზეა დაწერილი“!).*

— რა მოგონებები აღუძრა მას ამ ლექსის წაკითხვამ? ვის იხსენებს იგი? *(„ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი ცოლი სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა...).*

— ვის მიუძღვის ღვაწლი მის გადარჩენაში? *(„ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს ვხედავ... ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპბების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს ვარჩევ...“).*

— განსაკუთრებული სიყვარულით ვის იხსენებს იგი? *(„კიდევ ორი ოჩამჩირელი მოსწავლე გოგონა მახსენდება: ერთი აფხაზი, მეორე — ქართველი... ამათ მხრებზე ანგელოზები ესხდნენ...).*

— რა აკავშირებს მას ამ ადამიანებთან? რომელ სიტყვებში ჩანს ეს? მოძებნეთ ტექსტში და წაიკითხეთ სათანადო ადგილი *(უდიდესი მადლიერება და სიყვარული: „თქვენი მოტანილი ლიმონი და ფორთოხალი იმ ყველა ამერიკულ და გერმანულ წამალზე უფრო მომიხდა. მადლობელი ვარ, თქვენ შემოგევლოთ ჩემი სიცოცხლე“).*

— „არ მეგონა, თუ სიკვდილი ასეთი ინტერნაციონალისტური იყო“, — წერია ტექსტში. რატომ უწოდებს მწერალი ამ შემთხვევაში სიკვდილს „ინტერნაციონალისტურს“? *(მომაკვდავ მწერალს თავზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები: აფხაზები, ქართველები, ბერძნები, ებრაელები, რუსები — ადგნენ).*

— რა თხოვნით მიმართა მწერალმა ნაცნობ ისტორიკოსს? *(„ჩვენი ისტორიული წარსულიდან აფხაზთა და ქართველთა ძმობის რაიმე ლამაზი ამბავი გაიხსენე-მეთქი“).*

— რა უპასუხა მან? *(„არძმობის ამბავი ვერ გავიხსენე და ის როგორღა გავიხსენო?!“)*

— რამ გაუჩინა მწერალს სურვილი — ლექსიკონში სიტყვა „გულის“ განმარტება მოეძებნა? *(„შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა რომ ჩავათავე, გულში რაღაც უსაშველო სითბო ჩამეღვარა. ავდექი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვძებნე ლექსიკონში „გულის“ განმარტება“).*

— ტექსტში ჩართულია ნაწყვეტები შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან „აფხაზური კანტატა“. თქვენ ამ ლექსს არ იცნობთ. შეგიძლიათ თუ არა, ამ ნაწყვეტების მიხედვით იმსჯელოთ, რას მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი? *(ეს ლექსი პოეტმა აფხაზეთს, ქართველებისა და აფხაზების ისტორიულ ძმობას მიუძღვნა).* რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით *(ეს ჩანს იმ ნაწყვეტებიდან, რომლებიც ტექსტშია ჩართული: „ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან“ „ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად“, “ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო!“).*

— პოეტი უსაქართველოდ დარჩენილ აფხაზეთს „ამორძალს“ უწოდებს. როგორ ფიქრობთ, რატომ? *(ამორძალებს ცალი მკერდი მოჭრილი ჰქონდათ, აფხაზეთიც საქართველოს გარეშე მკერდმოჭრილია, დამახინჯებულია; ამორძალებიც, აფხაზების მსგავსად, შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ).*

— „თავად ქმრის ხათრით ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხრობაც დაწერა და წიგნადაც გამოაქვეყნა. ცოდვას ვერ ვიტყვი: ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, კარგი მეგრული რომ არ იცოდეს“,— წერს ნოდარ დუმბაძე ქართველებისა და აფხაზების შესახებ. ამ სტრიქონებით რას უსვამს იგი ხაზს? *(მათ სიახლოვესა და სიყვარულს).*

— მისი აზრით, ორი ხალხის დაახლოებისათვის რა არის საჭირო? *(ერთმანეთის ენების ცოდნა).*

— შესწავლილი ტექსტის მიხედვით, როგორი იყო ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა ძველად? *(მეგობრული, ძმური).*

„აუ, რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს!..“ — როგორ ფიქრობთ, რატომ ამთავრებს მწერალი ამ სიტყვებით თხრობას? *(გული ამ შემთხვევაში სიყვარულის, სითბოს, მეგობრობის სინონიმია).*

აქტივობა 5. თხრობა:

მოსწავლეები ადგენენ შინაარსის გადმოსაცემად გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. წარსულის მოგონებები
2. კეთილი აფხაზები/აფხაზი ახლობლები
3. ავადმყოფობა
4. „ინტერნაციონალური სიკვდილი“
5. ქართველთა და აფხაზთა ძმობა...

ვარჯიშობენ ტექსტის შინაარსის მესამე პირში გადმოცემაზე, იგივე სავარჯიშო შეიძლება შევასრულებინოთ წერითაც (აქტ. რვეული №3).

აქტივობა 6. (წყვილებში):

დავალება №1 (აქტივობის რვეული): გაესაუბრეთ თქვენს აფხაზ თანატოლს, რომელიც დღეს ქართველებისაგან მიტოვებულ სოხუმში ცხოვრობს.

აქტივობა 5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ტექსტში ნახსენებია რამდენიმე აფხაზური სიტყვა. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს სიტყვები *(სარა ბარა ბზია იზბოიტ, ამრა).*

აქ მოსწავლეებს მარტივად შეიძლება მივაწოდოთ ინფორმაცია აფხაზური და ქართველური ენების ნათესაობის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

*აფხაზური ენა, ისევე როგორც ქართული ენა, მიეკუთვნება **იბერიულ-კავკასიურ** ენათა ოჯახს, რომლის შემადგენლობაშიც გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:*

***ქართველური** (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური);*

***აფხაზურ-ადიღეური** (აფხაზური — საქართველოს ტერიტორიაზე, აბაზური, ადიღეური/ჩერქეზული, ყაბარდოული — ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე, უბიხური — თურქეთის ტერიტორიაზე);*

***ნახური** (ჩაჩნური, ინგუშური — ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე, ბაცბური/წოვა-თუშური — საქართველოს ტერიტორიაზე);*

***დაღესტნური** (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლეკური/ლეზგიური, დარგუული და ლაკური — ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე).*

მოსაზრებას, რომ ქართველური ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს ეკუთვნიან, ყველა მეცნიერი არ იზიარებს.

— „დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა **გამოართვა კაცს სათქმელი პირიდან?!**“ — ამბობს ნოდარ დუმბაძე შოთა ნიშნიანიძის შესახებ. როგორ გესმით ხაზგასმული ფრაზის მნიშვნელობა? *(ჩემი სათქმელი შენ როგორ უნდა თქვა?!)*

— „კეთილი შურით ვწერ ამ წერილს“, — ამბობს ნოდარ დუმბაძე ამ მოთხრობაში. „შური — არს მწუხარება სხვასა კეთილსა ზედა,“— განმარტავს სულხან-საბა სიტყვა „შურს“ თავის ლექსიკონში. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა იყოს შური „კეთილი“? რას უნდა ნიშნავდეს „კეთილი შური“? *(შური თავისთავად არ შეიძლება იყოს კეთილი, მაგრამ აქ ფრაზით მწერალი მიგვანიშნებს, რომ მას კი არ შურს შოთა ნიშნიანიძის, არამედ მის ადგილზე ისურვებდა ყოფნას, დიდ პატივად მიიჩნევდა ასეთი ლექსის ავტორობას...).*

აქტივობა 6. ქართული ენის ლექსიკონები: მასწავლებელი კლასს ესაუბრება ქართული ენის ლექსიკონების (*განმარტებითი, თარგმნითი, ორთოგრაფიული, უცხო სიტყვათა, ხატოვანი სიტყვა-თქმების...)* შესახებ, ახდენს მათ პრეზენტაციას, აცნობს მათი გამოყენების წესებს, ავალებს კლასს (აქტ. რვეული, დავალება №4) ერთად მოიძიონ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ბურანი — (გარდამავალი მდგომარეობა ძილსა და ღვიძილს შორის)

დაზაფრული — (აქ: დანაღვლიანებული, დადარდიანებული)

ბახალა — (ბარტყი ყვავისა, ყორნისა, ჭილყვავისა, კაჭკაჭისა და მისთ.)

ასევე — ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენებით შეასწორონ უმართებულოდ დაწერილი ფორმები (აქტ. რვეული, დავალება №5), ჩასვან ტექსტში სხვათა სიტყვის ნაწილაკები (№6).

აქტივობა 7. თავისუფალი წერა (ინდივიდუალურად):

მასწავლებელი კლასს ავალებს ააგონ ტექსტი აფხაზეთის შესახებ, წინასწარ აფრთხილებს, რომ ეს დავალება ნიშნით არ შეფასდება, მისი დანიშნულებაა აზრის თავისუფლად გამოთქმა, ავტორს შეუძლია თავისუფლად იმსჯელოს წამოჭრილი საკითხის ირგვლივ — ყველას აზრი საყურადღებოა. თუ სურვილი ექნებათ, შეუძლიათ თანატოლებსაც გააცნონ საკუთარი ნააზრევი *(ეს დავალება აუცილებლად სრულდება კლასში. დრო ლიმიტირებულია).*

შედეგები:

VI.1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების უნარი;

VI.2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი დეტალების შეფასების უნარი;

VI.6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი;

VI.9. მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ;

VI.10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი;

VI.13. მოსწავლეს აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები — მართებულად იყენებს დარგობრივ ლექსიკონებს

VI.14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში.

გაკვეთილის თემა:

„აკრძალული ქალაქის სევდა“ (საგაზეთო პუბლიკაცია), მეტყველების ნაწილები — სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე, ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი (3 სთ)

მიზნები:

- მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის მიღება და გადაცემა
- მათი მეტყველების წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად
- დისკუსიაში მონაწილეობისას ჯგუფური და ინდ. სტრატეგიების გამოყენება
- პირადი გამოცდილების მიხედვით ტექსტში ასახული პრობლემის შესახებ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- მედიატექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავება
- პრესის ენაზე დაკვირვება (ტერმინის მიწოდების გარეშე)
- მიზნობრივი ტექსტების აგება
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- ტექსტის ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება
- აუცილებელი ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

I—II გაკვეთილი

აქტივობა 1. გამოწვევა: მოსწავლეები იხსენებენ და აჯამებენ იმას, რაც ნ. დუმბაძის მოთხრობის მიხედვით აფხაზეთის შესახებ შეიტყვეს. ამის შემდეგ მასწავლებელთან ერთად ავლებენ პარალელს თანამედროვეობასთან, იხსენებენ ყველაფერს, რაც სმენიათ აფხაზეთის ომის შესახებ. შეიძლება გამოვიყენოთ „გონებრივი იერიშის რუკაც“.

აქტივობა 2. ტექსტის კითხვა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოთავსებულ საგაზეთო სტატიას, რომელიც „კვირის პალიტრიდან“ არის ამოღებული და ქართულ-აფხაზურ ომს შეეხება. ტექსტს კითხულობენ ჩუმად, შეიძლება გამოვიყენოთ **ჩუმი კითხვის სტრატეგია „მზე და მთვარე“** („აქტ. რვეული“, დავალება №2), რომლის არსიც შემდეგში გამოიხატება:

ა) მოსწავლეებს ვავალებთ, რომ კითხვის პროცესში მათთვის გასაგები და ნათელი საკითხები „მზის“ ქვეშ ჩაწერონ, ხოლო ბუნდოვანი და გაუგებარი კი — „მთვარის“ ქვეშ;

ბ) განვსაზღვრავთ დროს, დაახლოებით 10-12 წთ. თუ რომელიმე მოსწავლე ამ დროში ვერ ჩაეტევა, შევაწყვეტინებთ კითხვას და ჩავრთავთ შემდეგ საქმიანობაში;

გ) კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები დაწყვილდებიან და ერთმანეთს უზიარებენ აზრს და უჩვენებენ ჩანაწერებს. თითოეულს ვაძლევთ ინსტრუქტაჟს: გადახედეთ ერთმანეთის ჩანაწერებს და დაეხმარეთ მეწყვილეს ბუნდოვანი ადგილების გარკვევაში;

დ) აზრთა გაზიარების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, ის ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც მეწყვილესთან აზრის გაზიარების შემდეგ მათთვის ნათელი გახდა, განსხვავებული ფერის კალმით „მთვარის“ სვეტიდან „მზის“ სვეტში გადაიტანონ;

ე) წყვილებში დავალების შესრულების შემდეგ ვარკვევთ, რომელი საკითხები დარჩა გაუგებარი და ჩვენს შემდგომ მუშაობას სწორედ ამაზე ავაგებთ.

აქტივობა 3. გააზრება:

— სტატიის ავტორი იხსენებს ერთ ფაქტს ომამდელი სოხუმის ცხოვრებიდან. რა ფაქტია ეს? *(უპოვარი ბერიკაცი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდუმარედ დგას და შემოჩვეულ მტრედებს საკენკს უყრის. ეს, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელი ფაქტი მიგვითითებს ომამდელი სოხუმის მშვიდობიან ცხოვრებაზე, რომელიც ამ სტატიის ავტორს ძალიან ენატრება).*

— როდის გაქრნენ მტრედები სოხუმიდან? *(ომის დროს, როცა „ზღვისპირეთში სიმშვიდე ტყვიების ზუზუნმა და ავტომატების კაკანმა დაარღვია“).*

— რას თვლის ავტორი ქართველი და აფხაზი ხალხის გაუცხოების მთავარ მიზეზად? *(რუსულ ენას — „რუსულმა ენამ აფხაზსა და ქართველს შორის გაუცხოების კედელი აღმართა“).*

— როგორ გაბატონდა აფხაზეთში რუსული ენა? *(ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთის ენა აღარ ესმოდათ, ქართველმაც და აფხაზმაც რუსულად დაიწყეს ერთმანეთთან საუბარი: „ორი მოძმე ხალხის - აფხაზებისა და ქართველების — ურთიერთობისთვის მესამე ენა გახდა საჭირო! ასე გაბატონდა რუსული).*

— როდის დაადგა რუსეთმა შავი ზღვის ყურეებს თვალი? *(„როდესაც ქართული ანბანი რუსულმა ჩაანაცვლა, რუსმაც შავი ზღვის ყურეებს დაადგა თვალი“).*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

აფხაზური ანბანი პირველად რუსული გრაფიკის საფუძველზე 1862 წ. შეიქმნა. XX ს.-ში აფხაზური ანბანი რამდენჯერმე შეიცვალა: 1926-1928 წ. მოქმედებდა სპეციალურად აფხაზური ენისათვის ნიკო მარის მიერ შექმნილი ანბანი; 1928-1938 წლებში — ლათინიზებული ანბანი (აფხაზური ენის ბგერათა სისტემა გადმოცემული იყო ლათინური ასოების მეშვეობით), 1938 -1954 წლებში აფხაზურ ანბანს საფუძვლად დაედო ქართული ანბანი, რომელიც ყველაზე ადეკვატურად გადმოსცემდა აფხაზური ენის ბგერათა სისტემას, 1954 წლიდან — შემუშავდა ახალი ანბანი რუსული ანბანის საფუძველზე. (ქ ს ე, ტ.II, გვ. 34). სტატიის ავტორსაც სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში, როდესაც წერს: „. . . ქართული ანბანი რუსულმა ჩაანაცვლა“.

— ომის ყველაზე დიდ პოზიტივად რას მიიჩნევს სტატიის ავტორი? *(ომის დროს აფხაზეთში მცხოვრებმა ყველა ქართველმა ქართულად დაიწყო საუბარი: „ეროვნული მოძრაობის პერიოდში რუსული სკოლის პარალელური კლასები დაიხურა, ქართულ სკოლებს კი მოსწავლეები მოუმრავლდა. ომის დღეებში სოხუმი ქართულ ენაზე მეტყველებდა... ომის ყველაზე დიდი პოზიტივიც ეს იყო!“).*

— საგაზეთო სტატიის ავტორი სოხუმს „აკრძალულ ქალაქს“ უწოდებს. თქვენი აზრით, როდის გახდა სოხუმი ქართველებისათვის „აკრძალული ქალაქი“? *(მას შემდეგ, რაც ძმათამკვლელი ომის შემდეგ ქართველებმა სოხუმი დატოვეს).*

— „სოხუმი ახლა იმაზე შორსაა, ვიდრე ოდესმე იყო“, — წერია ტექსტში. როგორ ფიქრობთ, რის თქმა სურს ავტორს ამ ფრაზით? *(ქართველები ველარ ახერხებენ სოხუმში ჩასვლას, თავიანთი სახლების, წინაპართა საფლავების მონახულებას... სიშორეში იგულისხმება არა ის მანძილი, რომელიც თბილისიდან სოხუმამდეა, არამედ ის ომი, რომელმაც აფხაზეთი დანარჩენ საქართველოს მოსწყვიტა).*

— აფხაზეთიდან წამოსულ ჟურნალისტს ახსენედება მოხუცი, რომელსაც ქალაქის ცენტრში ხვდებოდა ხშირად. როგორ ფიქრობთ, რატომ იხსენებს იგი ამ მოხუცს? რატომ შემორჩა მის მეხსიერებას ასე ცხადად მაინცდამაინც ამ მოხუცის სახე? *(ეს ჩუმი მოხუცი და მის გარშემო თავმოყრილი მტრედები თითქოს მშვიდობიანი ქალაქის სახეა).*

— „ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების სხვა ჩანახატივით ომმა ისიც მუქი საშლელით წაშალა“ —თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო „მშვიდობიანი ცხოვრების სხვა ჩანახატები“? *(აქ მოსწავლეთა ფანტაზიას ეძლევა გასაქანი. წარმოსახვით ქმნიან ისინი მშვიდობიანი სოხუმის ცხოვრების ამსახველ სურათებს).*

— სტატიის ავტორი გვთავაზობს ორ ჩანახატს სოხუმის ცხოვრებიდან. რა ჩანახატებია ეს? *(ერთში — „ბერიკაცი და მტრედები“ —აღწერილია ომამდელი, მეორეში — „ქაფურის ხეების სითბო“— ომისდროინდელი სოხუმის ცხოვრება).*

— ომის დროს სოხუმი ქართულად მეტყველებდა. როგორ ფიქრობთ, რატომ? *(ამით სოხუმელი ქართველები ხაზს უსვამდნენ თავიანთ ქართველობას; ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ მტრის არ ეშინოდათ; რომ რუსული პოლიტიკა მათთვის მიუღებელი იყო; ამით თითქოს რუსეთის პოლიტიკას უცხადებდნენ პროტესტს...).*

აქტივობა 4. რეფლექსია: ამ ეტაპზე მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ წერითი აქტივობა ე.წ. **„ხუთსტრიქონიანი ლექსი“.**

„ხუთსტრიქონიანი ლექსი“ — ეს არის პირობითი სახელწოდება იმ მეთოდისა, რომლის მიზანიცაა ნასწავლი საკითხის ლაკონიურად, სწრაფად გადმოცემა, ამავე დროს, იგი გვეხმარება შევაფასოთ მოსწავლის მიერ ინფორმაციის გაგების ხარისხი. ამ შემთხვევაში ამგვარი „ლექსი“ საშუალებას მოგვცემს გავამეორებინოთ მოსწავლეებს წინა კლასებში შესწავლილი მეტყველების ნაწილებიც.

მეთოდის აღწერა:

ა) შევთავაზოთ მოსწავლეებს ამგვარი „ლექსის“ დასაწერად **თემა** (ჩვენს შემთხვევაში „აკრძალული ქალაქი“);

ბ) ავუხსნით მოსწავლეებს წერის ტექნიკას:

— პირველ ხაზზე დავწეროთ **ერთი არსებითი სახელი,** რომელიც თემას უკავშირდება *(მაგ., სოხუმი, აფხაზეთი, ბერიკაცი...);*

გ) მეორე ხაზზე დავწეროთ **ორი ზედსართავი სახელი,** რომელიც ამ არსებით სახელს უკავშირდება *(მაგ., სოხუმი —აკრძალული, ალმოდებული... აფხაზეთი —მკერდმოჭრილი, ოკუპირებული... ბერიკაცი — უპოვარი, მდუმარე...);*

— მესამე ხაზზე ამ არსებით სახელთან დაკავშირებული **სამი ზმნა** *(სოხუმი — დაგვშორდა, გაუცხოვდა, დაიკარგა; ბერიკაცი — დუმდა, იდგა, გაქრა...);*

— მეოთხე ხაზზე იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა თემასთან დაკავშირებით *(მაგ., „სოხუმი აკრძალულ ქალაქად იქცა“; „ბერიკაცი გაქრა ალმოდებული ქალაქიდან“);*

— მეხუთე ხაზზე **ერთი სიტყვა,** რომელიც თემის არსს გამოხატავს და თავის თავში გაამთლიანებს ამ ფრაზასა და ყველა ლექსიკურ ერთეულს *(მაგ., ომი)*

ეს დავალება შეიძლება შესრულდეს წყვილებში, დრო ლიმიტირებულია — 5-7 წთ.

სავარაუდოდ, ეს „ხუთსტრიქონიანი ლექსი“ ასეთ სახეს მიიღებს:

სოხუმი
აკრძალული, ალმოდებული
დაგვშორდა, გაუცხოვდა, დაიკარგა
სოხუმი აკრძალულ ქალაქად იქცა.
ომი

აქტივობა 5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

— დააკვირდით ტექსტს. ავტორი ცდილობს მრავალსიტყვაობით არ შეაწყინოს მკითხველს თავი. სათქმელი მოკლედ მიაქვს მკითხველამდე. თუმცა წერისას ეპითეტებს მაინც უხვად იყენებს. მოძებნეთ ტექსტში ისინი *(**ავი** ჟამი, **აკრძალული** ქალაქი, **შეჩერებული** წამები, **ყრუ** კედელი...);*

— რომელი სიტყვებით აღწერს მწერალი სოხუმში ომის დაწყებას? *(„ზღვისპირეთში სიმშვიდე ტყვიების ზუზუნმა და ავტომატების კაკანმა დაარღვია“);*

— სტატიაში არსად არ არის ნაჩვენები სისხლიანი ბრძოლის ეპიზოდები, მაგრამ ყოველ სტრიქონში იგრძნობა, რომ ქალაქში ომია. როგორ ახერხებს ამას ავტორი? *(ავტორი შემდეგი სიტყვებითა და ფრაზებით მიგვანიშნებს ქალაქში დატრიალებულ განსაცდელზე: „ტყვიების ზუზუნი“, „ავტომატების კაკანი,“ „გაუკაცრიელებული სანაპირო“, „ქუჩამ სიხარული დაკარგა“, „ზღვა გამუქდა და ავად დაიწყო ტორტმანი“, „ავი ჟამი“...*);

— „ტკივილამდე ნაცნობი ფრაგმენტები“, — წერს ჟურნალისტი სოხუმიდან ჩამოტანილი ფოტოკადრების შესახებ. რა ემოციის გამოხატვა სურს მას ამ სიტყვებით? *(ძლიერი მონატრების);*

— „ავი ჟამი დაუდგა ზღვისა და მტრედების ქალაქს“... — ავტორი მრავალწერტილს სვამს წინადადების ბოლოს. თქვენ როგორ გააგრძელებთ ამ წინადადებას? *(ქალაქი ომის ქარცეცხლში გაეხვია, ძმებმა ერთმანეთი მოსაკლავად გაიმეტეს...);*

— ავტორი ომამადელ სოხუმს „მტრედების ქალაქს“ ეძახის. რატომ? *(ომამდე სოხუმი მშვიდობიანი ქალაქი იყო, სიმშვიდეს არაფერი არღვევდა...)*. თქვენი აზრით, რისი სიმბოლოა მტრედი? *(მშვიდობის).*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მტრედი, ჩვენი ხალხის რწმენით, წმინდა ფრინველია. „ახალ აღთქმაში“ მტრედი ითვლება შესაწირავ ფრინველად; გარდა ამისა, თანახმად ქრისტიანული მოძღვრებისა, სულიწმიდა წარმოდგენილია მტრედის სახით (თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი., 1979წ, გვ.429); მტრედი, როგორც მშვიდი და უწყინარი ფრინველი, მშვიდობის სიმბოლოდ არის აღიარებული. ამას ბიბლიური ლეგენდა უდევს საფუძვლად: სწორედ მტრედმა მოუტანა ნოეს ზეთისხილის შტო იმის ნიშნად, რომ წარღვნა დამთავრდა და ქვეყანად კვლავ მშვიდობამ დაისადგურა.

— მოძებნეთ ტექსტში თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად და აბრუნეთ. რომელ ბრუნვებში შეინარჩუნა ზედსართავმა სახელმა ბრუნვის ნიშნები სრულად? ნაწილობრივ? რომელ ბრუნვებში დაკარგა ბრუნვის ნიშნები?

მოსწავლეები დაფაზე აბრუნებენ რომელიმე სინტაგმას: **აკრძალული ქალაქი, ავი ჟამი, უპოვარი მოხუცი...** აკვირდებიან მათ ბრუნებას და იხსენებენ შესწავლილ მასალას არსებითი სახელისა და თანხმოვანფუძიანი ზედსართავის ერთად ბრუნებასთან დაკავშირებით. შეიძლება ამ ცოდნის გამოყენებით შეასრულონ დავალებაც — გაასწორონ მცდარად დაწერილი ფორმები: მაგ., აკრძალულ ქალაქის, ავი ჟამმა, უპოვარ მოხუცით და ა. შ. ეს ნიმუშები შეიძლება ჩამოვწეროთ ბარათებზე და მოსწავლეებს შევთავაზოთ გაასწორონ მცდარად დაწერილი ფორმები.

აქვე მოსწავლეები იხსენებენ წინა კლასებში შესწავლილ მეტყველების ნაწილებს. ეძლევათ დამატებითი ინფორმაცია სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე, ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესახებ.

აქტივობა 6. შეჯამება: თქვენ წაიკითხეთ აფხაზეთის თემაზე დაწერილი სამი ტექსტი. ეცადეთ, გაავლოთ მათ შორის პარალელები, იმსჯელოთ, რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში. რა იყო ამის მიზეზები. აქ შესრულდება დავალება №3 („აქტ. რვეული“): გაიხსენეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და იმსჯელეთ მათი დაბრუნების გზებზე.

ეს დავალება სრულდება ზეპირად და შეიძლება გამოვიყენოთ ზეპირი შემაჯამებელი მუშაობისათვის (იხ. ზეპირი შეფასების სქემა, გვ. 21).

III გაკვეთილი

აქტივობა 1. დისკუსია „აფხაზეთი საქართველოა“ (10-12 წთ): მასწავლებელი წინასწარ აცნობს კლასს სადისკუსიო თემას. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში ერთიანდებიან სხვადასხვა დონისა და სხვადასხვა მონაცემების მოსწავლეები. თითოეულს განსაზღვრული ფუნქცია და როლი ეკისრება. ეს როლები შემდეგ იცვლება და ყველას ეძლევა საშუალება, სხვადასხვა მიმართულებით მოსინჯოს თავისი ძალები. როლები ამჯერად შეიძლება ამგვარად განაწილდეს:

ა) კითხვების დამსმელი — ამ მოსწავლის მოვალეობაა მოამზადოს კითხვები, რომელთა ირგვლივ გაიმართება დისკუსია; (მაგ., რა ვიცით აფხაზეთის შესახებ? რა ფართობი უჭირავს მას? რამდენი მცხოვრებია ამჟამად? რამდენი იყო ომამდე? რა ურთიერთობა იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიულად? რატომ გამოიქცნენ ქართველები თავიანთი მიწიდან? რომელი მესამე ძალა ჩადგა ქართველებსა და აფხაზებს შორის?..)

ბ) ციტატების შემკრები — ამ მოსწავლის მოვალეობაა, ამოკრიფოს შესწავლილი ტექსტებიდან მნიშვნელოვანი ციტატები, რომლებიც დისკუსიაში არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს და რომლებსაც ის ხმამაღლა წაიკითხავს;

გ) მკვლევარი — მისი მოვალეობაა მოიძიოს დამატებითი ინფორმცია სადისკუსიო საკითხის შესახებ;

დ) ილუსტრატორი — ამ მოსწავლის მოვალეობაა, დახატოს (ან მოიძიოს) და წარმოადგინოს ილუსტრაციები საკითხის ირგვლივ;

ე) მაკონტროლებელი — მისი მოვალეობაა დაეხმაროს ჯგუფს დისკუსიის სწორად წარმართვაში, შეახსენოს რეგლამენტი და დაიცვას კამათის ეთიკა;

ვ) მომხსენებელი — მისი მოვალეობაა, წარუდგინოს კლასს ჯგუფის ნამუშევარი.

აქტივობა 2. შემაჯამებელი წერითი დავალება №5 (20 წთ). („აქტ. რვეული“) — საყრდენ ფრაზებზე თემატური ტექსტის აგება.

შემაჯამებელი სქემის ნიმუში წერაში:

ნაშრომის შინაარსობრივი მხარე და მოცულობა	2
ტექსტის ორგანიზება და ლოგიკურად აგება	1
საყრდენი ფრაზების მიზნობრივად გამოყენება	2
ლექსიკა და სტილი	2
მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია	3

(ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 10)

შედეგები:

VI.1. — მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

VI.3. — შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად;

VI. 5 — შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ჯგუფური და ინდ. სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

VI. 6 — შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ნაწყვეტი;

VI.7. — შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება-გაანალიზება;

VI.9 — შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ;

VI. 10 — აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი;

VI.11. — შეუძლია სხვადსხვა ტიპის (ამ შემთხვევაში საგაზეთო სტატიის) ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა;

VI.12 — აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები;

VI. 14. — შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში და აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი;

VI. 15 – შეუძლია სხვადასხვა მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა;

VI. 16. — შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით სწორი ფორმების აგება.

ამ თემის მომდევნო გაკვეთილების: 1 **ს. ჩიქოვანის ლექსის „ვინა სთქვა“, სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა**; 2. **ს. კლდიაშვილის „შორეული“, ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები** — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

II თემა: „ხმა წარსულიდან“...

მასალის : **1. „უცხო მოყმის ნახვა“** (ნაწყვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ - შემოკლებით), მეტაფორა, ჰიპერბოლა, **2. უფლისწულის აღზრდა** (ნაწყვეტი სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან **„სიბრძნე სიცრუსია“**, არქაიზმები, **ნარ**-თანიანი და **ებ**-იანი მრავლობითი, **3.** დავით გურამიშვილის **„დავითიანი“** (ნაწყვეტი), ძველი ქართული ენის ლექსიკაზე მუშაობა- დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ, ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას ამ თემებთან დაკავშირებით:

1. ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

,,ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ვკითხულობთ: ,,დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარსობილი“, „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“. ამ ფორმის (რუსთველი) პარალელურად „რუსთაველი“ პირველად გამოიყენა გიორგი XII-ის ძემ, თეიმურაზ ბაგრატიონმა.

დღეისათვის გაბატონებულია „რუსთაველი“ (ქ ს ე, ტ. VI, გვ. 607).

2. ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

სულხან-საბას კალამს ეკუთვნის ქართული მწერლობის მშვენება ,,სიბრძნე სიცრუისა“, დაწერილია 1686 -1695 წლებში;

საბამ შეადგინა ,,ლექსიკონი ქართული“, რომელზე მუშაობაც დიდმა ერისკაცმა 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს დაასრულა. ლექსიკონს ვახტანგ VI-მ სიყვარულით „სიტყვის კონა“ უწოდა;

სულხან-საბამ საფუძველი ჩაუყარა მემუარულ ჟანრსაც: მან ქართულ მწერლობაში პირველმა დაწერა მოგზაურული ჟანრის თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია არასრული სახით;

ორბელიანის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებანი:

„ქადაგებანი“ და ,,სამოთხის კარი“;

მწერალს შეუსწორებია „საქრისტიანო მოძღვრება“ ანუ კატეხიზმო;

მასვე უთარგმნია „წამებანი წინასწარმეტყველთანი“ და „სწავლა მეცნიერთათვის თქმული: აღვიარებ, რომელ არს ღმერთი ან სჯული“;

მოუხდენია ,,ბიბლიის“ ტექსტის რედაქტირება, ცნობილია „მცხეთური ხელნაწერის“ სახელით. ეს წიგნი XVII –XVIII საუკუნეების მიჯნის ქართული ბიბლიოლოგიის, ამ ეპოქის ფილოლოგიური, მეცნიერულ-კრიტიკული საქმიანობის ძეგლია.

სულხან-საბას გაუწევია დიდი შრომა ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „ქილილა და დამანას“ (ინდური იგავ-არაკების ეს კრებული სპარსელებს უთარგმნიათ) „გაჩალხვასა“ და ლექსებით გაწყობაში. მან პირველმა დაარღვია რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი შაირი და „ქილილა და დამანა“ ათმარცვლიანი ლექსებით გააწყო;

სულხან-საბას დაუწერია რამდენიმე ანბანთქება.

ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სულხან-საბას 1709 წელს თბილისში სტამბის გახსნაში.

3. ინფორმაცია მასწავლებლისათვის

„დავითიანი“ — ასე უწოდა დავით გურამიშვილმა თავის პოეტურ კრებულს. ეს ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებაა (,,თეიმურაზიანი“, „არჩილიანი“ ერქვა ქართველ მეფე-პოეტთა კრებულებს). დავით გურამიშვილი თავისი პოეტური შთაგონების წყაროდ მიიჩნევს დავით წინასწარმეტყველს. პოეტი ბიბლიურ დავითს ჰბაძავს, მას ეხმიანება და მის

დარად ადიდებს უფალს. ამდენად, კრებულის სახელწოდებაში — „დავითიანი“ — გურამიშვილიც იგულისხმება (დავითის მიერ...) და პოეტის სეხნიაც — ბიბლიური დავითი. ტრადიციის თანახმად, იდუმალი სულიერი კავშირი მყარდებოდა ადამიანსა და მისი სახელის მოზიარე წმინდანს შორის. წმინდანის სახელსაც ხომ იმიტომ არქმევდნენ ადამიანს, რომ მას ზეციური მფარველი ჰყოლოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სახელი დავითი საღმრთო მაქსიმეს მიხედვით ნიშნავს „მძლე ხელის მქონეს“,სხვების თანახმად კი: „ერთადერთს, სასურველსა და საყვარელს.

გაკვეთილის მასალა:

ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვები“, კუმშვა, ფუძეკუმშვადი სახელების გრუნება (3 სთ)

მიზნები:

- არამხატვრული (პუბლიცისტური) ტექსტის წაკითხვა-გაანალიზება
- საკომუნიკაციო ტექსტის მიზნისა და ადრესატის ამოცნობა
- სხვადასხვა სახის ტექსტებში მოცემული მსგავსი ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირება და შეფასება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- საკომუნიკაციო-მიზნობრივი ტექსტის (წერილი) აგება
- ფონური ცოდნის დადგენა, ცოდნის კონსტრუირება
- (სქემა: ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე)
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- მედიატექსტების გაანალიზების საწყისი უნარ-ჩვევების დაუფლება
- ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება
- მეტყველების კულტურის საფუძვლების დაუფლება.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება (5-7 წთ): აქ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენეულ ვარიანტს: **ა)** შესავალი საუბარი ილია ჭავჭავაძის ერის წინაშე დამსახურების შესახებ, მისი ღვაწლის წინა პლანზე წამოწევა; **ბ)** გამოვიყენოთ, გონებრივი იერიშის რუკა“:

დაფაზე იწერება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: ,,ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. მოსწავლეები ასახელებენ იმ ფრაზებს, რისი ასოციაციაც აღეძვრებათ: ერის წინამძღოლი ღმერთთან მოლაპარაკეა, ილიას გადაწყვეტილებაა იყოს ერის წინამძღვარი, ამ ურთულეს გზაზე მხოლოდ ღვთივკურთხეულ ადამიანებს შეუძლიათ სვლა...

მიღებული ინფორმაცია უკავშირდება წინა გაკვეთილზე შესწავლილ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიას, ასევე წინა კლასებში შესწავლილ მასალასაც.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (7-8 წთ:) ტექსტის გაცნობამდე მოსწავლეებს განვუმარტავთ, რომ ამჯერად ვკითხულობთ ილიას „შინაური მიმოხილვების“ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს. უმჯობესია, ტექსტი მოსწავლეებს წავაკითხოთ პაუზებით. ტექსტის კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

აქტივობა 4. წაკითხულის გაგება-გააზრება (15-16 წთ):

დაისმის კითხვები:

— თქვენ გაეცანით რამდენიმე ნაწყვეტს ,,შინაური მიმოხილვებიდან“. რის შესახებ არის საუბარი ტექსტში? *(საქართველოსა და ქართველი ხალხის, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის აუცილებლობის, ცოდნისა და სანთლის მსგავსების, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა და საკუთარის დაცვის შესახებ).*

— მწერლის თქმით, რა შემთხვევაში დაეუფლება ადამიანი „ულეველ სიმდიდრეს“? *(ადამიანი დედამიწის გულში ჩადებულ ულეველ სიმდიდრეს დაეუფლება გარჯისა და შრომის შემთხვევაში).*

— რა იგულისხმება ,,ულეველ სიმდიდრეში“? *(სიუხვე, დოვლათი, ბარაქა, ნაყოფიერი მიწა).*

— სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მწერლის თქმით, რა უპირატესობა გააჩნია ჩვენს ქვეყანას? *(ღვთის მფარველობა აქვს: ,,ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო“).*

— რას უწოდებს ცოდნას მწერალი? *(ცოდნას მწერალი უწოდებს ღვთისნიერ წინამძღოლს, სინათლეს, ხერხს, სიმდიდრეს...).*

— რით ჰგავს ცოდნა სანთელს და რით განსხვავდება მისგან? *(ცოდნა სანთელს იმით ჰგავს, რომ ერთ სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე.*

პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპსა. ცოდნაც ასეა, რაც უნდა ბევრს დაურიგო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს ცოდნა: სანთელი, როცა იქნება ჩაიწვება, ჩაქრება, ერთხელ ანთებული ცოდნა კი კიდევ უფრო ძლიერდება).

— რა ემუქრება, ილიას თქმით, გულაცრუებულს, გულგრილსა და ხელაღებულ კაცს? *(ყველა შერისხავს, როგორც უღირსს).*

— განმარტეთ, როგორ გესმით აზრი სიტყვებისა: ,,ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ...“ *(ყმაწვილკაცობამ უნდა ღრმად შეისწავლოს ევროპული გამოცდილება, ეს უნდა იყოს ჩვენი, ყველას საზრუნავი).*

— ,,ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა“, — თქვენი აზრით, რა სიმდიდრეზე საუბრობს აქ მწერალი? *(დოვლათზე, ბარაქაზე, წიაღისეულ სიმდიდრეზე...).*

— მწერლის აზრით, რა არის მიზეზი ქართველთ სიღარიბისა? *(არ ვიცით, სად რა სიმდიდრე გვაქვს, სად რა განძია, ...).*

— რატომ უწოდებს მწერალი ცოდნას ,,მადლიან სიმდიდრეს“? *(რაც უნდა ბევრს უწილადო და დაურიგო, შენ არაფერი დაგაკლდება).*

— რა მიზანს უსახავს მწერალი ქართველ ყმაწვილკაცობას? *(ეზიაროს ევროპული ქვეყნების გამოცდილებას) .*

— რატომ ურჩევს მწერალი ქართველ ყმაწვილკაცობას: ,,წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება“? რას გულისხმობს მწერალი ,,ევროპის გამოცდილებაში“? (ევროპული ქვეყნები მდიდარია, განათლებული.... „ვეროპის გამოცდილებაში იგულისხმება მათი განვითარება, სიმდიდრე, განათლება...).

— ვის მიმართავს ილია, როცა წერს: ,,თქვენ იცით ხოლმე...“ *(ქართველებს).*

— ვინ არის, ილიას აზრით, უღირსი? ეთანხმებით თუ არა მწერლის მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთეთ (უღირსი ადამიანია ის, ვინც თავის ვინაობას ივიწყებს).

— ილია წერს: კაცს ცოდნას ,,ვერცა ვინ მოჰპარავს“. რომელი პოეტის სიტყვები გაგახსენათ ამ ფრაზამ და რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ აქედან? (ა) დავით გურამიშვილის; ბ) ილია ეთანხმება დიდ წინაპარს)

— როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამ წერილის ადრესატი? (ქართველი ხალხი).

— თქვენი აზრით, რატომ უწოდა მწერალმა ამ ტექსტს ,,შინაური მიმოხილვები“? (იმიტომ, რომ თავის ქვეყანაზე, თავის ხალხზე წერს).

შეიძლებოდა თუ არა მისთვის ,,საგარეო მიმოხილვები“ გვეწოდებინა? რატომ? (არ შეიძლებოდა იმდენად, რამდენადაც ილია თავისი ქვეყნის პრობლემებს განიხილავს).

— ეს წერილები დაწერილია სხვადასხვა დროს. რა მიგვითითებს ამაზე? რატომ გახდა შესაძლებელი ეს ნაწყვეტები ერთი საერთო სათაურის ქვეშ გაერთიანებულიყო? *(წერილების ქვეშ მითითებულია სხვადასხვა წელი —1881, 1882, 1883; ყველა წერილში საქართველოს, ქართველი ხალხის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობს მწერალი).*

— ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“ — თქვენი აზრით, ეს ნათქვამი ხომ არ მოძველდა სადღეისოდ? რატომ ფიქრობთ ასე? *(პირიქით, დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანი მხოლოდ ღრმა, საფუძვლიანი ცოდნით მიაღწევს საწადელს...).*

აქტივობა 5. შეჯამება (5 წთ) ეცადეთ, შეაჯამოთ თქვენი ცოდნა:

რა ვიცოდი	რა გავიგე	რის გაგება მაინტერესებს

აქტივობა 6. რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ (5 წთ):
მასწავლებელი ზარის დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს და სთხოვს დაწერონ, რა დაამახსოვრდებათ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ.

აქტივობა 7. შეფასება (2-3 წთ): განმსაზღვრელი შეფასება ამჯერად მოხდება მხოლოდ ორი კომპონენტის — საშინაო დავალებისა და კლასში შესრულებული დავალებების — მიხედვით.

აქტივობა 8. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) ილია ჭავჭავაძის ,,შინაური მიმოხილვები", **ბ)** დავალება №1. (აქტ. რვეული) ტექსტის მიხედვით დაწერეთ „ცოდნა სინათლეა";

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება (10-12 წთ):
— მწერალი წერილის ფორმით გადმოგვცემს სათქმელს. როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს იგი ამ ხერხს? სხვაგვარად თუ შეეძლო მას გადმოეცა იგივე ამბავი?
— წერილი, როგორც წესი, სხვადასხვა ხასითისაა: მონატრების, თხოვნის, ამბის შეტყობინების ... და ადრესატიც აუცილებლად ცნობილია. რით განსხვავდება ეს წერილი აქამდე თქვენთვის ცნობილი წერილებისაგან? ვინ არის ამ შემთხვევაში ილიას წერილის ადრესატი? (მწერლის ადრესატი არის ქართველი ახალგაზრდობა. მწერალი ამ ხერხს იმიტომ იყენებს, რომ ნათლად მიიტანოს მკითხველამდე თავისი სათქმელი, გაუზიაროს თავისი შეხედულება მოცემულ საკითხზე. იგივე ამბავი მას შეეძლო გადმოეცა მხატვრული ნაწარმოების სახითაც. ამ შემთხვევაში იგი მთხრობელი იქნებოდა და არა ადრესატი მიმომხილველი).
— ვის ადარებს მწერალი ჩვენს ქვეყანას? თქვენი აზრით, რატომ იყენებს იგი ამ შედარებას? რის ხაზგასმა, ჩვენება სურს მას ამ შედარების გამოყენებით? *(პატარძალს; რომ საქართველო ულამაზესია).*
— რა ეპითეტებს იყენებს ქართველების დახასიათებისათვის? თქვენ რა ეპითეტებს დაუმატებთ? *(ჯანიანი, მკლავ-ძლიერი, გამრჯელი, ოფლისმღვრელი, ...).*
— რატომ იყენებს მწერალი ტექსტში არქაიზმებს? რომელია მათი შესატყვისები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში? *(ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალებაა, ზუსტად გამოხატავს სათქმელს, ქართული ენის სიმდიდრის ხაზგასმაა; იხილე ,,სიტყვის სალარო").*
— რომელ ანდაზებს იყენებს მწერალი? როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა მწერალს ამ ანდაზების გამოყენება? რამდენად ეხმარება მწერალს ეს ანდაზები საკუთარი აზრის მეტი სიცხადით გამოხატვაში? *(,,ხერხი სჯობია ღონესაო", ,,კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო", ,,ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"; მწერალი ანდაზებით გადმოცემული სიბრძნით ამყარებს თავის ნათქვამს).*

აქტივობა 3. ერთად ავაგოთ ,,ხუთსტრიქონიანი ლექსი": (5-6 წთ)
— პირველ სტრიქონზე დაწერეთ ტექსტთან დაკავშირებული ერთი არსებითი სახელი *(ადამიანი).*
— მეორე სტრიქონზე ტექსტის მიხედვით დაწერეთ ამ არსებით სახელთან დაკავშირებული ორი ზედსართავი სახელი *(მაგ., პატრიოტი, გულშემატკივარი).*

— მესამე სტრიქონზე ტექსტის მიხედვით დაწერეთ ამ არსებით სახელთან დაკავშირებული სამი ზმნა *(მაგ., უყვარს, ემსახურება, ეთაყვანება).*

— მეოთხე სტრიქონზე დაწერეთ მოცემულ თემასთან დაკავშირებული ოთხსიტყვიანი ფრაზა *(მაგ., წინადადება — ადამიანი თავის სამშობლოს ჰგავს);*

— მეხუთე სტრიქონზე დაწერეთ ერთი სიტყვა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ყველაფერს, რაც უკვე დაწერეთ; რომელიც თემის არსს გამოხატავს *(სამშობლო).*

აქტივობა 4. წყვილებში მუშაობა (7-8 წთ): დავალება №3. (აქტ. რვეული) ააგეთ ტექსტი ანდაზის მიხედვით: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ): განმსაზღვრელი შეფასება ამჯერად მხოლოდ ორი კომპონენტის — საშინაო დავალებისა და საკლასო მუშაობის — მიხედვით მოხდება. შეფასდება ტექსტის გააზრება-გაანალიზების, თხრობის, მსჯელობის, პრეზენტირების, გამომეტყველებითი კითხვის, შემოქმედობითობის, თანამშრომლობის, აქტიურობის... უნარ-ჩვევები.

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) როგორც უკვე იცით, მწერალი თავის აზრს წერილის ფორმით გადმოსცემს. სცადეთ, წერილის სახით თქვენც გადმოსცეთ, რაც თქვენ ყველაზე მეტად გაფიქრებთ. სათაური თავად მოიფიქრეთ.

ბ) მოემზადეთ დისკუსიისათვის — ,,თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა“ *(ეცადეთ, თქვენი ოჯახის წევრებს გააცნოთ თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ. ყური მიუგდეთ მათ რჩევასაც).*

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. დისკუსია „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ (10-12 წთ).

აქტივობა 3. მშობლიური ენის სამყაროში (10-12 წთ):

დაფაზე იწერება წინადადება „აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა უნდა მოირჩიოს“.

მოსწავლეები იხსენებენ წინა კლასში შესწვლილ მასალას არსებითი სახელის შესახებ; გამოყოფენ არსებით სახელს „მოედანი“, გამოყოფენ მის ფუძეს: „მოედან“, ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ იგი თანხმოვანზე ბოლოვდება, თანხმოვანფუძიანია.

ამ არსებითი სახელის ბრუნების შემდეგ გაირკვევა რომელი ხმოვანი ამოვარდა (ა), რომელ ბრუნვებში ამოვარდა (მხ. რ-ის სამ ბრუნვაში: ნათ. მოქმ. ვით.-ში; ასევე მრ.რ.-ის ყველა ბრუნვაში). მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარებით გამოაქვთ დასკვნა კუმშვის შესახებ. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოიყენებს შედარება-შეპირისპირები ხერხს და უკუმშველ სახელებიან შეპირისპირებით ახსნის **ა**-ს კუმშვის მაგალითს.

მოსწავლეები დაფაზე დამოუკიდებლად აბრუნებენ სხვა კუმშვად სახელებსაც (ცხვარი, ჭერამი, ბალი). ამ ცოდნის გამოყენებთ სრულდება კლასში დავალება №5).

აქტივობა 4. განმავითარებული შეფასება (2-3 წთ):

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): „შინაური მიმოხილვები“, დავალება №4.

შედეგები:

VI.1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევა;

VI.4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვაოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით;

VI.5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუ-ალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

V.7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება;

VI.10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაგეჭდილების გადმოცემის უნარი;

VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ-გამომსა-ხველობით თავისებურებებზე დაკვირვება

VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება, აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები

VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის დამოუკი-დებლად შექმნა.

გაკვეთილის თემა:

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, ბარბარიზმები, დიალექტიზმები, ო-ს კუმშვა (3 სთ)

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- თხრობისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება
- პერსონაჟთა მარტივი დახასიათება, მათი ხედვის კუთხის განსაზღვრა
- მედიატექსტის გაანალიზება, წაკითხულისა და ნაწარმოების ეკრანიზებული ვერსიების შედარება
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება: ა) კომენტარი წაკითხული ტექსტის ცალკეულ ნაწილებზე, ბ) კონტექსტის მიხედვით გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა, გ) ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება,
- წერის სტრატეგიების დაუფლება: ა) ცალკეული ეპიზოდის შინაარსის წერილობით გადმოცემა; ბ) ნაწერის ჩასწორება და კორექტირება

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ)

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება — გამოწვევა (5-6 წთ): ამ აქტივობის დაგეგმვა რამდენიმე სახით შეიძლება, ჩვენ მასწავლებელს ჩვენეულ ხედვას ვთავაზობთ: **ა)** ტექსტის წაკითხვას წინ უსწრებდეს აკაკის ცხოვრების ამსახველი ფილმის, ,,აკაკის აკვანი“, კოლექტიური ჩვენება და შემდეგ კლასში მისი განხილვა, **ბ)** შესავალი საუბარი აკაკი წერეთლის შესახებ, მისი ბიოგრაფიიდან იმ ეპიზოდების წინა პლანზე წამოწევა, რაც ისწავლეს IV-V კლასებში.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15-20 წთ): ტექსტის კითხვისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია: **1)** კომენტირებული კითხვა — მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას და მას მოსწავლეები აგრძელებენ, ტექსტის კითხვისას აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები; მასწავლებელი გზადაგზა ახდენს სათანადო კომენტარს წაკითხულის გააზრებისა და უკეთ აღქმისათვის; **2)** მასწავლებელი იყენებს ე. წ . **,,აქტიური კითხვის“** მეთოდს — **ა)** თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად გადახედავს ტექსტს და საკუთარ თავს დაუსვამს კითხვას: რა ვიცოდი აკაკის ,,ჩემი თავგადასავლიდან“? გააკეთებს თავისი ინფორმაციისა და ვარაუდების სახელდახელო ჩამონათვალს; **ბ)** წერილობით, ძალიან მოკლედ, თავისთვის აკეთებს ჩანაწერს — რატომ ვკითხულობ მე ამ ტექსტს? რა მიზანი მაქვს? რას გავიგებ ახალს ტექსტის წაკითხვის შემდეგ? რაში გამომადგება, ანუ რა იქნება ჩემთვის ჭკუის სასწავლებელი ფაქტი? **გ)** მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის შენიშვნებს და პირველად შენიშვნებს, რომლებიც კითხვების სახით აქვს ჩამოწერილი, დაურთავს მეორეულ, ამჯერად ემოციურ კომენტარებს და ავსებს სქემის მეორე ნაწილს:

პირველადი კომენტარი (ფაქტობრივი)	მეორეული კომენტარი (ემოციური და კრიტიკული)
რა?	
სად?	

როდის?	
ვინ?	
რას შვრება?	
რატომ?	
რა მოსდის?	

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

— რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?

— რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგეთ?

— რა კავშირშია ერთმანეთთან ის, რაც იცოდით და რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგეთ?

ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მოჰყვება მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

წარმოდგენილი სქემა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: I გრაფა — პირველადი კომენტარისათვის შეივსება კითხვის პროცესში, მეორე გრაფა — კრიტიკული კომენტარისათვის — შეივსება კითხვის დამთავრების შემდეგ კოლექტიურად.

აქტივობა 4. გეგმის შედგენა (7-8 წთ):

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ადგენენ შინაარსის გადმოსაცემად გეგმას (ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში და ჯგუფურად), რომელიც საორიენტაციოდ ასეთ სახეს მიიღებს:

1. საშიში გამომცდელი;
2. მაქსიმოვიჩის მეთოდი;
3. გიმნაზიის იმედი — სახელგანთქმული მოსწავლე;
4. აკაკის ცოდნით კმაყოფილი გამომცდელი;
5. ნირწამხდარი მასწავლებელი;
6. იმდროინდელი სწავლის მეთოდები;
7. აკაკის საყვარელი მასწავლებელი, ტროე.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) აკაკის ,,ჩემი თავგადასავალი", ბ) დავალება №1 შეადგინეთ პერსონაჟის დახასიათების გეგმა და დაწერეთ თხზულება: აკაკის საყვარელი მასწავლებელი.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. წაკითხულის გააზრება — წვდომა (12-15 წთ)

ტექსტის ანალიზი იწყება I-II დონის (გაგება, ცოდნა) კითხვების საშუალებით,

ძირითადად ეს არის ტექსტში ექსპლიციტური მასალის მოძიება, ამიტომ ამ დროს მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ტექსტს და კითხულობენ სათანადო ადგილებს:

— რა ხმა გავრცელდა გიმნაზიაში მაქსიმოვიჩზე? *(გიმნაზიაში მაქსიმოვიჩს თავად უნდა გამოეცადა მოსწავლეები).*

— გამოცდის რა მეთოდი აირჩია მაქსიმოვიჩმა, ,,მთელი გიმნაზიის გარემოება“ რომ შეემოწმებინა? *(გიმნაზიის მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით თითო კლასიდან უნდა გამოეცადა სამ-სამი მოსწავლე: საუკეთესო, საშუალო მოსწრების და ჩამორჩენილი).*

— რა მოხდა გამოცდაზე ისეთი, რამაც აფიქრებინა მაქსიმოვიჩს, რომ მასწავლებელს რაღაც შეეშალა. მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში სათანადო ადგილი *(აკაკი მასწავლებელმა ჩამორჩენილ მოსწავლედ წარუდგინა, მან(აკაკიმ) კი ყველას აჯობა. ,,— თქვენ ხომ არ შეგშლიათ, რომ ეგ ბავშვი უკანასკნელ მოწაფედ წარმოადგინეთ?“ — ჰკითხა მაქსიმოვიჩმა მასწავლებელს).*

— რა გახდა იმის მიზეზი, რომ გამოცდებმა კარგად ვერ ჩაიარა? *(მოწაფეები მხოლოდ საზეპიროებს ჰყვებოდნენ, გააზრებული ცოდნა არ ჰქონდათ).*

— რა მოეჩვენა აკაკის ზედმეტად მარტივად? *(მაქსიმოვიჩის საკითხავები /წასაკითხი /, რომელმაც სასახლის თამაშობები (,,ბერი ჩამოხტა“, ,,ანზე ვისი ყმა ხარ“ ...) გაახსენა).*

— რამ წაახალისა აკაკი? *(მაქსიმოვიჩს აკაკის პასუხები მოეწონა და კარგ ხასიათზე დადგა).*

— როგორ იმოქმედა წახალისებამ მასზე? (აკაკიმ შეატყო მაქსიმოვიჩს, აღარ წყრებოდა და გათამამდა).

— რა შენიშნა აკაკის მაქსიმოვიჩმა? *(სხვებს რომ შეეშალათ, აკაკიმ რამდენჯერმე უკმაყოფილოდ გაიქნია თავი).*

— რომელ მოსწავლედ წარუდგინეს აკაკი გამომცდელს? *(უკანასკნელ, ჩამორჩენილ მოსწავლედ).*

— თუ იცით, ვინ იყვნენ ტექსტში მოხსენიებული ენოქ და ილია? *(ბიბლიური წინასწარმეტყველი).*

— აკაკი წერს: ,,სულ სხვა თვალით მიყურებდნენ ამხანაგებიცა და უფროსებიც“.

რამ შეცვალა აკაკისადმი დამოკიდებულება გიმნაზიაში? *(მისმა ცოდნამ).*

— რას ცდილობდა აკაკი? (რაკი დაინახა, რომ სხვა თვალით უყურებდნენ, ცდილობდა, არ შერცხვენილიყო).

— რა მიაჩნია აკაკის იმ დროის გიმნაზიაში სამწუხარო ფაქტად?

— დასჯის რა მეთოდზე საუბრობს აკაკი? *(აკაკის სამწუხარო ფაქტად მიაჩნია გიმნაზიაში დამკვიდრებული სწავლის მეთოდები —,,ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად!“).*

— რის შერცხვა აკაკის? წაიკითხეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან *(,,ამოვაყოფინე ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადაიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა“).*

— ჩანს თუ არა ტექსტიდან, ვინ არის მთხრობელი? თუ ჩანს, მოძებნე ტექსტში შესაბამისი ადგილი (მთხრობელი რომ აკაკი წერეთელია, ეს ამ ავტობიოგრაფიული მოთხრობის სათაურიდანაც — ,,ჩემი თავგადასავალი“— ჩანს; მწერალი თავის ცხოვრებაზე გვიყვება).

— როგორ გადაარჩინა მასწავლებელმა აკაკი? *(ინსპექტორის წინაშე აკაკი მასწავლებელმა სიმინდის მოყვანის კულტურაზე ასაუბრა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თითქოს მისი დავალებით მოეტანოს აკაკის მჭადი).*

— რატომ აითვალწუნა იგი რუსულის მასწავლებელმა? *(იმის გამო, რომ აკაკის მომცინარი სახე ჰქონდა).*

— როგორ მოიხსენიებს აკაკი თავის რუსული ენის მასწავლებელს?*(ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად საპეგა).*

— რომელ მასწავლებელს იხსენებს აკაკი დიდი სიყვარულით? *(ტროეს).*

ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ დაისმის უფრო მაღალი დონის კითხვები, რომლებიც ემსახურება მიღებული ცოდნის **გამოყენებას, ანალიზს, სინთეზსა** და **შეფასებას:**

— აკაკის მიერ დასახელებულ მასწავლებელთაგან ვინ იმსახურებს თქვენს სიმპათიას? რატომ? *(ტროე, კარგი დიციპლინისა და სწავლების მეთოდების, ასევე სამართლიანობის გამო).*

— თქვენი აზრით, ჩანს ტექსტიდან, რომელ საგანს ასწავლიდა აკაკის ტროე? თქვენ როგორ

ფიქრობთ? *(ტექსტიდან ჩანს, რომ ტროე რუსულს ასწავლიდა: ,,ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა. თუკი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში“).*

— აკაკი ბოლო მოსწავლედ წარუდგინეს გამომცდელს. თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? *(ჯერ ერთი, ასაკით პატარა იყო სხვებთან შედარებით და მეორეც, დიდი ხნის შესული არ იყო გიმნაზიაში).*

— აკაკი წერეთელი თავის ამხანაგებზე წერს: ,,საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩააბულბულეს, მაგრამ, ბოლოს, როცა აზრით გაგებაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიბნენ“. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი? *(გაუაზრებლად სწავლება).*

— რა მოხდა გამოცდაზე ისეთი, რამაც აფიქრებინა მაქსიმოვიჩს, რომ მასწავლებელს რაღაც შეეშალა *(აკაკიმ ყველაზე უკეთესად უპასუხა).*

— ,,ჯერჯერობით ყურადღებას აღარ ვაქცევდით, არასა ვკითხავდით. გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი: ჯერ მიეჩვიოს-თქო, — უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერმიხდილად“ *(მაქსიმოვიჩს აკაკიზე).* თქვენი აზრით, რის შეეშინდა მასწავლებელს? *(მასწავლებელს შეეშინდა საყვედურის, მას არ ჰქონდა უფლება, ყურადღების მიღმა დაეტოვებინა რომელიმე მოსწავლე).*

— თქვენი აზრით, როგორი პიროვნება იყო ინსპექტორი მაქსიმოვიჩი? *(მკაცრი და სამართლიანი).*

— სწავლების რა მეთოდებს აღწერს აკაკი? *(მაქსიმოვიჩისა და ტროეს გააზრებული სწავლების მეთოდს და გაუცნობიერებელი დაზუთხვისას: საპეგა ...).*

— რას მიიჩნევს მწერალი იმდროინდელი სწავლების მეთოდების ნაკლად? რომელ მეთოდს აძლევს იგი უპირატესობას? *(იმდროინდელი მეთოდების ნაკლად მიაჩნია დაზუთხვისა და რიგის მიხედვით გამოკითხვის; უპირატესობას ანიჭებს მოულოდნელი გამოკითხვისა და გააზრებული სწავლების მეთოდს).*

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად ამართლებს ზეპირობა სწავლების პროცესში? *(ზეპირობა ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, ოღონდ უნდა გვესმოდეს, რასაც ვსწავლობთ).*

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელს უშლის თუ, პირიქით, საზეპირო ადგილების ცოდნა ეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებაში? *(ხელს უწყობს).*

— ,,ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე...“ — წერს აკაკი.

თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ქიშპის, ანუ მეტოქეობის მიზეზი? *(აკაკის ნიჭიერებით გამოწვეული შური).*

— რამდენად სწორად მიგაჩნიათ მაქსიმოვიჩის მიერ შემოღებული გამოცდის წესი? (სწორად მიმაჩნია, სხვა შემთხვევაში დიდხანს დასჭირდებოდა გამოკითხვას. შესაძლებელია მოსწავლეებს ჰქონდეთ სხვა აზრიც. ყველას აზრის საყურადღებოა).

— აკაკი წერეთელი წერს: ,,იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელგანთქმული ახალგაზრდა — ბესარიონ ღოღობერიძე. მოსწავლეებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგოგებსაც მისი იმედი ჰქონდათ“. თქვენ თუ გყავთ ასეთი მეგობარი კლასში? და გარდა კარგი სწავლისა, რა განაპირობებს პიროვნების პატივისცემას? *(გვყავს. სიკეთე, ზრდილობა, წესრიგი ...).*

— როგორც აკაკი წერს, გამოცდების დროს ასე თუ ისე, ბესარიონ ღოღობერიძემ იხსნა ქუთაისის გიმნაზიაო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რა არის დღევანდელი სკოლის წარმატების აუცილებელი პირობა და პირადად თქვენ როგორ მონაწილეობთ სკოლის ცხოვრებაში? (*დღევანდელი სკოლის წარმატება დიდად არის დამოკიდებული წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობაზე; აქ მოსწავლეები დაასახელებენ თავ-თავის წარმატებებს).*

— აკაკი წერეთლის აზრით, მოსწავლეს შეუძლია, თუკი მოინდომებს, წარმატებას მიაღწიოს მისთვის არახელსაყრელ გარემოშიც. თქვენ თუ ეთანხმებით ავტორს ამ შემთხვევაში? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ *(შედარებით ძნელად, მაგრამ შეიძლება. მთავარი მონდომებაა და სურვილი მაგალითად აკაკის მაქსიმოვიჩთან ჩაბარებული გამოცდაც იკმარებს).*

— რა უპირატესობა ჰქონდა ტროეს გამოკითხვის მეთოდს აკაკის აზრით, თქვენ თუ ეთანხმებით? პასუხი დაასაბუთეთ *(ტროე მოსწავლეებისგან მოითხოვდა შეგნებულ ცოდნასა და სისტემატურ მეცადინეობას...).*

— ვის მიმართა მასწავლებელმა სიტყვებით: რაც შენთვის არ გინდა, იმას სხვას ნუ უზამო?

რის გამო დაიმსახურა მოსწავლემ ეს სიტყვები? *(მიმართა აკაკის ერთ-ერთ კლასელს; მეგობრის დაბეზღების გამო).*

— ტექსტიდან ვიგებთ, რომ მასწავლებელმა აპატია მაბეზღარა ბავშვს ცუდი საქციელი. თქვენი აზრით, შეცვლიდა თუ არა მას მასწავლებლის შეგონება? *(აქ შეიძლება ორად გაიყოს მოსწავლეთა შეხედულებები. მთავარია არგუმენტირებული პასუხი. მასწავლებლის პოზიცია ამ შემთხვევაში დადებითი უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს აღსაზრდელის სწორ გზაზე დაყენება).*

— შენ თუ გქონია შემთხვევა, ვინმე დაგებეზღებინოს, ან ვინმეს დაებეზღებინე? და როგორ უმოქმედია მას შენზე? *(აქაც უნდა ველოდოთ, ალბათ განსხვავებულ პასუხს).*

— როგორ გადაარჩინა დასჯას მასწავლებელმა აკაკი და რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? *(მოხერხებულად, ბავშვის სიყვარულზე, სამართლიანობაზე, თანაგრძნობაზე ...).*

— ტექსტის წაკითხვის შემდეგ რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება? რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად? *(აკაკის ბავშვობამ, მისმა პიროვნულმა თვისებებმა).*

— გაგიჩნდათ სურვილი ნაწარმოების მთლიანად წაკითხვისა (*დიახ, რათა უფრო მეტი გავიგოთ; საკითხის ირგვლივ ცოდნის სრულყოფილების მიზნით).*

აქტივობა 3. დისკუსია (7-8 წთ):

— შეადარეთ აკაკისდროინდელი გიმნაზია დღევანდელ სკოლას. რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან? თქვენი აზრით, რა არის ძველი სკოლის ნაკლი? ღირსება? იმსჯელეთ *(ეს აქტივობა სრულდება ჯგუფურად და მას შეიძლება მიეცეს ერთგვარი დისკუსიის ხასიათი. მოქმედებს პრინციპი: ყველას აზრი საყურადღებოა. მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრის დასაბუთება. ისინი იხსენებენ წაკითხულს, მოსმენილს, ნანახს, ავლებენ პარალელებს და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოაქვთ სათანადო დასკვნები).*

აქტივობა 4. ნაწარმოებისა და ფილმის ,,აკაკის აკვანი“ შედარება (10 წთ). ამ აქტივობის შესრულებისას კარგია, თუ მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა და კიდევ ერთხელ აჩვენებს ბავშვებს ფილმიდან აკაკის მოსწავლეობის ეპიზოდს):

— ეცადეთ, შეადაროთ ფილმი ,,აკაკის აკვანი“ თქვენ მიერ შესწავლილ ტექსტს. იმსჯელეთ, რა საერთოსა და განსხვავებას ხედავთ მათ შორის. რა ცვლილებები შეიტანა რეჟისორმა ფილმში? ამართლებს თუ არა მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი თქვენს წარმოდგენას აკაკის შესახებ? რა ცვლილებებს შესთავაზებდით მსახიობს? რეჟისორს?

აქტივობა 5. სტრატეგია 3.2.1 (5 წთ): 3 რამ , რამაც დამაინტერესა; 2 რამ, რის შესახებაც უფრო მეტი მინდა გავიგო; 1 რამ, რასაც არ ვეთანხმები.

აქტივობა 6. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 7. (2-3 წთ) საშინაო დავალება: ,,ჩემი თავგადასავალი“ (გიმნაზიაში) თხრობით; ერთხელ კიდევ ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და მოინიშნონ ის ადგილები, სადაც აკაკის თვისებები ჩანს.

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ)

აქტივობა 2. აკაკის დახასიათება ტექსტუალური მასალის საფუძველზე (8-10 წთ)

აქტივობა 3. ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება: (7-8 წთ):

განმარტეთ, რას ნიშნავს მოცემული სიტყვათშეთანხმებანი:

შიშის ქარმა აიტანა — აქ: მეტისმეტად შეეშინდათ
ბევრი ოფლი აწურვი(ნ)ეს — მკაცრად გამოცადეს, მეტისმეტი ძალა დააყენეს, ძალიან გაუჭირვეს
ჩააყენეს თორნეში — აქ: შავ დღეში ჩააგდეს, ბევრი ჰკითხეს
ენა ჩამივარდა — შემეშინდა, ხმა ვერ ამოვიღე
ოთხში ამოეღო — აქ: თურმე ძალიან ეცემა
ცხვირი ჩამოუტიროდა — მოწყენილი იყო

— რომელ დიალექტიზმებს იყენებს აკაკი წერეთელი მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“? (იმერულს).

— დაასახელეთ ტექსტიდან ის სიტყვები, რომლებიც, თქვენი აზრით, დიალექტური ფორმებია და მოუძებნეთ შესატყვისები სალიტერატურო ქართულში (სხვიმის; იმისთანა ახირებული კაცი ძვირი იყო; ბევრი ოფლი აწურვიეს, ჯიან, გვარიანად...).

მასწავლებელი სათანადო მაგლითებზე დაკვირვების შემდეგ განუმარტავს **ბარბარიზმის** რაობას.

— მოძებნეთ ტექსტში რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები და შეცვალეთ ისინი სათანადო ქართული სიტყვებით (სტოლი, ეგზამენატორი, პოპეჩიტელი, ეგზამენი...).

— როგორ ფიქრობთ, რა იყო იმის მიზეზი, რომ XIX საუკუნის მწერლები წერისას ხშირად იყენებდნენ რუსულ ბარბარიზმებს? (მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოში, სკოლებში რუსულ ენაზე სწავლება).

— დააკვირდით გარშემო მყოფთა მეტყველებას. თქვენი აზრით, იკლო თუ იმატა რუსული ბარბარიზმების რაოდენობამ? რომელი ენიდან იჭრება დღეს ბარბარიზმები ქართულ ენაში და რა საშიშროებას წარმოადგენს ისინი ჩვენი ენისათვის? (იკლო; ინგლისური ენიდან; ბარბარიზმები მხოლოდ ანაგვიანებენ ენას).

— თქვენი აზრით, დიალექტიზმები და ბარბარიზმები ამდიდრებენ და ალამაზებენ სალიტერატურო ენას, თუ — პირიქით? (დიალექტები კვებავენ სამწერლო ენას; მიუღებელია მცდარი გრამატიკული ფორმები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როგორც ერთ-ერთი მხატვრული ხერხი; იგივე ითქმის ბარბარიზმებზედაც).

აქტივობა 4. კუმშვადი სახელები (10-12 წთ.): „ო“-ს სრული და ნაწილობრივი კუმშვა. სრულდება დავალება №5.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): ,,ჩემი თავგადასავალი“, დავალება №2

(აქტ. რვეული): ამოიწერეთ ტექსტიდან დიალექტური ფორმები და მიუწერეთ მათ შესატყვისები სალიტერატურო ქართულიდან.

შედეგები:

VI.1. — მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უნარ-ჩვევა;
VI.2. — მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი დეტალების შეფასების უნარი;

VI.3. — მოსწავლეს შეუძლია წარმართოს საკუთარი მეტყველება მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად:

VI.5. — მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ინდ. და ჯგუფური სტრატეგიების გამოყენება;

VI.8. — მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა ტიპის ტექსტი;

VI.9. — მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ;

VI.12. — მოსწავლეს შეუძლია წაკითხული ნაწარმოებისა და მისი ეკრანიზებული ვარიანტის ერთმანეთთან შედარება;

VI.13. — მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება (აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს, გამოთქვამს ვარაუდებს და ა.შ.);

VI.14. — მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში, აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი;

VI.15. — მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის აგება;

VI.1. — მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიული და პუნქტუაციური აუცილებელი წესების გამოყენება ...

მომდევნო მასალის: **ვაჟა-ფშაველა (მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, მისი „ჩემი წუთისოფელი“, მისივე „მრწამს, მარად მიწამებია“** — დაგეგმვას მთლიანდ მასწავლებელს ვანდობთ.

III თემა: „ხალხური სიბრძნე“

გაკვეთილის მასალა:

ხალხური შემოქმედება; „ვაჟკაცის შესაფერია“ (ხალხური); თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნება, კუმშვა (ე-ს კუმშვა)

მიზნები:

- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება
- დისკუსიის ხელოვნების თანდათანობითი დაუფლება, სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად
- პარალელების გავლება შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებთან ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით
- შესწავლილი ტექსტის მიხედვით პერსონაჟის წარმოსახვითი პორტრეტის შექმნა, მულტიმედია ტექსტებზე მუშაობა
- წერის სტრატეგიების დაუფლება — პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში
- სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის („ხუთსტრიქონიანი ლექსი“, RAFT-ი) შექმნა
- სიტყვის ფორმაცვლაზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა

I-II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია.

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება — გამოწვევა: აქ მასწავლებელს შეუძლია რამდენიმე სტრატეგიის გამოყენება. ჩვენ ჩვენეულ ვარიანტს ვთავაზობთ: **ა)** დაფაზე იხაზება „გონებრივი იერიშის“ (ან „ასოციაციური“) რუკა — ვაჟკაცი და მოსწავლთა საერთო მონაწილეობით ივსება; **ბ)** იხსნებენ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და საუბრობენ მათ შესახებ, გამოყოფენ იმ საერთო ნიშნებს, რაც ხალხური ნაწარმოებებისათვის არის დამახასიათებელი.

აქტივობა 3. გააზრება —ტექსტის კითხვა: მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებითი კითხვას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის ნიმუში.

ტექსტის გაგება და გააზრება ხდება შემდეგი კითხვების სააშუალებით:

— ტექსტის მიხედვით, რა არის ვაჟკაცის შესაფერი? („მტერსა რომ მტრობას უწევდეს“).

— რისი არ უნდა ეშინოდეს მას? („მტრის მტრობის“).

— როგორი ვაჟი უნდა გაზარდოს დედამ? („უნდა გაზარდოს დედამა ვაჟი, ... სიცოცხლის გამმწარებელი“).

— ეს ლექსი ჩვენმა ხალხმა დაუკავშირა იმ წარმოდგენას, რომელიც მას გმირის შესახებ ჰქონდა. ჩამოთვალეთ ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ამ ლექსის მიხედვით უნდა ახასიათებდეს ვაჟკაცს (მტრის გამჯავრებელი, არ ეშინოდეს სიკვდილის, არ ეშინოდეს მტრის, არ იყოს სხვაზე აუგის მთქმელი).

— ამ ჩამონათვალს თქვენ რა ნიშნებს დაუმატებდით? (მოსწავლეებს ეძლევათ აზრის დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალება).

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ვაჟკაცი? შესწავლილი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან რომელი პერსონაჟი შეიძლება მივიჩნიოთ ვაჟკაცად? რატომ ფიქრობთ ასე? (მოსწავლეები საკუთარი შეხედულებით ასახელებენ ვაჟკაცებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, იხსენებენ შესწავლილი/წაკითხული ნაწარმოებებიდან ლიტ. პერსონაჟებს, ქვეყნისათვის თავდადებულ სახალხო გმირებს, გაივლება პარალელები კინოგმირებთანაც, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას..)

— თქვენი აზრით, რა არის ვაჟკაცობა?

იმართება დისკუსია. ეს დიკუსია შეიძლება ჩატარდეს **მაგიდის გარშემო წერით.**

მეთოდის აღწერა:

ა) მოსწავლეები დაჯგუფდებიან მაგიდის გარშემო. თითოეულ ჯგუფში დაახლოებით 4-5 მოსწავლეა. ვაცნობთ თემას: ***რა არის ვაჟკაცობა.***

ბ) ვთხოვთ მოამზადონ ფურცლები, კალმები და შეუდგნენ წერას. წინასწარ განვუსაზღვრავთ დროს — დაახლოებით 2-3 წუთს.

გ) როდესაც დრო ამოიწურება, შევაჩერებთ მოსწავლეებს, მიუხედავად იმისა, დაასრულეს თუ არა ნაშრომი. ვთხოვთ, ფურცელი მარჯვნივ მჯდომს გადასცენ, ხოლო ახალი ფურცელი მარცხნივ მჯდომისაგან მიიღონ.

დ) ვთხოვთ, წაიკითხონ მეგობრის ნამუშევარი და დაასრულონ/გააგრძელონ;

ე) ასე გრძელდება მანამ, სანამ ჯგუფის ყველა წევრს თავისი ნაწერი არ დაუბრუნდება (შეიძლება ფურცელი 2 ან 3 წრეზე დავატრიალოთ).

ვ) როდესაც ფურცელი წრეზე მოძრაობას დაასრულებს, მოსწავლეებს ვთხოვთ ჯგუფურად განიხილონ ნაწერი და შეიტანონ კორექტივები;

ზ) ჯგუფებს ვთხოვთ წარუდგინონ თავისი ნაშრომი კლასს.

— სახალხო მთქმელმა ლექსს „ვაჟკაცის შესაფერი“ უწოდა. რამდენად შეეფერება ეს სათაური ტექსტს? თქვენ სხვა სათაურს ხომ არ შეურჩევდით? (მოსწავლეებს ეძლევათ აზრის თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთების შესაძლებლობა).

— ლექსის მიხედვით შექმენით გმირის სურათი, პორტრეტი. ამ გმირის დახატვისას მის რა თვისებებს გაუსვამდით ხაზს? რომელ მხარეს წამოსწევდით წინ? (აქ შეიძლება ჩავატაროთ ჯგუფური მუშაობა, ჯგუფის წევრები სიტყვიერად აღწერენ ვაჟკაცს, ერთ-ერთი კი ამის მიხედვით ქმნის სათანადო ილუსტრაციას.)

აქტივობა 4. შეჯამება — შეფასება:

— რაზეა ეს ლექსი დაწერილი? რა არის მისი იდეა?

— ვისი დაწერილია ეს ლექსი? რა ვიცით მისი ავტორის შესახებ?

— გაიხსენეთ წინა კლასებში შესწავლილი სხვა ხალხური ნაწარმოებებიც. რა აქვთ მათ საერთო? ეძლევა მარტივი საგანამნათლებლო ინფორმაცია ზეპირსიტყვიერების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: *ხალხური პოეტური სიტყვიერება, ხალხური პოეზია, ზეპირსიტყვიერება — სინონიმური ცნებებია. ზეპირსიტყვიერება იქმნება და ვრცელდება ზეპირად, მისი დამახასიათებელია კოლექტიურობა, ანონიმურობა, იმპროვიზაციულობა, ვარიაციულობა, სიტყვის შეხამება ხელოვნების სხვადასხვა დარგთან (სიმღერა, ცეკვა), უშუალო კონტაქტი მსმენელთან — შექმნილი ნაწარმოები თაობიდან თაობაზე ზეპირი გზით გადადის, იხვეწება და მუშავდება ხალხის მიერ, ამიტომ ხშირია ამა თუ იმ ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი. ხშირად პოეტური ტრადიციის შემქმნელიცა და გამავრცელებელიც ერთი და იგივე პიროვნებაა. ასეთები იყვნენ ჟონგლიორები, ტრუბადურები, შანსონიეები საფრანგეთში; ბარდები კელტებთან; შპილმანები, მინეზინგერები გერმანიაში; ვაგანტები პოლონეთში, ბელორუსში; ბაიანები, გუსლიარები, სკომოროხები რუსეთში; კობზარები და ვაგანტები უკრაიანაში; აკინი ყაზახეთსა და ყირგიზეთში, აშუღი ამიერკავკასიაში (ა. ჭიალაია..., გვ. 351).*

აქტივობა 5. ენობრივ მხარეზე დაკვირვება:

— რა ეპითეტს იყენებს სახალხო მთქმელი სიკვდილთან მიმართებში? (სიცოცხლის გამმწარებელი). როგორ ფიქრობთ, რის თქმა სურს მას ამ ეპითეტის გამოყენებით? თქვენ სხვა ეპითეტებს ხომ არ მოიფიქრებდით ამ არსებითი სახელისათვის (სიკვდილი)?

— მოძებნეთ ტექსტში თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელი ფორმები (მაუხდება, ხსენდების). თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ტექსტში ამ ფორმების

გამოყენება? *(დიალექტიზმებია, ეს ნაწარმოები ჩაწერილია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მთაში. ასეთი ფორმები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი კუთხეების მეტყველებისათვის)*

აქტივობა 6. რეფლექსია — „ხუთსტრიქონიანი ლექსი“:
შესწავლილი ლექსის მიხედვით ერთად ავაგოთ „ხუთსტრიქონიანი ლექსი“:

სამახსოვრო:
— პირველ სტრიქონზე დაწერეთ ტექსტთან დაკავშირებული ერთი **არსებითი** სახელი;
— მეორე სტრიქონზე ტექსტის მიხედვით დაწერეთ ამ არსებით სახელთან დაკავშირებული **ორი ზედსართავი სახელი;**
— მესამე სტრიქონზე ტექსტის მიხედვით დაწერეთ ამ არსებით სახელთან დაკავშირებული **სამი ზმნა;**
— მეოთხე სტრიქონზე დაწერეთ მოცემულ თემასთან დაკავშირებული ოთხსიტყვიანი ფრაზა (წინადადება);
— მეხუთე სტრიქონზე დაწერეთ **ერთი სიტყვა,** რომელიც თავის თავში გააერთიანებს ყველაფერს, რაც უკვე დაწერეთ; რომელიც თემის არსს გამოხატავს:

(სანიმუშო ვარიანტი:
ვაჟკაცი;
ძლიერი, მამაცი;
იბრძვის, იმარჯვებს, კვდება;
ვაჟკაცს მტერი ვერ აშინებს;
ვაჟკაცობა).

აქტივობა 7. წერის სტრატეგია — როლი, აუდიტორია, ფორმატი, თემა — RAFT-ი.

მეთოდის აღწერა:
ა) კლასს ვაცნობთ თემას „ვაჟკაცობა“;
ბ) ვთხოვთ, მოიფიქრონ ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას ძველ საქართველოში (მეფის, მთავარსარდლის, რიგითი მებრძოლის, სახალხო გმირის);
გ) შეარჩიონ ის აუდიტორია, ვისთვისაც შექმნიდნენ წერილობით ტექსტს (უფლისწული, ხალხი, ჯარი);
დ) რა სახის ტექსტს შექმნიდნენ (წერილი, მიმართვა, განცხადება)
ე) განვუსაზღვრავთ დროს (15-20 წთ), მოსწავლეები საკუთარი შეხედულებით ირჩევენ როლს, აუდიტორიას, ტექსტის ფორმატს და იწყებენ წერას.
ვ) როდესაც მოსწავლეები წერას დაასრულებენ, საკუთარი სურვილით შეეძლებათ კლასს ნამუშევარი წაუკითხონ.
კითხვის დასრულების შემდეგ დავსვამთ შეკითხვებს:
— როლისა და აუდიტორიის შერჩევის შემდეგ როგორ დაიწყე წერა? რაზე ფიქრობდი წერის პროცესში? რა სიძნელეებს წააწყდი წერისას? იცოდი თუ არა, მიმართვისას რა ფორმა უნდა გამოგეყენებინა უფლისწულთან, ხალხთან, ჯართან საუბრისას?..
ამ კითხვებით ვცდილობთ, მოსწავლეებს დავანახოთ რა ფორმით იწერება წერილი, მიმართვა, განცხადება (ეს ძირითადად წინა კლასებში შესწავლილი მასალის გამეორება იქნება).

აქტივობა 8. გმირის პორტრეტის შექმნა (დავალება №4): მოსწავლეები შესწავლილი ლექსის მიხედვით ქმნიან გმირის სიტყვიერ პორტრეტს (შემოსილია აბჯრით, საომრად არის აღჭურვილი — „ომში წასასვლელია“, ფიზიკურად ძლიერია...), აკვირდებიან სახელმძღვანელოში (გვ. 108) მოთავსებულ სურათსაც, მსჯელობენ ქართველო მებრძლების ტრადიციულ საბრძოლო

აღჭურვილობაზე (ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ფარი, მახვილი...), სურვილის მიხედვით ხატავენ კიდეც წარმოდგენილ გმირს.

აქტივობა 9. მშობლიური ენის სამყაროში:

ა) სიტყვათწარმოქმნაზე დაკვირვება — ტექსტიდან ამოღებულ ამ ნაწყვეტს („მტერსა რომ მტრობას უწევდეს...“) ერთხელ კიდევ ვაკითხებთ და ვაკვირვებთ სიტყვათწარმოქმნის (მტერი — მტრობა) შემთხვევაზე, აქვე შეიძლება მივცეთ სხვა ძირეული არსებითი სახელები და -ობა ბოლოსართის დართვით ვავარჯიშოთ კონკრეტული არსებითი სახელებისაგან აბსტრაქტული სახელების წარმოქმნაზე: ბავშვი — ბავშვობა, ვაჟკაცი — ვაჟკაცობა, ქურდი – ქურდობა, ძმა — ძმობა; მგელი — მგლობა, თევზი – თევზაობა... შეიძლება მივაწოდოთ ტერმინებიც — კონკრეტული და აბსტრაქტული.

ბ) თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება, ფუძის კუმშვა (მოსწავლეებს სისტემაში მოჰყავთ ცოდნა ამ საკითხის ირგვლივ აქვე შესრულდება დავალება №5 (აქტ. რვეული).

შედეგები:

VI. 2. — მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის დეტალების შეფასების უნარი;

VI.3. — მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ინდ. და ჯგუფური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

VI. 6. — მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ნაწყვეტი;

VI. 9. — მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ;

VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა;

VI.12. მოსწავლეს აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევა;

VI.15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა;

VI.16. — მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვათფორმების აგება.

შემდეგი თემების: **„კოპალა“** და „ეთერიანი“ დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას, რომლის გამოყენება მას შეეძლება ამ გაკვეთილების დაგეგმვისას.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: — ***კოპალა*** *წინაქრისტიანული სათემო ღვთაება აღმ. საქართველოს მთაში, მისი ძირითადი სამლოცველო იყო ფშავსა (სოფ. უძილაურთა) და ხევსურეთში (ლიქოკის ხეობა, ჭალაისოფელი). კოპალას სამლოცველოები იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყრსა და ქართლ-კახეთის ჩრდილოეთით. ლეგენდის მიხედვით, კოპალა ღვთისშვილია, რომლისთვისაც ღმერთს დაუკისრებია ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე დევ-კერპების განადგურება. მასვე მიაწერენ ავსულებთან ბრძოლის ფუნქციასაც, საკუთარი საყმოს და სხვა ხორციელთა დაცვას. იგი, როგორც სათემო ღვთაება, თავის ყმებს მფარველობდა გასაჭირში, თან ახლდა ბრძოლებში და ხელს უმართავდა. კოპალა და იახსარი მოძმე ღვთისშვილებად მიაჩნდათ. ხალხის რწმენით, კოპალას ჰქონდა მამულები, სათიბები, ზვრები კახეთში, სხვადასხვა დანიშნულების საკულტო ნაგებობანი, ფლობდა განძს, ჰყავდა კურატების ჯოგი (ქსე, ტ. V, გვ.659).*

ეპოსი *— მხატვრული ნაწარმოების გვარი ლირიკისა და დრამის მსგავსად. ხალხური ეპოსის საწყისები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. ეპოსის თავისებურებაა სინამდვილის ასახვა თხრობის გზით. ავტორი, როგორც წესი, თიითქმის არ ჩანს, მხატვრული ინფორმაცია თითქოს თავისთავადია. ეპოსში გამოყენებულია დიალოგი, მონოლოგი. ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელია პროზისა და ლექსის ხშირი მონაცვლეობა, რისი საუკეთესო დადასტურებაც გახლავთ „ეთერიანი“. აქ ლექსები ძირითადად დიალოგის დროსაა ჩართული. თქმულება აბესალომისა და ეთერის შესახებ, ანუ „ეთერიანი“, სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. არსებობს მისი უამრავი ვარიანტი. პირველი ბეჭდური გამოცემა ეკუთვნის პ. უმიკაშვილს (1875 წ.), რომელსაც ამ დროს „ეთერიანის“ 13 სხვადასხვა ვარიანტი ჰქონია ხელთ. ამ ნაწარმოებმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული პოეზიისა და მუსიკის განვითარებაზე. ყველაზე სრულხმიანად მას პოეზიაში ვაჟა-ფშაველა გამოეხმაურა, ხოლო მუსიკაში — ზ. ფალიაშვილი (ლიტერატურა: ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, 1984 წ., გვ. 91; „ხალხური სიბრძნე“, ტ. II, თბ. 1968 წ, გვ. 5; „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. II, 1968 წ., გვ. 35).*

IV თემა: „ლიტერატურული ზღაპარი“

გაკვეთილის მასალა:

გ. დოჩანაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“, თანდეგულიანი ბრუნვები — (გაგრძელება)

მიზნები:

- ინფორმაციის მიღება და გადაცემა მოსწავლეთა მიერ
- მხატვრული ტექსტის გააზრება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- კითხვისა და გაგების საბაზისო უნარების განვითარება (ვარაუდის გამოთქმა, შეჯამება, შეკითხვების დასმა და სხვა)
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- მხატვრული ტექსტის კითხვა დამოუკიდებლად და შინაარსის გადმოცემა
- ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბება.
- სხვადასხვა სახის წერილობითი მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა
- მულტიმედია ტექსტის შექმნა

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. მზადება კითხვისათვის /გამოწვევა (8-10 წთ): მოსწავლეთა გამოწვევის მიზნით ვიყენებთ აქტივობას – **„საკვანძო ლექსიკური ერთეულებით ამბის შედგენა.“** ტექსტიდან ვარჩევთ 4-5 საკვანძო სიტყვას/ფრაზას **(მეფე, მშრომელი კაცი, ბრძენი, ხელმწიფის ასული)**; ჩამოვწერთ დაფაზე ამ სიტყვებს, ვთხოვთ მოსწავლეებს მათი გამოყენებით შეადგინონ წერილობითი თხზულება და დაასათაურონ. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან ჯგუფებში. პრეზენტაცია და მოსწავლეთა მიერ შეფასებაც იქვე მოხდება.

შეგვიძლია გამოვიყენოთ „საავტორო სკამიც“ (სპეციალურად მორთული სკამი, რომელსაც ვიყენებთ მაშინ, როდესაც მოსწავლეები კითხულობენ თავიანთ შექმნილ წერილობით თხზულებას, ანუ როცა თავად არიან ავტორები) და ერთ ან ორ მოსწავლეს წავაკითხოთ თავიანთი ნაშრომი.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15-20 წთ): სანამ ტექსტის კითხვას დავიწყებთ, მანამდე მოკლედ ვაჯამებთ, რა იციან მოსწავლეებმა გურამ დოჩანაშვილის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია ნასწავლებლისათვის: *გურამ დოჩანაშვილი ქართველი კლასიკოსი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედია. იგი 1936 წელს ქ. თბილისში დაიბადა. მამა — პეტრე დოჩანაშვილი ექიმი იყო, დედა — გულნარა ემხვარი — დიასახლისი. გურამ დოჩანაშვილი იზრდებოდა თბილისში. ბებიები და ბაბუა (დედის მხრიდან იყო აკაკი წერეთლის დისშვილი) არ აკლებდნენ მზრუნველობასა და დიდ სიყვარულს. იგი სასწავლებლად მიაბარეს ვაჟთა პირველ სკოლაში, მან წარმატებით დაამთავრა 61-ე საშუალო სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი 1957 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თ ს უ ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლისას მან გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ნათელა სეფიაშვილი, რომელზეც იქორწინა 1964 წელს.*

გურამ დოჩანაშვილის პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ ცისკარში 1961 წელს. მწერალი არის ლიტერატურული პრემია – „საბას“ ლაურეატი ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.“.

გურამ დოჩანაშვილის მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და სწრაფვა თავისუფლებისაკენ. დოჩანაშვილის შემოქმედება თარგმნილია მრავალ ენაზე, მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ცნობილ კინოფილმებსა და ტელესპექტაკლებს.

რეკომენდაცია მასწავლებლისათვის: შეგვიძლია გამოვიყენოთ კითხვის როგორც ტრადიციული მეთოდი—**კომენტირებული კითხვა,** ისე თანამედროვე სტრატეგია — **ორიენტირებული (პაუზებით) კითხვა.** ამ დროს ტექსტს წინასწარ ვყოფთ რამდენიმე ნაწილად, ტექსტი უნდა გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა შემდეგი მონაკვეთის სიუჟეტის შესახებ მოსწავლეებმა საკუთარი ვარაუდები გამოთქვან. მასწავლებელი იყენებს ე.წ. „ვარაუდების სქემას.“ სათაურის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები დაფიქრდებიან და გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზე შეიძლება იყოს საუბარი ამ ტექსტში. მიუთითებენ: რადგან სათაურია „ყველაზე კარგი პაპა“, მთავარი მოქმედი გმირიც იქნება პაპა, რომელიც ყველაზე კარგია და ჭკვიანი (მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათაურთან იქნება დაკავშირებული).

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს, თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ აკეთებენ პაუზას. კითხვის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით კონტროლდება გაგების პროცესი. შემდეგ ივსება I გრაფა, II გრაფაში უნდა ჩაწერონ , რა მინიშნება აქვთ საამისოდ. ჩაინიშნონ ის მოსაზრებები, რომლებზე დაყრდნობითაც აღნიშნული ვარაუდი გაუჩნდათ და ა. შ.

თითოეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ ივსება ვარაუდების სქემა.

ვარაუდების სქემა

	როგორ ფიქრობთ , რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
IIIმონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

აქტივობა4. ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნა (5-6წთ.)

ტექსტის ბოლოს მოცემულია „სიტყვის სალარო“ ახსნის გარეშე. მოსწავლეებს ვავალებთ, რომ სათანადო ლექსიკონებში (რომლებიც აუცილებლად გვაქვს კლასში) თავად მოიძიონ და ახსნან ეს ლექსიკური ერთეულები. ამ მიზნით შეგვიძლია ჯგუფური მუშაობაც გამოვიყენოთ, კლასი გავყოთ სამ ჯგუფად, **I ჯგუფს მივცეთ პირველი 5 ლექსიკური ერთეული:**

აიმრიზა — (წყენა დაეტყო / გაჯავრებით წარბები შეიკრა)
გაემასლაათა — (გაესაუბრა)
დაექადნა — (დაემუქრა)
მოოჭვილი — (ძვირფასი ქვებით შემკული)
ბზე — (პურის ნამჯის ნალეწი)

II ჯგუფს — 5 ლექსიკური ერთეული:

ეპიტნავება — (ესიამოვნა, მოეწონა)
ჰოტროველა — (ხეპრე, რეგვენი)
გაგრია — (უსწავლელი, უგნური)
თავქარიანი — (ქარაფშუტა, მსუბუქი ჭკუის)
ქარბორბალა — (ძლიერი მბრუნავი ქარი, ქარაშოტი)

III ჯგუფს კი მივცეთ „იდიომების ლექსიკონი“ და მოცემულ ფრაზეოლოგიზმებს თვითონ მიუწერონ შესატყვისები:

თვალი უყო — (ანიშნა)
გული მოეცა — (გათამამდა)
თავში ბზე უყრია — (უჭკუოა, არაფერი გაეგება)
თავში მტრედები უფრენენ — (უჭკუო, სულელი)
ჭკუაზე აფრაკად არის — (უჭკუო, სულელი)
იხტიბარი არ გაიტეხა — (არ შეიმჩნია იმედის გაცრუება, გაწბილება)

აქტივობა 5. შეფასების რუბრიკა (2წთ). განმსაზღვრელი შეფასება მოხდება ათქულიანი სისტემით, ქულები შეიძლება გადანაწილდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (მასწავლებელმა კლასს აუცილებად წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების კომპონენტები):

კრიტერიუმები	I დაბალი	II დამაკმაყოფილებელი	III საშუალო	IV მაღალი
კითხულობს დამოუკიდებლად და იგებს ტექსტის შინაარსს				
სვამს კითხვებს ინფორმაციის უკეთ გასააზრებლად				
გამოთქვამს ვარაუდს და მას ამყარებს არგუმენტით				

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2წთ): „ყველაზე კარგი პაპა“, ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად შეადგინეთ გეგმა, შემდეგ შეარჩიეთ ამ გეგმის ერთ-ერთი საკითხი და წერილობით გადმოეცით მისი შინაარსი.

შეიძლება გამოვიყენოთ აქტივობა **ვიზუალიზება**, ანუ ვავალებთ მოსწავლეებს შექმნან **მედიატექსტი** — ნაწარმოების შემდეგ სახლში შექმნან ჩანახატები წაკითხულ ეპიზოდებზე — ილუსტრაციები.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-წთ).

აქტივობა 2: წაკითხულის გააზრება — წვდომა (15-17წთ)

ტექსტის ანალიზი ხდება I-II დონის კითხვების საშუალებით იგულისხმება **გაგება, ცოდნა** (კითხვები სახელმძღვანელოდან):

— ვინ არიან ნაწარმოების მოქმედი გმირები? *(მეფე, გამრჯე კაცი, სიტყვის პაპა, ვეზირი)*

— როგორ კრებდა მეფე სიმდიდრეს? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი. *(„ვეზირები ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დაძრწოდნენ და საცა რამეს მოიხელთებდნენ, ტომარაში უკრავდნენ თავს“).*

— რა მიზნით დაძრწოდნენ ვეზირები კარდაკარ? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი. *(„დაძრწოდნენ ვეზირები ქვეყნად და ეძებდნენ მეფის გამლანძღავს“).*

— რატომ აუშარდა ვეზირი მშრომელ კაცს? *(„გამრჯე კაცმა უთხრა: — დიდი გერგილიანი ვინმეა თქვენი მეფეო. „გერგილიანი “ვეზირს სალანძღავი სიტყვა ეგონა.) .*

— როგორ დასაჯა მეფემ ვეზირი „სიცრუისათვის“? *(ვეზირს ბეჭედი წაართვა. „წაიძრე შენი ბეჭედი და მე მომეციო“).*

— ვინ იყო სიტყვის პაპა? *(„სიტყვის პაპა ერთი თმაწვერდათოვლილი ბრძენი მოხუცი იყო. რომელი სიტყვა გინდა, იმას არა სცოდნოდა.“ „სიტყვის პაპა ბრძენია და განსწავლული“).*

— როგორ გადაარჩინა სიტყვის პაპამ მშრომელი კაცი? *(— „შენცა და შენს მეფესაც თავში მტრედები გიფრენენო. „— გამრჯე კაცის ეს ნათქვამი სიტყვის პაპამ სხვაგვარად აუხსნა და დაარწმუნა მეფე, რომ ამ კაცმა შენზე კარგი თქვაო.).*

— როგორ „გაანათლეს“ მშრომელმა კაცმა და სიტყვის პაპამ მეფე? *(„მეფეს ბევრი გამოთქმა ასწავლეს, ოღონდ ყველაფერი პირიქით აუხსნეს, თეთრზე ამბობდნენ შავიაო, კარგზე — ცუდს, ცუდზე — კარგს“).*

— რატომ არ გაატანა ზღვათა ხელმწიფემ თავისი ქალიშვილი მეფეს?..*(მეფე გაუნათლებელი იყო.„ბევრი სიტყვა არ იცოდა“, ამიტომ მეფემ თავისი ქალიშვილი მეფის „მასწავლებელს„ — გამრჯე კაცს — მიათხოვა)...*

გაკვეთილი გრძელდება მაღალი დონის კითხვებით, რომლებიც ემსახურება მიღებული ცოდნის **გამოყენებას, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას**:

— მეფის რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაასაბუთეთ. (**მეფე ბოროტი და გაუმაძღარია** — „ვეზირებს უბრძანებდა: წადით, წამოდით და ქონება მომიტანეთო. ვეზირებიც ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დაძრწოდნენ და საცა რამეს მოიხელთებდნენ, ტომარაში უკრავდნენ თავს.“ **გაუნათლებელია** — „ბევრი სიტყვა არ იცოდა მეფემ. ანდა საიდან უნდა სცოდნოდა, ქუჩაში ის არ გადიოდა, ხალხს ის არ ენახვებოდა, ძეხორციელს არ ესაუბრებოდა თავისი ვეზირების გარდა. „**ბრიყვია** — სიტყვის პაპამ და გამრჯე კაცმა მეფეს ბევრი გამოთქმა ასწავლეს, ოღონდ ყველაფერი პირიქით აუხსნეს: თეთრზე ამბობდნენ შავიაო, კარგზე — ცუდს, ცუდზე — კარგს. მეფემაც თუთიყუშივით დაიზეპირა ეს სიტყვები და გამოთქმები და ზღვათა ხელმწიფეს ესტუმრა).

— დაახასიათეთ ვეზირი ტექსტის მიხედვით. რა თვისებები აქვთ საერთო მეფესა და მის ვეზირს? *(გაუნათლებლები იყვნენ, ხარბები და გაუმაძღარნი).*

— თქვენი აზრით, რატომ მოატყუეს სიტყვის პაპამა და გამრჯე კაცმა მეფე? რა შეფასებას აძლევთ მათ ამ საქციელს? *(მიხვდნენ, რომ მეფე სულელი იყო და ბევრი გამოთქმა ასწავლეს, ოღონდ ყველაფერი პირიქით აუხსნეს: თეთრზე ამბობდნენ შავიაო, კარგზე — ცუდს, ცუდზე — კარგს. მეფემაც თუთიყუშივით დაიზეპირა ეს სიტყვები და გამოთქმები. ამით თითქოს სამაგიერო გადაუხადეს თავისი ბოროტებისა და გაუმაძღრობისათვის.*

— ზღვათა მეფემ არჩევანი გამრჯე, უბრალო კაცზე გააკეთა და თავისი ქალიშვილი მას მიათხოვა. თქვენი აზრით, რატომ? *(„ეგ მშვენიერი გამოთქმები ვინ გასწავლაო, იკითხა ზღვათა მეფემ, -სიტყვის პაპამ და ერთმა გამრჯე კაცმაო. მიხვდა მეფე, რომ გამრჯე კაცი ძალიან ჭკვიანი და ბრძენი იქნებაო“).*

— „სიტყვას კი რა არ შეუძლია!.. ადამიანთა გაბედნიერება, ნუგეში, ალერსი, სიყვარული, გამხნევება, მთათა დანგრევა და ქალაქების აშენებაც შეუძლია!“ — წერს მწერალი. ეთანხმებით მას? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი. *(აქ მოსწავლე თავის შეხედულებას არგუმენტით გაამყარებს. მაგ. სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“...).*

— გაიხსენეთ, რა წაგიკითხავთ, გსმენიათ სიტყვის ძალაზე. ეთანხმებით ანდაზას: „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო“? *(სულხან-საბა ორბელიანის „უტკბესი და უმწარესი“)*

— რის თქმა სურს მწერალს ამ ზღაპრით? რა არის ამ ნაწარმოების იდეა? *(რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებას, წიგნიერებას; რამდენად გეხმარება შენი ენის სრულყოფილი ცოდნა სხვადასხვა რთულ სიტუაციაში; რამდენად ზუსტად და გასაგებად შეგიძლია გამოთქვა აზრი, როცა კარგად ფლობ ენას, ხარ წიგნიერი და განათლებული; რამდენად სასაცილოა უწიგნური ადამიანი, გინდაც მეფე იყოს ის... რა ძალა აქვს სიტყვას, და რისი გაკეთება შეუძლია მას.)*

— ზღაპრისათვის დამახასიათებელი რა ნიშნები აქვს ამ ნაწარმოებს? რა გეჩვენებათ მასში დამაჯერებლად? დაუჯერებლად? რით ჰგავს იგი ხალხურ ზღაპარს? რით განსხვავდება? *(ზღაპრისათვის დამახასიათებელია ხალხური სიბრძნე. დაუჯერებლად მეჩვენება, რომ ასეთი გაუნათლებელი მეფე ქვეყანას მართავდეს... ხალხურ ზღაპარს იმითაც ჰგავს, რომ ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე.)*

აქტივობა 3. ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება(10-12წთ): (დავალება სახელმძღვანელოდან) ტექსტში მრავლადაა მოცემული ეპითეტები, მოსწავლეებს ვაკვირვებთ მასზე. ვავალებთ მოძებნონ რომელი ეპითეტებით ახასიათებს მწერალი მეფეს? სიტყვის პაპას? მშრომელ კაცს?

მეფე — *გაუმაძღარი, მდიდარი, ბოროტი, ხარბი...* **სიტყვის პაპ**ა — *თმაწვერდათოვლილი ბრძენი მოხუცი, განსწავლული...* **მშრომელი კაცი** — *პატიოსანი, გამრჯე, ჭკვიანი...*

დავაკვირვოთ მოსწავლეები:

— „წადი, წადი აქედან... შე ცუდო, შენაო!“ — მეფემ სხვა სიტყვა არ იცის და ამიტომ უწოდებს თავის ვეზირს ცუდს. მას რომ უფრო მდიდარი სიტყვათა მარაგი ჰქონოდა, რა სიტყვებით მიმართავდა თავის ვეზირს? (*უსწავლელო, გაუნათლებელო, რეგვენო)*

— რატომ უწოდა მწერალმა ბრძენკაცს „სიტყვის პაპა“? რაზე მიგვანიშნა ამ სახელით? *(ბრძენი და განსწავლული კაცი იყო, „რომელი სიტყვა გინდა, იმას არ სცოდნოდა.„ „ქვეყნად ისეთი არაფერია, იმან რომ არ იცოდეს“).*

— რომელი უცნობი და გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები გამოიყენა სიტყვის პაპამ მეფესთან საუბრისას? *(„თავში ბზე გიყრიაო“, ჰოტროველა , გაგრია ჭკუაზე აფრაკად ვარო, თავში სულ მტრედები მიფრენენო, ქარბორბალა).*

— თქვენი აზრით, რატომ არ იცოდა მეფემ ამ სიტყვების მნიშვნელობა?

(გაუნათლებელი იყო, „ბევრი სიტყვა არ იცოდა მეფემ. ანდა საიდან უნდა სცოდნოდა, ქუჩაში ის არ გადიოდა, ხალხს ის არ ენახვებოდა, ძეხორციელს არ ესაუბრებოდა„)

— ასეთი სიტყვების შესწავლის რა გზას გვთავაზობს მწერალი?

— თქვენი აზრით, მისაღები და გამართლებულია ეს გზა?

— რამდენი ახალი სიტყვა და გამოთქმა შეგასწავლათ ამ გაკვეთილზე „სიტყვის პაპამ“?

(აიმრიზა, გაემასლაათა, დაექადნა, მოოჭვილი, ბზე, ეპიტნავება, ჰოტროველა, თვალი უყო, გაგრია, თავქარიანი, ქარბორბალა. გული მოეცა თავში ბზე უყრია, თავში მტრედები უფრენენ, ჭკუაზე აფრაკად არის, იხტიბარი არ გაიტეხა...).

აქვე ვასრულებთ დავალებას - აქტივობის რვეული დავალება№4 (შემდეგი სიტყვებისათვის შეარჩიეთ სინონიმები ტექსტიდან —

ტეტია — (ჰოტროველა, გაგრია)
მოხერხებული — (გერგილიანი)
მოსწონს — (ეპიტნავება)
გულკეთილი — (ქველმოქმედი)
ქარაშოტი — (ქარბორბალა)
ესაუბრებოდა — (ემასლაათებოდა)
დაემუქრა — (დაექადნა)

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. (2-3 წთ) საშინაო დავალება: „ყველაზე კარგი პაპა“- თხრობით, აქტ. რვეული დავალება №3 (მოუძებნეთ შესატყვისები შემდეგ ფრაზებს — შეაერთეთ ისრით):

თვალი დაადგა — მოეწონა
თვალი უყო — ანიშნა
თვალი აუხილა — სინამდვილე უჩვენა
თვალი გაუსწორა — გაბედულად შეხედა
თვალი აუხვია — მოატყუა
თვალი აარიდა — ყურადღება არ მიაქცია
გული მოეცა — გათამამდა
გული მოუვიდა — გაბრაზდა
გული დაეწვა — ეწყინა
გული გაუხეთქა — შეაშინა
გული გაუტყდა — იმედი დაკარგა, დაღონდა
გული დაეთუთქა — ძალიან ეწყინა

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8წთ).

აქტივობა 2. ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოსაცემად გეგმის შედგენა (5-7წთ): გეგმის შედგენა ხდება კლასის საერთო მონაწილეობით. იგი დაფაზე იწერება. მოსწავლეები გაიაზრებენ გეგმის თითოეულ საკითხს და აკეთებენ მოკლე კომენტარს მის შესახებ (გეგმა დაახლოებით ასეთი შეიძლება იყოს):

1. გაუმაძღარი მეფე
2. გამრჯე კაცთან მასლაათი
3. ვეზირის სასჯელი
4. გამრჯე კაცის მოხერხება
5. მეფის „განათლება“
6. ზღვათა ხელმწიფესთან სტუმრობა
7. სიტყვის პაპას მოვალეობა

აქტივობა 3. მინიდისკუსია (10 წთ): გაიმართება დისკუსია მოსწავლეებს შორის, იქნება ორი მხარე: ერთი, რომელიც ამართლებს გამრჯე კაცს — „რატომ დამაბეზღე მეფესთან?“ და მეორე — რომელიც ცდილობს ახსნას ვეზირის მოქმედება: „მაშინ მეფე მე დამიჭერდა.“ მოსწავლეებმა პასუხების გაცემით უნდა შეძლონ ლიტ. პერსონაჟების მოქმედების მიზეზისა და მიზნის ახსნა, შეძლონ საკუთარი აზრის დასაბუთება (გამრჯე კაცი — გამრჯე კაცი თავისთვის ქოხის წინ მუშაობდა, მას გამოელაპარაკა ვეზირი, იქნებ რაიმე ცუდი ვათქმევინო მეფეზეო. არ ეშვებოდა ვეზირი. რაღაც მისთვის გაუგებარი სიტყვა გაიგონა და მეფეზე ცუდს ამბობსო და დასასჯელად მეფეს მიჰგვარეს გამრჯე კაცი. ეს არის ცუდი საქციელი ვეზირის მხრიდან. **ვეზირი** — მეორე მოსწავლე ამართლებს მის საქციელს: მეფე ხომ ასე ეუბნებათ: „— აბა, ერთი არ მოგიყვანიათ ჩემი გამლანძღავი, სულ თავებს დაგაყრევინებთო.“ ამიტომ რა უნდა ექნა ვეზირს?

მინიდისკუსიის შემდეგ სრულდება აქტივობის რვეულში დავალება №1: (წყვილებში) ტექსტიდან შეარჩიეთ **ორი გმირი** — **უარყოფითი** და **დადებითი**. დაასმევინეთ მათ ერთმანეთისათვის კითხვები იმგვარად, რომ პასუხების გაცემისას შეძლონ თავიანთი მოქმედების მიზეზისა და მიზნის ახსნა. ტექსტი ააგეთ დიალოგის სახით.

აქტივობა 4. გმირის რუკა. მთავარი პერსონაჟის დახასიათება ტექსტუალური მასალის საფუძველზე (5 წთ):

გამოვყოფთ ორ ან სამ გმირს და მოსწავლეები მათ მოცემული სქემის მიხედვით ახასიათებენ. გამოყოფენ 2-3 დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, არგუმენტი მოჰყავთ ტექსტიდან.

გმირის რუკა



აქტივობა 5. მშობლიური ენის სამყაროში (10-12წთ): მასწავლებელი კლასს აკვირვებს წინადადებებზე:

„ხალხ-ის-გან წართმეული ქონება ვეზირებს მეფე-თან მიჰქონდათ.“

„ეს მეფ-ის-თვის მირთმეული ძღვენი იყო“.

„გამრჯე კაცი ზღვათა მეფ-ის-კენ გაეშურა“.

მოსწავლეები აკვირდებიან და ასახელებენ, რომელია ამ წინადადებებში თანდებულიანი არსებითი სახელები?(ხალხ-ის-გან, მეფე-ს-თან, მეფ-ის-თვის, მეფ-ის-კენ)

— რომელია მათ შორის მიცემითი ბრუნვის თანდებული? (-თან)

აკვირდებიან დანარჩენი თანდებულების წინ ბრუნვის ნიშანს და აკეთებენ დასკვნას: **თანდებულები -თვის, -გან, -კენ ნათესაობითი ბრუნვას დაერთვიან.** ყურადღებას ვამახვილებთ **-თანავე, -ებრ** თანდებულებზე, რომლებიც ასევე ნათესაობით ბრუნვის თანდებულებია.

წინადადებებზე დაკვირვებით ვაცნობთ აგრეთვე მოქმ. ბრ. თანდებულებს **–ურთ** და **–გან:**

„დედალი ცხვარი თავისი ციკნ-ით-ურთ ჩამორჩენოდა ფარას“.

მოსწავლეები აკვირდებიან ბრუნვის ნიშანს -ურთ თანდებულის წინ და აკეთებენ დასკვნას, რომ იგი მოქმედებით ბრ-ს დაერთვის.

საყურადღებოა **-გან** თანდებული, რომელიც მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე დართვისას სახეს იცვლის:

„მოიყვანეს თავისი ქოხიდან“.

ქოხ-ით-გან ------ქოხიდ-გან --------ქოხი-დან

იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან კარგად გავმიჯნოთ –გან თანდებულიანი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმები, დავიხმაროთ კითხვები:

ნათესაობითი:	მოქმედებითი:
ვისგან? რისგან?	საიდან? როდიდან?

ცოდნის გასამტკიცებლად მოსწავლეები ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სათანადო დავალებას:

ნათ. ბრ.	**მოქმ. რ.**
მონადირისა-გან (ვისგან?)	კლდი-დან (საიდან?)
არწივისა-გან (რისგან?)	ბუდი-დან (საიდან?)
მეგობრისა-გან (ვისგან?)	ცი-დან (საიდან?)
მშობლებისა-გან(ვისგან?)	ხვალი-დან (როდიდან?)

აქტივობა 7. შეფასება (2წთ).

აქტივობა 8. საშინაო დავალება (2-3 წთ): „ყველაზე კარგი პაპა“, დავალებები: №2 (აქტივობების რვეული): ავაგოთ ტექსტი — ლიტერატურული ზღაპარი (სანიმუშო ქარგა მოცემულია აქტივობის რვეულში), №5 (ჩასვით სათანადო თანდებულები).

შედეგები:

VI.1. — მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უნარ-ჩვევა;

VI.2 — აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი დეტალების შეფასების უნარი;

VI. 5. — შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობისას ინდ. და ჯგუფური სტრატეგიების გამოყენება;

VI. 6 შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი/ნაწყვეტი;

VI.8 — შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები;

VI. 10. აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი;

VI.12 — შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება (აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკულ ნაწილებს, გამოთქვამს ვარაუდებს და ა. შ.);

VI. 13. შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში და აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი;

VI.14 — მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.

V თემა: **„ადამიანი და ბუნება“**

გაკვეთილის მასალა:
ვაჟა-ფშაველას „ვერხვი“,– ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები (3 სთ)

მიზნები:

- ინფორმაციის მიღება და გადაცემა მოსწავლეთა მიერ
- დისკუსიის ხელოვნების თანდათანობითი დაუფლება, სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად
- დისკუსიაში მონაწილეობისას ჯგუფური და ინდ. სტრატეგიების გამოყენება
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- წიგნზე დამუკიდებლად მუშაობა
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება — გამოწვევა (7-10 წთ): განწყობის შესაქმნელად, შესაძლებელია მასწავლებელმა კლასს უჩვენოს ვერხვის სურათი.

— როგორ ფიქრობთ რა ჯიშის ხეა ამ სურათზე? თუ უნახავს ვინმეს ეს ხე? ფლობს რაიმე ინფორმაციას ამ ხის შესახებ? ..

შეგვიძლია ჩვენ მცირე ინფორმაცია მივაწოდოთ მოსწავლეებს.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: *დიდი ზომის ფოთლოვანი მცენარეა. ყვავის ადრე გაზაფხულზე, ერთსა და იმავე ხეს სხვადასხვა ტოტზე სხვადასხვა ფორმის ფოთოლი ასხია. ნაყოფი კოლოფია. ვერხვი მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყარით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყით. სწრაფმზარდია, ხარობს ტენიან ნიადაგზე, თუმცა გაშენება თითქმის ყველანაირ ნიადაგზე შეიძლება. სინათლის მოყვარულია, ქარგამძლე, ფართოდ იყენებენ გასამწვანებლად. იზრდება მთისა და მდინარისპირა ტყეებში. აქვს თეთრი, მსუბუქი და რბილი მერქანი, ქერქი შეიცავს საღებავ ნივთიერებებს, ზოგი სახეობის სურნელოვანი კვირტები - ძვირფას ეთეროვან ზეთებს. ცნობილია 100-ზე მეტი სახეობა, ჩვენში მთისა და ჭალის ტყეებში ვერხვის 8 სახეობა იზრდება.*

ვაკეთებთ მოკლე მიმოხილვას ნაწარმოების ავტორზე, წერის სტილზე და მის შექმნილ სხვა ნაწარმოებებზე.

კლასში შეიქმნება სათანადო განწყობა, ამის შემდეგ ვიწყებთ ტექსტზე მუშაობას.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15 წთ). ტექსტის კითხვისას ვიყენებთ აქტივობას „პაუზებით კითხვა.“ ტექსტი დავყოთ რამდენიმე ნაწილად, გავწყვიტოთ საკვანძო საკითხებთან, მოსწავლემ უნდა შეძლოს ვარაუდების გამოთქმა მოცემული სიუჟეტის შესახებ. ამ გაკვეთილზე ვკითხულობთ I თავს, **I პაუზა** –„ვერხვმა თავისი თანამოძმეებისა სხვა ვერაფერი გაიგო.“ **II პაუზა** — „ვერხვი იქვე ადგილობრივ იდგა, მეხისგან ტანზე მრავალგან დაზიანებული.“

თითოეული პაუზის შემდეგ ვჩერდებით და კლასს ვაძლევთ იმის საშუალებას, გამოთქვან თავიანთი ვარაუდი მოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ. ვავალებთ მოსწავლეებს მოძებნონ ტექსტში უცხო სიტყვები, ბუნდოვანი ადგილები დააზუსტონ და ახსნან ჯგუფებში. დასვან შეკითხვები წაკითხულის ირგვლივ.

მოსწავლეები შემდეგ მონაკვეთში განვითარებულ მოვლენებზე წინასწარ გამოთქვამენ ვარაუდებს. მოჰყავთ ტექსტიდან საამისოდ არგუმენტები. ამის შემდეგ გრძელდება პაუზებით კითხვა. კითხვის პროცესში ივსება „ვარაუდების სქემა“ (იხ. გვ. 55).

აქტივობა 4: წაკითხულის გააზრება — წვდომა (7-10 წთ): ტექსტის ანალიზი ხდება კითხვების საშუალებით (სახელმძღვანელო).

—სად ამოვიდა ვერხვი? *(ერთ მწირს გორაზე.)*

— რა აწუხებდა მას? *(მარტოობა. მის ახლომახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო).*

— საით უწევდა გული? *(„შორს ტყეში ვერხვებს ხედავდა და მათკენ მიუწევდა გული“).*

— რატომ იყო იგი თავისი ხვედრის უკმაყოფილო? *(„თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის ვერ გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა.“)*

აქტივობა 5. შეფასება (3წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2წთ): ვაჟა-ფშაველა „ვერხვი“. მოემზადეთ დისკუსიისათვის — **ტყე შეუნახე შვილებსა** (მოიძიეთ მასალა ბიბლიოთეკაში, ინტერნეტში და მოამზადეთ მასალა საქართველოს ტყეების შესახებ. აქტ. რვეულება №1).

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10წთ): მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და წარმოადგენენ მოძიებულ მასალას საკითხის ირგვლივ. პრეზენტაციისას ვიყენებთ როგორც ტექსტუალურ, ასევე ფოტო და ელექტრონულ მასალას. მოსწავლეები ერთმანეთის პასუხებს სათანადო კომენტარებით აფასებენ.

აქტივობა 2. ტექსტის კითხვა (10 წთ): ვაგრძელებთ II და III ნაწილის კითხვას პაუზებით. აქაც ვავალებთ მოსწავლეებს მოძებნონ ტექსტში უცხო სიტყვები, ბუნდოვანი ადგილები დააზუსტონ და ახსნან ჯგუფებში. დასვან შეკითხვები წაკითხულის ირგვლივ.

აქტივობა 3. ჯგუფური დისკუსია (5-7წთ): ტექსტის წაკითხვას ვწყვეტთ ამ ადგილზე — „სხვებმა იუარეს, როგორ შეიძლება, ცოდვაა მაგის მოჭრაო.“ მოსწავლეებს ვაძლევთ სიუჟეტის განვითარების ორ ვერსიას.

1. შეიბრალა მწყემსმა ვერხვის ხე და მოჭრა გადაიფიქრა.

(„ყველას უყვარდა ვერხვი, რადგან მოსახედ ადგილას იდგა და იმის მეტი ხე არ მოიპოვებოდა; ამიტომ მწყემსები თავისი სამწყემსოთი მის ჩრდილოს ქვეშ ისვენებდნენ“).

2.არ დაინდო მწყემსმა ვერხვის ხე („მწყემსებს სიცივისაგან კანკალი მოჰკიდა“).

იმართება დისკუსია მოსწავლეებს შორის, კლასის აზრი იყოფა ორად, თითოეულ ჯგუფს თავისი ლიდერი ჰყავს, ლიდერები სხდებიან ერთმანეთის პირისპირ, ჯგუფის მოსაზრებებს იცავენ და ამყარებენ არგუმენტებით. კამათის შემდეგ ბოლომდე ვკითხულობთ ტექსტს.

მოსწავლეები ეძებენ ტექსტში უცხო სიტყვებს, ბუნდოვან ადგილებს აზუსტებენ და ხსნიან ჯგუფებში. სვამენ შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ.

აქტივობა 4: წაკითხულის გააზრება — წვდომა (5 წთ)

— რა ჰგვრიდა მას (ვერხვს) სიამაყეს? *(არწივის სტუმრობა. „უთუოდ ვყოფილვარ რამე, რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა, მკადრულობს და ჩემს ტოტებზე ისვენებსო“).*

— როდის დადგა ვერხვის აღსასრული? *(ზამთარში, როცა თოვლისაგან და სიცივისაგან აკანკალებულმა მწყემსებმა გასათბობათ მისი მოჭრა გადაწყვიტეს).*

—რისი იმედით მოკვდა ის? *(„ცოცხალს არ მელირსა და იქნებ მკვდარს მაინც მელირსოს ჩემს ძმებთან ყოფნაო.“)*

აქტივობა 5: წერა მაგიდის გარშემო. (10 წთ)

შეადგინონ მოსწავლეებმა ტექსტი — **ტყის ჩივილი** (აუცილებელი პირობა — ტექსტი იწერება I პირში): აქტ. რვეული. დავალება №4.

მეთოდის აღწერა:

ა) დაჯგუფდით 4-5 მოსწავლე და განლაგდით მაგიდის გარშემო წრიულად;

ბ) სათითითაოდ მოამზადეთ ფურცლები, კალმები და შეუდექით წერას მოცემული საკითხის ირგვლივ;

გ) წერისათვის გაქვთ ზუსტად 2 წუთი;

დ) ამ დროის ამოწურვის შემდეგ (მიუხედავად იმისა, დაამთავრეთ თუ არა წერა) გადაეცით თქვენი ნაწერი მარჯვნივ მჯდომს, თქვენ კი ფურცელი მარცხნივ მჯდომისაგან მიიღეთ, წაიკითხეთ მისი ნამუშევარი და განაგრძეთ მის მიერ დაწყებული ტექსტი;

ე) ასე გააგრძელეთ მანამ, სანამ ჯგუფის ყველა წევრს არ დაუბრუნდება თავისი ნაწერი (შეიძლება ფურცელი ორ წრეზეც დაატრიალოთ);

ვ) როდესაც ფურცელი მოძრაობას დაასრულებს, წაიკითხეთ ყველა ნამუშევარი, შეარჩიეთ მათ შორის საუკეთესო ვარიანტი და წაუკითხეთ თქვენს კლასელებს.

აქტივობა 6. ენობრივ მხარეზე ვარჯიში (7წთ):

1) სხვადასხვა პირში თხრობა: ვავალებთ მოსწავლეებს დააკვირდნენ ტექსტს და გაარკვიონ რომელ პირშია თხრობა? რის შესახებ მოგვითხრობს იგი?(თხრობა მიმდინარეობს III პირში და იგი ეხება მარტომყოფ ვერხვის ხეს და მის წუხილს).

შეეცადნენ, გადმოსცენ ამ ტექსტის შინაარსი I პირში. ამ შემთხვევაში ვინ იქნება მთხრობელი? (თავად ვერხვი)

2) მხატვრულ სახეებზე დაკვირვება: კლასს ვავალებთ მოძებნონ ტექსტში ა)სულიერი საგნის სახელები (მაგ. მწყემსი, ფრინველები, არწივი,) ბ) გასულიერებული საგნის სახელები (ვერხვის ხე, მთის ნიავი, ყვავილები...)

— მწერალმა ვერხვი სულიერ არსებად წარმოგვიდგინა. როგორ, რა საშუალებებით მიაღწია ამას? (აალაპარაკა ვერხვის ხე, გაუჩინა ადამიანის თვისებები, განცდები, შეგრძნებები).

— დაასახელეთ ტექსტიდან ის ადამიანური თვისებები, რომლებიც მწერალმა უსულო საგანს, ამ შემთხვევაში ვერხვს, მიაწერა (ეს შეიძლება შესრულდეს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად (ვერხვი საუბრობს, ღმერთს ემდურის, ესმის, ეძახის, უფრთხილდება, ეხვეწება, ლოცულობს და ა.შ.).

— ვაწოდებთ ტერმინს **გაპიროვნება** და ვავალებთ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გაიხსენონ გაპიროვნების ნიმუშები, ანდა გაიხსენონ ის მწერალი, რომელიც მიმართავს ამ ხერხს.

3) ძირეული და წარმოქმნილი სახელები: მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოს:

ვერხვი — ვერხვნარი,
ტირიფი — ტირიფნარი
ნაძვი — ნაძვნარი
ბუჩქი — ბუჩქნარი

ყვავილი — ყვავილნარი

და ასახელებენ, რომელია **ძირეული სახელი** *(ვერხვი, ტირიფი, ნაძვი, ბუჩქი ყვავილი)* და რომელი **წარმოქმნილი** *(ვერხვნარი, ტირიფნარი, ნაძვნარი, ბუჩქნარი, ყვავილნარი).*

— რა სუფიქსი გამოიყენება წარმოქმნისათვის? (-ნარ-ი)

რას აღნიშნავს ამ სუფიქსით წარმოქმნილი სახელი? *(იმ ადგილს, სადაც მრავლადაა დასახელებული მცენარე).*

აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ): „ვერხვი"(თხრობით), აქტ. რვ. დავალება №3 ტექსტის მიხედვით დაწერეთ „ვერხვის აღსასრული".

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-7წთ).

აქტივობა 2. ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოსაცემად გეგმის შედგენა (8-10 წთ):

მოსწავლეები გადმოცემენ ტექსტის შინაარსს, შინაარსის გადმოსაცემად ადგენენ გეგმას (ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში და ჯგუფურად), აქტ. რვეული დავალება №2 (შესწავლილი ტექსტი დაყავით ნაწილებად და შეადგინეთ გეგმა)

გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. **ვერხვის სიცოცხლე**
2. **ხმელი ფოთოლი შორეული ტყიდან**
3. **ყვავილების ენა/ყვავილებთან საუბარი**
4. **ვერხვის სიამაყე**
5. **ვერხვის აღსასრული**

მოსწავლეები გაიაზრებენ გეგმის თითოეულ საკითხს და აკეთებენ მოკლე კომენტარს მის შესახებ.

აქტივობა 3. გამოხმაურება წაკითხულის შესახებ (10-15წთ):

გაკვეთილი გრძელდება მაღალი დონის კითხვებით, რომლებიც ემსახურება მიღებული ცოდნის **გამოყენებას, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას:**

— **„უმადლო სიცოცხლე",** — ასე აფასებს ვერხვი თავსი განვლილ ცხოვრებას. თქვენი აზრით, მართლა უსარგებლო იყო ვერხვის სიცოცხლე? *(არა, ვერხვის სიცოცხლე არ არის უსარგებლო, იგი სულ ლოცულობდა მის ჩრდილ ქვეშ მყოფი ყვავილებისათვის. „ყველას უყვარდა ვერხვი, რადგან მოსახედ ადგილას იდგა და იმის მეტი ხე არ მოიპოვებოდა; ამიტომ მწყემსები თავისი სამწყემსოთი მის ჩრდილოს ქვეშ ისვენებდნენ.„ შეშად ვერხვი ენთო, გარშემო მწყემსები უსხდნენ, დიდი და პატარა, მკლავტიტველები; ფეხშიშველი ბალღები იხუხებოდნენ ცეცხლის ალზე, აგრეთვე მოხუცნი, და ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმად: „იჰ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთმაო!").*

— ადამიანები, რომლებიც ზაფხულობით ვერხვის ჩრდილს აფარებდნენ თავს, ზამთარში დაუნდობლად ჭრიან მას. როგორ შეფასებას აძლევთ მათ საქციელს? თუ ჩანს ტექსტში მწერლის

დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ? *(ეს არის დაუნდობლობა, უგულო საქციელი. მწერლის მხრიდან სიბრალული იგრძნობა).*

— მწერალმა ტექსტში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მოვლენა — ადამიანის მიერ ხის მოჭრა — აღწერა. შეძლო თუ არა მან ამ ფაქტის გადმოცემა ისე, რომ მკითხველი დაეფიქრებინა? რა ფიქრები აღგიძრათ ამ მოთხრობის წაკითხვამ? როგორ მიაღწია ამას მწერალმა? *(ნამდვილად დააფიქრა მკითხველი ამ ფაქტმა, უსულო საგნის გასულიერებით მიაღწია ამას მწერალმა. ამის წაკითხვის შემდეგ ალბათ დაფიქრდებიან და აღარ მოჭრიან ხეებს.)*

— რისი ჩვენება სურს მწერალს მარტოდმყოფი ვერხვის ცხოვრების აღწერით?

(თუ რა ძნელია შენი მოძმეებისაგან შორს მარტოდმარტო ცხოვრება. „თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის ვერ გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?!“)

— რაში ხედავდა ვერხვი თავის დანიშნულებას? *(უნდოდა მადლი ეკეთებინა ქვეყანაზე, „ვერავის რა ვარგეო„- წუხდა იგი.)*

— როგორ ადამიანს გაგონებთ იგი? *(ადამიანს, რომელსაც სიკეთის კეთება ახარებს, მადლიან ადამიანს.)*

— მწერლის აზრით, რა არის ადამიანის მთავარი დანიშნულება? *(თესოს სიკეთე ქვეყანაზე, მადლიანი საქმეები აკეთოს, იყოს თავის მოძმეებთან ერთად.)*

— გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწარმოებები. რა საერთოს ხედავთ მათ შორის? *(ძირითადად ბუნებაა აღწერილი მის შემოქმედებაში. იგი ხშირად მიმართავს გაპიროვნებას).*

აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში (10წთ): ყურადღებას ვამახვილებინებთ მოსწავლეებს წინადადებებზე:

„**მწარე** ვითხოვე, ენა მომიტანა“.

„ამ ქვეყანაზე ენაზე **უ-მწარ-ეს-ი** არა მოიპოვება-რა“.

„ბალახს რაღაცნაირი **მო-მწარ-ო გემო** ჰქონდა“.

ვავალებთ მოსწავლეებს მოძებნონ ამ წინადადებებში რომელია ზედსართავი სახელები (მწარე, უმწარესი, მომწარო).

— რა განსხვავებაა მათ შორის? *(ისინი საგნის თვისების მეტ და ნაკლებ ოდენობას გამოხატავენ)*

— მათგან რომელი გამოხატავს საგნის თვისებას მეტი რაოდენობით? ნაკლები რაოდენობით? რომელია ძირეული სიტყვა? *(მეტი რაოდენობით- **უმწარესი**, ნაკლები რაოდენობით – **მომწარო,** ძირეულია — **მწარე**).*

ამის შემდეგ კლასს ვთავაზობთ წესს.

ვაკვირვებთ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯოშოზე და ვავალებთ შეავსონ. პასუხობენ კითხვებზე:

მწარე — უ-მწარ-ეს-ი — მო-მწარ-ო
შავი — უ-შავ–ეს-ი მო- შავ -ო
თეთრი — უ- თეთრ–ეს—ი - მო-თეთრ -ო
დიდი — — უ-დიდ–ეს-ი მო- დიდ-ო

— რომელი თავსართ-ბოლოსართი აწარმოებს უფროობითი ხარისხის ფორმას? (უ-ეს), ოდნაობითი ხარისხის ფორმას? (მო-ო).

მასწავლებელი კლასს ავალებს წაიკითხონ შესწავლილი ტექსტი ყურადღებით და მოძებნონ, თუ არის მასში უფროობითი ან ოდნაობითი ხარისხის ფორმები (ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად).

მოსწავლეებს ვაკვირვებთ სახელმძღვანელოში მოცემულ წინადადებებზე, სადაც სიტყვები: **ცუდი, კარგი, ტკბილი, სქელი** — უფროობითი ხარისხის ფორმებს თავისებურად აწარმოებენ:

ცუდი — უარესი, კარგი — უკეთესი, ტკბილი — უტკბესი, სქელი — უსქესი.

კლასში ვასრულებთ დავალება №5 აქტ. რვეული (მოცემული სინონიმური ზედსართავი სახელებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და ჩასვით.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): „ვერხვი"(თხრობით), დავალება №6 აქტ. რვეული. მართლწერისას დაშვებული შეცდომების გასწორება — რთულფუძიანი ზედსართავი სახელების მართლწერა (ცნობისმოყვარე, წითელ-ყვითლად, გრძელმათრახიანმა, მაღალყელიან, მხრებ-გაშლილი, წელგამართული, სახემომღიმარი, გულჭრელა, თეთრგულა, თეთრკაბიანი).

შედეგები:

VI.1.მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევა;

VI. 3. შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად

VI.5. შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება;

V.7. შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება;

VI.10. აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილებ-ის გადმოცემის უნარი;

VI.11. შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ-გამომსახველობით თა-ვისებურებებზე დაკვირვება.

VI.15. შეუძლია სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმ-ნა.

VII თემა „საზღვარგარეთული მწერლობა“

მასწავლებელს ვთავაზობთ დამატებით ინფორმაციას მასალის: **„ვარსკვლავბიჭუნა“** და **„უკანასკნელი გაკვეთილი“** — დაგეგმვისათვის:

ა) ოსკარ უაილდი, ოსკარ ფინგალ ო'ფლაერტი უილზ, 1854-1900 წწ. *— ეროვნებით ირლანდიელია, მიიღო საუკეთესო განათლება ჯერ დუბლინის ტრინიტი კოლეჯში, შემდეგ — ოქსფორდში. ლექსების I კრებული გამოსცა 1881 წ. 1882 წ. მიიწვიეს აშშ-ში, როგორც სახელგანთქმული ევროპელი ესთეტი. 1895-1897 წ იყო დაპატიმრებული, მის ცნობილ ზღაპრებში („ბედნიერი უფლისწული“, „ვარსკვლავბიჭუნა“), კომედიებსა („ლედი უინდერმირის მარაო“, „უმნიშვნელო ქალი“, „იდეალური ქალი“, სარა ბერნარისთვის ფრანგულად დაწერილი „სალომე“...) და მის ძირითად ნაწარმოებში „დორიან გრეის პორტრეტი“ იგი ბუნებრივის წინაშე ხელოვნურის პრიმატს აღიარებს და ხელოვნების ზნეობრივი ინდიფერენტიზმის პრინციპს იცავს. საზოგადოების მეშჩანური ატმოსფეროს წინააღმდეგ იგი მიმართავდა პარადოქსის თეორიას. ციხეში ყოფნისას დაწერა „რედინგის ციხის ნაწარმოები“. სულიერად გატეხილი, ყველასაგან მიტოვებული გარდაიცვალა პარიზში (ქ ს ე, ტ. X, გვ. 94).*

ბ) ალფონს დოდე *— 1840-1897 წწ. ფრანგი მწერალი. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო პატრიარქალური პროვანსის იდეალიზაცია. პროვანსული ფოლკლორი გახდა მისი ცნობილი ნაწარმოების „წერილები ჩემი წისქვილდან“ წყარო; ყველაზე ცნობილია მისი ტრილოგია „ტარტარენ ტარასკონელი“, რომელშიც სატირულად დახატა უმაქნისი ბაქიას ტიპი. ავტორია რომანებისა: „ორშაბათის ზღაპრები“, „ფრომონ უმცროსი და რისლერ უფროსი“, „ნაბობი“, „ნუმა რუმესტანი“... მისი შემოქმედებით საქართველოში ჯერ კიდევ XIX ს.,-ის ოთხმოციან წლებში დაინტერესდნენ. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა „ივერიაში“, „დროებაში“. თარგმნიდნენ თ. სახოკია, ე. გაბაშვილი, ა. თუმანიშვილი-წერეთელისა, ი. ცისკარიშვილი. მის გარდაცვალებას „ივერიამ“ ნეკროლოგიც მიუძღვნა (ქ ს ე, ტ. III, გვ. 604).*

გ) ელზასი, ალზასი, *ძირითადად მოიცავს ზემო და ქვემო რაინის დეპარტამენტებს. მოსახლეობა — 1 517 ათასი კაცი, ენა — გერმანული და ფრანგული; ფართობი — 8, 3 ათ. კვ. კმ. მთავარი ქალაქი — სტრასბურგი/სტრასბური. 1870 -871 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ელზასიც და ლოთარინგიაც (ლორანი) გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1870 წ. საფრანგეთის არმია სედანთან სასტიკად დამარცხდა, ამ ომში საფრანგეთმა მილიონამდე ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა.გერმანიამ ელზას-ლოთარინგია გამოაცხადა „საიმპერიო მიწად“. გერმანიის მთავრობამ დიქტატორული რეჟიმი დაამყარა დაპყრობილ ტერიტორიაზე, ესწრაფოდა აქაური მოსახლეობის გაგერმანელებას, დაწესებულებებსა და სკოლებში აიკრძალა ფრანგული ენა, სტრასბურგის უნივერსიტეტი გადაიქცა გერმანიზაციის ცენტრად. სწორედ ეს მოვლენებია ასახული ალფონს დოდეს წინამდებარე მოთხრობაში. მხოლოდ 49 წლის შემდეგ, 1919 წ. შეძლო საფრანგეთმა ვერსალის ხელშეკრულებით დაებრუნებინა ეს პროვინციები. 1870 წლიდან მოყოლებული 1919 წლამდე პარიზში ე. წ. პროვინციათა მოედანზე საფრანგეთის საზოგადოება ყოველდღე იკრიბებოდა შავი არშიებით ხელში და სამგლოვიარო აქციებს აწყობდა. 1940 წ. ჰიტლერმა კვლავ წაართვა ეს ტერიტორიები საფრანგეთს, მაგრამ 1944 წ. საფრანგეთის არმიამ ეს ტერიტორიები გაათავისუფლა და დაუბრუნა საფრანგეთს (ქ ს ე, ტ.4, გვ. 124).*

გაკვეთილის თემა:

ო'ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი", ზმნიზედა და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (3 სთ).

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- დისკუსიის ხელოვნების დაუფლება
- პერსონაჟთა დახასიათება
- მულტიმედია ტექსტებზე მუშაობა
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- მხატვრული ტექსტის აგება (ნაწარმოების გამგრძელება)
- ტექსტის ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება
- მართლწერის წესების დაუფლება

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება — გამოწვევა (5-7 წთ): აქ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ჩვენ ჩვენეულ ვარიანტებს ვთავაზობთ:

1) ეს ნაწარმოები დაუკავშიროს თემას — საზღვარგარეთული მწერლობა; მოკლედ, მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ისაუბროს ამერიკულ ლიტერატურაზე — რომელი ამერიკელი მწერლების შესახებ სმენიათ, რა წაუკითხავთ მათი შემოქმედებიდან (ამ კითხვაზე, სავარაუდოდ, მოსწავლეთა დიდი ნაწილის პასუხი უარყოფითი იქნება); გაახსენოს მოსწავლეებს წინა კლასებში შესწავლილი „ტომ სოიერის თავგადასავლიდან" ნაწყვეტები (ზოგიერთს შეიძლება ამ ნაწარმოების სრული ვერსიაც ჰქონდეს წაკითხული), გააცნოს კლასს მოკლედ ამერიკელი მწერლის ო'ჰენრის ბიოგრაფია...

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ო'ჰენრი— უილიამ სიდნეი პორტერი (1862-1910 წწ.), ამერიკელი მწერალი, პატარა მოთხრობების უბადლო ოსტატი, გამოიარა ცხოვრების საკმაოდ მძიმე სკოლა, გამოიცვალა უამრავი პროფესია, იყო კოვბოი, ჟურნალისტი, მოლარე... ფულის გაფლანგვისათვის სამი წელი ციხეშიც გაატარა. სწორედ იქ დაიწყო წერა მოთხრობებისა, რომელთაც ო'ჰენრის ფსევდონიმით ფარულად უგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებს. 1901 წელს, როცა ციხიდან გამოვიდა, უკვე ცნობილი მწერალი იყო. 1904-1910 წლებში გამოსცა რომანი „კომბოსტო და მეფეები" და მოთხრობათა ცხრა კრებული. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, იგი ცხოვრების მწარე გამოცდილებამ პატარა ადამიანების მოსარჩლედ აქცია. მის მოთხრობებს განსაკუთრებულ ხიბლს აძლევს იუმორი, გროტესკი...

2) დააკვირვოს მოსწავლეები შესასწავლი ტექსტის სათაურზე „უკანასკნელი ფოთოლი" და კლასთან ერთად შექმნას ე. წ. „ასოციაციური რუკა".

მეთოდის აღწერა:

ა) დაფის ცენტრში იწერება ტექსტის სათაური „უკანასკნელი ფოთოლი";

ბ) მოსწავლეები ჩამოწერენ ამ ფრაზასთან ასოციაციურად დაკავშირებულ სიტყვებსა და ფრაზებს;

გ) მას შემდეგ, რაც ჩამოიწერება ყველა სიტყვა და ფრაზა, რომელიც მოსწავლეებს ამ საკითხის ირგვლივ გაახსენდათ, ისრებით ვაერთებთ იმ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც აზრობრივად ერთმანეთს უკავშირდება;

აუცილებელი პირობა — „ასოც. რუკის“ შედგენისას იწერება ყველაფერი, რაც მოსწავლეებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მოსდით აზრად; ამ ეტაპზე არ არის საჭირო მათი ანალიზი; წერა არ უნდა შეწყდეს მანამ, სანამ ყველაფერი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ახსენდებათ, არ ჩამოიწერება.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა — I-II თავები (15-18 წთ): ტექსტის კითხვისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია:

1) კომენტირებული კითხვა — მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას და მას მოსწავლეები აგრძელებენ, ტექსტის კითხვისას აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები; მასწავლებელი გზადაგზა აკეთებს სათანადო კომენტარს წაკითხულის გააზრებისა და უკეთ აღქმისათვის;

2) მასწავლებელი იყენებს ე. წ. „აქტიური კითხვის“ მეთოდს — ა) თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად გადახედავს ტექსტს, კითხულობს ჩუმად, დამოუკიდებლად ცდილობს ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნას, იყენებს ამ მიზნით „სიტყვის სალაროს“, სვამს კითხვებს დასაზუსტებლად, მოიძიებს ექსპლიციტურ (ფაქტობრივ) ინფორმაციას მასწავლებლის მიერ წინასწარ დაფაზე ჩამოწერილი კითხვების: ვინ? რა? სად? როდის? რა მოხდა?/რა ქნა?/რა შეემთხვა?.. მიხედვით; **ბ)** ტექსტის წაკითხვის შემდეგ ცდილობს უპასუხოს ამ კითხვებს: **ვინ?** — ჯოანა/ჯონსი, სიუ, ექიმი; სად? — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ქალაქში; **როდის?** — ძველად, უფრო კონკრეტულად: XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში (მწერალი სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა, ტექსტში მისი თანამედროვე ცხოვრებაა აღწერილი); **რა მოხდა?** — ჯოანა მძიმედ გახდა ავად...

3) „პაუზებით კითხვა“ — მასწავლებელი ტექსტს ყოფს აზრობრივად რამდენადმე დასრულებულ მონაკვეთად და სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? რა გაძლევთ ამის ფიქრის საფუძველს? რა მინიშნებებია ტექსტში საამისოდ? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით...

აქტივობა 4. ტექსტის ანალიზი (5-6 წთ): წაკითხული ტექსტის ირგვლივ დაისმის ფაქტობრივ მასალაზე (გაგებაზე) ორიენტირებული კითხვები:

— რა პროფესიის არიან სიუ და ჯოანა?

— რატომ გადაწყვიტეს მათ ერთად ზიარი სახელოსნოს მოწყობა?

— რა დაავადება გავრცელდა ქალაქში? დღეს ამ დაავადების აღსანიშნავად რომელი ტერმინი გამოიყენება?

— რატომ მოერია ასე ადვილად ჯოანას ავადმყოფობა? რა იყო ამის მიზეზები? („ჯოანა პატარა, სისხლნაკლული ქალი იყო“, ამავე დროს, მას არ ჰქონდა ავადმყოფობასთან ბრძოლის სურვილი);

— რა კითხვას სვამს ექიმი სიუსთან საუბრისას? *(„რაზე ნაღვლობს, ხომ არ იცით?.. ისეთი ხომ არაფერი აქვს ჭკუაში, რაც სერიოზულ დაფიქრებად მაინც ღირს!.. უიმედოდ ხომ არ არის შეყვარებული?“);*

— თქვენი აზრით, რატომ ამახვილებს ექიმი ამ ფაქტზე ყურადღებას? *(იგი ეძებს ჯოანას ავადმყოფობის მიზეზს — რატომ ვერ უწევს ავადმყოფი დაავადებას წინააღმდეგობას, ახალგაზრდა ქალს რატომ აღარ სურს სიცოცხლე);*

— ექიმის აზრით, როდის არ ამართლებს წამლებით მკურნალობა? *(„როდესაც პაციენტი იმედს გადაიწურავს და თვითონ აღარ სურს სიცოცხლე, მაშინ ყოველგვარი წამლის განმკურნავი ძალა კლებულობს“).*

— რატომ ითვლიდა ჯოანა გამუდმებით უსურვაზის ფოთლებს? რა ცრუ რწმენა ჰქონდა მას აკვიატებული?

— როგორ ცდილობდა მის დამშვიდებას მეგობარი?

— ვინ იყო მოხუცი ბერმანი? როგორ ახასიათებს მას მწერალი? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი?

— რა მიზნით მიმართავდნენ ხოლმე მას ახალგაზრდა მხატვრები?

— რამ აღელვა მოხუცი ბერმანი?

— რისი იმედი ჰქონდა მას?

— რატომ უყურებდნენ მოხუცი ბერმანი და ახალგაზრდა სიუ შიშით უსურვაზის ფოთოლს?..

— სიუსა და ჯოანას რა თვისებები ჩანს შესწავლილ ნაწყვეტში? თუ შეგიძლიათ, რომ ამ ნაწყვეტის მიხედვით დაახასიათოთ ეს გმირები? მათი ხასიათის რა თვისებები ჩანს შესწავლილ ნაწყვეტში? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

— მოხუცი ბერმანის შესახებ საუბრისას მის რა თვისებაზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას? რა მოლოდინს გიქმნით მოხუცი ბერმანის გამოჩენა ტექსტში?..

— როგორ ფიქრობთ, მოსწყდება უსურვაზს ბოლო ფოთოლი? გადარჩება ჯოანა? არის თუ არა კავშირში უსურვაზის ბოლო ფოთოლი კავშირში ჯოანას სიცოცხლესთან?..

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): შინ დამოუკიდებლად წასაკითხად ტექსტის ბოლო თავი, თითოეულ თავს შეურჩიონ სათაური, შეადგინონ მთლიანი ტექსტის შინაარსის გადმოსაცემი გეგმა, წერილობით გადმოსცენ ერთ-ერთი საკითხის შინაარსი (რვეული, დავალება №5).

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია. (8-10 წთ).

აქტივობა 2. შინაარსის რეალიზება (12-15 წთ). ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმა და ცალკეული საკითხების შინაარსი ნაწილ-ნაწილ თხრობით გადმოვაცემინოთ. ყურადღება ექცევა ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, ავტორისეული ლექსიკის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში ვიყენებთ წიგნს.

აქვე შეიძლება გამოვიყენოთ ორმხრივი ჩანაწერების დღიური.

მეთოდის აღწერა:

ა) რვეულის ფურცელი შუაზე იყოფა ვერტიკალური ხაზით (დავალება №1), ასეთივე სქემა იხაზება დაფაზეც;

ბ) მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა ამოიწერონ ის ფრაზები (ფაქტები), რომლებმაც მათზე განასაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და მოათავსონ რვეულის მარცხენა გრაფაში;

გ) მარჯვენა გრაფა მოსწავლემ უნდა შეავსოს შემდეგი კითხვების საფუძველზე: რატომ შევარჩიე მაინცდამაინც ეს მონაკვეთი? რაზე ჩამაფიქრა? რაიმე ხომ არ გამახსენა?..

დ) რვეულში მინიმუმ სამი ჩანაწერი მაინც უნდა გაკეთდეს;

ე) მუშაობის დასრულების შემდეგ ვთხოვთ მოსწავლეებს კლასს გაუზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებები (აუცილებელი პირობები — 1) ნიმუშს კლასს აუცილებლად აძლევს მასწავლებელი, პირველი ის იწყებს დაფაზე ამ „დღიურის“ შევსებას, მხოლოდ ამის შემდეგ აგრძელებენ მოსწავლეები ინდივიდუალურად „რვეულებში“ მუშაობას, 2) წერითი ნამუშევარი არ სწორდება და არ ფასდება მასწავლებლის მიერ ნიშნით.

აქტივობა 3. ტექსტის გააზრება (8-10 წთ):

— რამდენად დამაჯერებლად გეჩვენებათ მოხუცი ბერმანის თავგანწირვის ფასად ახალგაზრდა მხატვრის გადარჩენა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— ამერიკელი ექიმის აზრით,„როდესაც პაციენტი იმედს გადაიწურავს და თვითონ აღარ

სურს სიცოცხლე, მაშინ ყოველგვარი წამლის განმკურნავი ძალა ორმოცდაათი პროცენტით კლებულობს“. მწერალი რამდენად იზიარებს ამ აზრს? რატომ ფიქრობთ ასე?

— თუ ჩანს ტექსტში მწერლის დამოკიდებულება თავისი გმირებისადმი?

— ვინ და ვინ არიან ტექსტის მთავარი გმირები? არამათავარი? შეგვიძლია თუ არა მოხუცი ბერმანი მივიჩნიოთ მთავარ გმირად? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

— რის შესახებ არის ტექსტში თხრობა? რა არის ამ ნაწარმოების თემა? იდეა?

— რატომ შეურჩია მწერალმა თავის მოთხრობას სათაურად „უკანასკნელი ფოთოლი“?

— შეიძლებოდა თუ არა ამ მოთხრობისათვის გვეწოდებინა „ბერმანის შედევრი“? რატომ ფიქრობთ ასე? როგორ გესმით სიტყვა „შედევრის“ მნიშვნელობა? მომავალი გაკვეთილისათვის მოიძიეთ ამ სიტყვის ზუსტი განმარტება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და ეცადეთ, გვიპასუხოთ, შეიძლება თუ არა მოვნათლოთ შედევრად მოხუცი ბერმანის მიერ დახატული ფოთოლი.

— სად და როდის ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება? თქვენი აზრით, ის ადამიანური ღირებულებები, რომლებიც ამერიკელი გოგონებისა და მოხუცი ბერმანისთვის არის დამახასიათებელი, რამდენად მისაღები და მოსაწონია ჩვენთვის – თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის? რატომ ფიქრობთ ასე? ხომ არ გაიხსენებთ რომელიმე ქართველი მწერლის ნაწარმოებს, რომელიც ამავე თემაზეა დაწერილი?

— რა შეფასებას აძლევთ მოხუცი ბერმანის საქციელს — ტყუილის ფასად იხსნას ახალგაზრდა გოგონას სიცოცხლე?

— გავიხსენოთ რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმედ სულსა“. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეესაბამება ეს აფორიზმი ამ ანდაზას? რა აზრისა ხართ „კეთილ ტყუილზე“? შეიძლება თუ არა ტყუილი იყოს კეთილი?

აქტივობა 4. დისკუსია თემაზე „კეთილი ტყუილი“ (6-8 წთ). კლასი იყოფა ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი აგებს ზეპირ ტექსტს ამ თემაზე. პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში.

აქტივობა 5. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ) — წაკითხულის გაგრძელება (წერილობითი ტექსტის აგება), — როგორ ფიქრობთ, როგორ წარიმართებოდა ამ გმირების ცხოვრება შემდგომში? გააგრძელებდნენ სიუ და ჯოანა მეგობრობას? გახდებოდნენ დიდი მხატვრები? შეძლებდნენ შედევრის შექმნას? ეცადეთ, უპასუხოთ ამ კითხვებს (დავალება №4).

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (7-8 წთ).

აქტივობა 2. წერა (15-18 წთ): „ბერმანის შედევრი“ (დავალება №3). მოსწავლეები განმარტავენ სიტყვა „შედევრის“ მნიშვნელობას (**შედევრი** — სანიმუშო ნაწარმოები, ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა), ამ კუთხით აფასებენ მოხუცი ბერმანის ბოლო ნამუშევარს (უსურვაზის ფოთოლს), ადგენენ ტექსტის შინაარსის გადმოსაცემ გეგმას და შეუდგებიან წერას. წერის დასრულებისას გადახედავენ ნაწერს და თვითონვე ასწორებენ შემჩნეულ შეცდომებს.

აქტივობა 3. ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება (10-12 წთ):
ა) მხატვრულ სახეებზე დაკვირვება:

— ტექსტში გვხვდება უამრავი ეპითეტი, რომლითაც მწერალი აღწერს უსურვაზის უკანასკნელ ფოთოლს. მოძებნეთ ეს ეპითეტები („ოდნავ დამჭკნარი, ლპობაშეპარული, დაკბილული და გაყვითლებული“...), თქვენ ხომ არ დაუმატებდით ამ აღწერას სხვა ეპითეტებს? (იმედისმომცემი... უნუგეშო, სასიკვდილოდ განწირული...);

— რა მხატვრულ ხერხებს იყენებს მწერალი ჯონასა აღწერისათვის? რომელი ეპითეტებით ახასიათებს იგი ამ გმირს? *(„პატარა, სუსტი ქალი, ისედაც სისხლნაკლული“, „უმოწყალო ჯონსი“...),* რა შედარებას იყენებს? *(„ფოთოლივით უსუსური და მსუბუქი ქალი“...),* ამ მხატვრული ხერხების გამოყენებით, თუ ახერხებს მწერალი თავისი გმირის პორტრეტის დახატვას? როგორი წარმოგიდგენიათ ეს გმირი? მისი სურათის დახატვისას მისი გარეგნობისა და ხასიათის რომელ მხარეებს გაუსვამდით ხაზს?

— მოძებნეთ ტექსტში ის შედარება, რომლითაც მწერალი მოხუც ბერმანს ახასიათებს *(„მცველი ნაგაზივით დარაჯობდა“)*; რატომ გამოიყენა მწერალმა ეს სიტყვა *(ნაგაზი)* დადებითი გმირის დახასიათებისას? *(მისი ერთგულებისა და თავგანწირვისათვის რომ გაესვა ხაზი)...*

— დააკვირდით ტექსტის ილუსტრაციებს. როგორ ფიქრობთ, ზუსტად შეძლო მხატვარმა გადმოეცა თავისი გმირების ხასიათი და გარეგნობა? თქვენ რა კორექტივებს შეიტანდით?..

ბ) ლექსიკაზე დაკვირვება: ტექსტი ინგლისურიდან გახლავთ თარგმნილი. თუ იგრძნობა ეს გარემოება თარგმანის ენაში? *(იგრძნობა, რამდენადაც ტექსტში გვხვდება ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები: ჯინი, ფუტი...).*

გ) გრამატიკულ მასალაზე მუშაობა: დაფაზე იწერება წინადადებები შესწავლილი ტექსტიდან:

„შეწუხებულმა ექიმმა ანიშნა სიუს, **გარეთ** (სად?) გამომყევითო“.
„**აქ** (სად?) მინდა ვიყო, შენს **ახლოს** (სად?)“.
„სიუმ **შემდეგ** (როდის?) სახატავი დაფა აიღო“.
„**მაშინ** (როდის?) თავი მატკინა დათვლამ, **ახლა** (როდის?) კი უკვე ადვილია.“
„თუ **კარგად** (როგორ?) მოუვლით, თქვენ გაიმარჯვებთ.“
„მოხუცი ძალიან **ავად** (როგორ?) არის.“

წინადადებებში მოცემულია ადგილის, დროის, ვითარების ზმნიზედები სათანადო კითხვებით. მოსწავლეები იხსენებენ წინა (IV და V) კლასებში შესწავლილ მასალას ზმნიზედის შესახებ და ავსებენ სახელმძღვანელოში მოცემულ გრამატიკულ დეფინიციების ზმნიზედის შესახებ. ყურადღება მახვილდება ზმნიზედების მართლწერაზე, ამ ეტაპზე მოსწავლეთათვის ახალი ინფორმაცია გახლავთ ფუძეგაორკეცებული ზმნიზედების მართლწერა.

კლასშივე სრულდება დავალება №6.

აქტივობა 4. შეფასება (2-3 წთ).

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): „უკანასკნელი ფოთოლი“, დავალება №7.

შედეგების კოდი:

VI. 2. მოსწავლე ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათ ინტერპრეტირებას; აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის ეპიზოდებში;

VI. 5. შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

VI.7. ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს; გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე; განარჩევს მთავარ და არამთავარ პერსონაჟებს; განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;

VI.9. გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხზე მსჯელობის დროს; ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;

VI.10. ამოიცნობს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას; გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ; ქმნის მისთვის საინტერესო პერსონაჟის წარმოსახვით პორტრეტს;

VI.11. მიუთითებს ზმნიზედების როლზე ზმნური შინაარსის გამოხატვაში;

VI. 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.

VI. 13. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში და აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.

VI. 15. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვა-ფორმების აგება.